ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ბიული ალასანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ვახტანგ ბოილაძე

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
2000

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრის მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მრავალტომიანი მონოგრაფია “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” გამოქვეყნების თანავე გადაიქცა უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის ეკლესიის ისტორიის სახელმძღვანელო წიგნად.

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით 1998 წლის “საქართველოს ეკლესიის კალენდარში” გამოქვეყნდა აღნიშნული მონოგრაფიის მოკლე რედაქცია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს მიერ გადატანილი იქნა სადისერტაციოდ.

ქვემდებარე წიგნში წარმოდგენილია ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების მიერ გამოთქმული რეცენზიები და სიტყვები აღნიშნული დისერტაციის დაცვისას, რომელსაც თან ერთვის უნივერსიტეტიდან და ინსტიტუტებიდან მიღებული გამოხმაურებანი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიული ალასანიას რეცენზია ანანია ჯაფარიძის დისერტაციაზე “საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII-XVIII სს.)” 5

მთავარეპისკოპოს ანანიას პასუხი ოფიციალურ ოპონენტს ქალბატონ გიული ალასანიას 14

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ვახტანგ გოილაძის რეცენზია 26

პასუხი ოფიციალურ ოპონენტს ბატონ ვახტანგ გოილაძეს 43

ისტ. მეცნ. დოქტორ ვალერიან მაჭარაძის სიტყვა 44

ისტ. მეცნ. დოქტორ ილია ტაბაღუა სიტყვა 44

მორწმუნე ქალბატონის სიტყვა 45

პროფესორ რევაზ ბარამიძე სიტყვა 46

კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძე სიტყვა 46

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძის სიტყვა 48

ისტორიის მეცნ. დოქტორ მარინე ჩხარტიშვილის სიტყვა 49

მთავარეპისკოპოს მეუფე თადეოზის სიტყვა 50

ისტ. მეცნ. დოქტორ იაკობ ახუაშვილის სიტყვა: 52

დოცენტ რუსუდან წიქვაძის სიტყვა 52

ისტ. მეცნ. დოქტორ ფრიდონ სიხარულიძის სიტყვა 53

ისტ. მეცნ. კანდ. დენიზა სუმბაძის სიტყვა 54

მწერალ ციალა არდაშელიას სიტყვა 55

აკადემიკოს დავით მუსხელიშვილი სიტყვა 55

იღუმენ მამა შიოს სიტყვა 56

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედინსტიტუტის
ისტორიის ფაკულტეტის დოცენტ ს. ვარდოსანიძის და კათედრის
გამგე, პროფ. სვ. გამსახურდიას დასკვნა 57

ა.ჯაფარიძის პასუხი წამყვან ორგანიზაციას 59

თსუ პროფესორ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ზ. კიკნაძის
გამოხმაურება 61

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქ. ისტორიის კათედრის გამგის ისტ. მეცნ.
დოქტორ პროფ. გ. მჭედლიძის გამოხმაურება 64

თბილისის პედინსტიტუტის ქრისტიანული კულტურის ისტორიის კათედრის გამგის
პროფ. ლელა ხაჩიძის და კათედრის უფროსი მასწავლებლის თ. კოჭლამაზაშვილის
გამოხმაურება 65

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის პროფ. ნ. ხაზარაძის
რეცენზია 68

თსუ რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრის დოცენტის რ. წიქვაძისა და
კათედრის გამგის პროფ. თ. ფანჯიკიძის გამოხმაურება 71

თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგის პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორ
ქეთევან პავლიაშვილი რეცენზია 74

გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის კათედრის გამგე,
პროფ. ელ. მამისთვალიშვილის და დოცენტ ვ. კიკნაძის გამოხმაურება 76

საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლის
ე. კაჭარავას დასკვნა 78

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიული ალასანიას რეცენზია ანანია ჯაფარიძის დისერტაციაზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII-XVIII სს.)"

საქართველოს ეკლესიის ისტორია ისევე, როგორც საქართველოს ისტორია, გადარჩენისთვის მუდმივი ბრძოლაა. ჩამონათვალში "ენა, მამული, სარწმუნოება", რომელიც ქართველ ხალხს გადარჩენის ძირითად პირობად მიუჩნევია, თანმიმდევრობის ცვლისას ხშირად პირველ ადგილზე სარწმუნოებას წამოსწევდა ხოლმე, ვინაიდან ერის კონსოლიდაციის საქმეში ეკლესია ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე საერო ხელისუფლება. მართლმადიდებლობა და ეკლესია საუკუნეების მანძილზე იყო ის ძირითადი ღერძი, ის ხერხემალი, რომელზედაც იყო დაშენებული ეროვნული ცნობიერება.

ქართული ეროვნული ცნობიერების სიცოცხლის უნარიანობა, რომლის მიზეზების კვლევასაც ეძღვნება დღეს საპაექროდ წარმოდგენილი გამოკვლევა, სწორედ საქართველოს ეკლესიის სიცოცხლისუნარიანობით იყო გამოწვეული. ასეთია ნაშრომის ძირითადი თეზისი, რომელსაც ავტორი მრავალი არგუმენტით და ძალზე დამაჯერებლად ასაბუთებს.

უკანასკნელ წლებში ეკლესიის ისტორიისადმი ინტერესის მიუხედავად განსახილველი ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი სრული გამოკვლევაა. პირველია ნაშრომი იმ თვალსაზრისითაც, რომ დიდი ხნის შემდეგ ეკლესიაზე მეცნიერულ გამოკვლევას ქმნის სასულიერო პირი მართლმადიდებლური ხედვით, განსხვავებული განცდით. ეს არის ეკლესიის წარსული და დღევანდელობა, დანახული შიგნიდან, ორგანული ცოდნით, როგორც ავტორი აღნიშნავს, "მართლმადიდებლური თვალთახედვით დაწერილი ისტორია" (გვ. 13).

ამგვარად, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში იმ სისხლის გადასხმას ჰგავს, რომელიც დროდადრო აუცილებელია ჯანსაღი ორგანიზმის შესანარჩუნებლად.

წარმოდგენილი დისერტაციის რამდენიმე ძირითადი მიზანი არის:

1) დაუბრუნოს საქართველოს მოქალაქეს ქრისტეს რწმენა და განამტკიცოს მრევლი ამ რწმენაში;

2) გაუღვივოს მკითხველს სიამაყის გრძნობა ქვეყნის და ერის ღირსეული წარსული გამო;

3) აღადგინოს საქართველოს წარსულის ობიექტური და სრული სურათი და ამ ფონზე წარმოაჩინოს ეკლესიის ისტორია და მისი მნიშვნელობა ქვეყნის და ერის წარსულსა და აწმყოში.

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ პირველი ორი მიზანი სავსებით მიღწეულია.

რაც შეეხება მესამეს, ჩემი დღევანდელი მდგომარეობა მაიძულებს მასზე უფრო დეტალურად შევჩერდე და ეს მოვალეობა ფრიად სასიამოვნოდ და საპატიოდ მიმაჩნია.

თემის ფარგლებში, როგორც პრობლემის დასმის თვალსაზრისით, ასევე მისი შინაარსით მნიშვნელოვნად სცილდება საკანდიდატო დისერტაციის ამოცანებს და მოთხოვნებს, ხოლო მისი ავტორი უეჭველად იმსახურებს ძიებულ სამეცნიერო ხარისხს.

საქართველოს ეკლესიის წარსულის შესწავლა ავტორს იმთავითვე ფართოდ დაუსახავს. წიგნში ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ისე ორგანულად არის შერწყმული ეკლესიის ისტორიასთან და ისე მსჭვალავს მთელ ნაშრომს, რომ ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, რომელია ავტორისათვის უფრო მნიშვნელოვანი. საქართველოს და მეტ-ნაკლებად მასთან ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების ისტორიის მონუმენტურ ტილოზე წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კონტექსტშია დანახული. ამდენად ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია არამარტო საქართველოს წარსულის, არამედ მასთან ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების, ზოგადად რელიგიისა და, კერძოდ, მართლმადიდებლობის ისტორიის თვალსაზრისით, მდიდარი პრობლემატიკით წარმოდგენილი საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, რომელიც წიგნის მეორე პლანს ქმნის, არანაკლებ საინტერესო და არანაკლებ მნიშვნელოვანია.

დღეს, როდესაც ეკლესიას კვლავ დაუბრუნდა ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც მას ისტორიულად მუდამ ჰქონდა ქართველი ხალხის წარსულში, დღევანდელი დისერტაციის დაცვის მნიშვნელობა ძალზე დიდია. თვით ნაშრომის დონე უთუოდ გაზრდის ეკლესიის და სამღვდელოების ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას და ყოველივე ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერის სულიერ ამაღლებასა და გადარჩენაში.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორს ძალზე ბევრ საკითხზე მოუხდება მსჯელობა, მათ შორის საკამათოსა და დადგენილზე. იგი რთულია კომპოზიციურად, შინაარსობრივად და, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ენით არის დაწერილი, ძნელი აღსაქმელია. წიგნის მნიშნელობა რთული ამოცანის წინაშე აყენებდა არა მარტო ავტორს, არამედ მის მკითხველსაც, რომლისგანაც სათანადო მომზადებას მოითხოვს. წიგნი რთული წასაკითხია ემოციურად. ვინაიდან ჩვენს წინაშეა საქართველოს და

ქართველი ერის მთელი წარსული და აწმყო, წარმატებები და უკუსვლები, დამოუკიდებლობის, სიძლიერის და გარეშე ძალის დამორჩილების წლები და ყოველივე ამის ფონზე ერის ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესი. გაცოცხლებულია და წარმოდგენილია კონკრეტულ პიროვნებათა პორტრეტები მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ეკლესიის და საერო ხელისუფლების რთული ურთიერთობა სხვადასხვა ხანაში, გარე სამყაროსთან შეხვედრები, ომების და მშვიდობის ისტორია, მათი მნიშვნელობა და ყველაფერი ეს ერთის ამოსუნთქვით, ერთი განცდით არის დაწერილი. თუმცა ასეთი ნაშრომი, ცხადია, ერთბაშად არ იწერება, ასეთი ნაშრომი მთელი ცხოვრების ნაფიქრია. მკვლევარი კარგად იცნობს შესაბამის წერილობით წყაროებს, რასაც ამდიდრებს თვითმხილველთა მონაცემებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ გვევლინება თვითმხილველის როლში. ეს ფაქტი ზრდის გამოკვლევის ხარისხს და მნიშვნელობას. ამასთანავე მთელი ნაშრომი დაწერილია სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნით და დიდი პატივისცემით წინამორბედ მკვლევართა მიმართ. მაგრამ წინამორბედებთან კამათი არ შეადგენს ნაშრომის მიზანს. მისი მიზანი უფრო ავტორის მოსაზრებების დასაბუთებაა, რომელიც არამარტო თანაბრად ერკვევა ისტორიულ და წყაროთმცოდნეობით პრობლემატიკაში, არამედ თვითონ არის პროფესიონალი ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე.

შეუძლებელია გამოკვლევაში განხილულ საკითხთა უბრალო ჩამოთვლაც კი, შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთზე და ამასთანავე აღვნიშნავ მათ ზოგიერთ ხარვეზს.

ჩემი ერთ-ერთი ძირითადი შენიშვნა ეხება გამოკვლევის ტექნიკურ მხარეს, რომელსაც ძალზე დიდი დატვირთვა აქვს სამეცნიერო ნაშრომში. ეს არის სქოლიოების არ არსებობა. თუმცა ლიტერატურის დამოწმება ხშირად უკვე თავისთავად არგუმენტია. ამ საკმაოდ მძიმე შენიშვნას ერთგვარად არბილებს ის, რომ ისტორიის განსწავლულობა კარგად ჩანს, მაგრამ გამოკვლევის ამ თავისებურების გამო ყოველთვის არ ხერხდება შეჯერება.

გამოკვლევების კონკრეტული საკითხები შერწყმულია თეორიულ პრობლემებთან. ავტორი მსჯელობს იმაზე, თუ რა არის ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, როგორც დისციპლინა, ასახელებს მის წყაროებს, განსაზღვრავს თავის ამოცანებს. საგანგებოდ ჩერდება ჯერ მსოფლიო ისტორიის, ხოლო შემდეგ ქართული ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციაზე. პერიოდიზაციის შემუშავებისას არ არის დაცული ერთიანი პრინციპი. აქ ამოსავალი ხან ისტორიული მოვლენაა (მაგ., მეფობის გაუქმება), ხან მოვლენა საკუთრივ ეკლესიის ცხოვრებაში (მაგ., ავტოკეფალიის გაუქმება ან აღდგენა). მთლად მისაღები არ არის, რატომ არის მიჩნეული ოქროს ხანის დასასრულად XIV ს. დამდეგი,

თუ საქართველო უკვე მე-13 ს. 20-იანი წლებიდან ზედიზედ განიცდის ხან მონღოლთა, ხან ხორეზშაჰთა თავდასხმებს, ექცევა მათი პოლიტიკური კონტროლის ქვეშ ან რატომ არ არის, მაგალითად, ცალკე გამოყოფილი 1917-21 წწ. რატომ არის მიჩნეული მიჯნად VI ს. და არ არის გამოყოფილი VII ს. 20-იანი წლები, რომელიც ავტორის არაერთგზის შენიშვნით აშკარად გადამტეხი მომენტია ქართული ეკლესიის ისტორიაში.

ძალზე საინტერესოა დაკვირვებები ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე, სხვადასხვა შინაარსის იურიდიულ დოკუმენტებზე, "ქართლის ცხოვრების" სტრუქტურაზე, რთულ მუდმივ პრობლემად რჩება. ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ ძეგლს, აფასებს მათ, როგორც წყაროს და, კერძოდ, ეკლესიის ისტორიისათვის. ასევე შენიშნავთ, რომ ერთგვარად ხელოვნურ შთაბეჭდილებას ისტორიკოსების დაყოფა სამოქალაქო და საეკლესიო ავტორებად, ყოველ შემთხვევაში ადრეულ საუკუნეებში, ვინაიდან ერთნიც და მეორენიც სასულიერო პირები არიან. მკვლევარი თამარის ე.წ. მეორე ისტორიკოსად ბასილ ეზოსმოძღვარს მიიჩნევს, რაც ერთგვარად მოძველებული შეხედულებაა. მართალია, ძეგლის ავტორი ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ ი. ჯავახიშვილის ატრიბუცია ამჟამად აღარ არის გაზიარებული.

დიდი ადგილი ეთმობა ნაშრომში ქართული ერის ეთნოგენეზის საკითხებს. ავტორი მსჯელობს ქართველების სხვადასხვა დასახელებებზე, განიხილავს ერის ჩამოყალიბების თეორიას. აქ ყურადღებას იპყრობს ქართველების დაკავშირება ბიბლიურ თუგალთან. აღნიშნულ საკითხზე უზარმაზარი ლიტერატურაა შექმნილი. ავტორს თვითონაც აქვს სპეციალური გამოკვლევა ქართველების ეთნოგენეზზე, შესაბამისი არგუმენტები განსახილველ წიგნშიც არის მოტანილი, მაგრამ, ვფიქრობ, პრობლემა მაინც მოითხოვს შემდეგ დაკვირვებას.

მკვლევარი ფართოდ აშუქებს მოციქულთა მოღვაწეობას ქართლში, რის შედეგადაც მსჯელობს და აკეთებს დასკვნას, რომ ვინაიდან მოციქულების მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალიური იყო, ამიტომაც ქართული ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალურია. ეს აზრი ნაშრომში სხვაგანაც მეორდება და ავტორი მას არაერთხელ სხვადასხვა არგუმენტით ასაბუთებს. თეორიულად ეს იქნებ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალობაში თვით მოციქულების ყოფნის ფაქტი საქართველოში არაერთხელ დამდგარა ეჭვქვეშ. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ უხდებოდათ ქართველებს ზოგ შემთხვევაში თავისი კანონიერი ურთიერთობის მტკიცება და როგორ ძნელად იკაფავდა გზას სიმართლე ადრეც და ახლაც. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითად მართლმადიდებლურ დიპტიხში საქართველოს ეკლესიის ადგილის საკითხიც კმარა. ან როგორ ავხსნათ ის.

მაგალითად ფაქტი, რომ 381 წელს კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში ეპისკოპოსთა ხელმოწერებიდან ჩანს ამასიის პონტოს ეპარქიის წარმომადგენლის იბერიის ეპისკოპოსის პანტოფილეს მონაწილეობა ან მე-12 ს. ბიზანტილი ავტორის ნილოს დოქსანოპატრიუსის ცნობა, რომლის მიხედვით 1143 წ. "ჰელსპონტოს ამასია, რომლის საეპისკოპოსო იყო თვით იბერიაც".

ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვადასხვა წყაროებით ასაბუთებს ავტორი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას, აჩვენებს საეპისკოპოსოების რაოდენობრივ ზრდას და შესაბამისად ქრისტიანობის წარმატებებს საქართველოში, რაც ერის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. წიგნში ცალ-ცალკეა განხილული ერის ისეთი ნიშნები, როგორც არის საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო კულტი, ერთმორწმუნეობა, ფსიქიური წყობა, საერთო ეთნიკური წარმოშობა, განუწყვეტელი ისტორიული და ეკონომიკური კავშირი და სხვ. ყველა ამ ნიშანს მკვლევარი ძალზე ადრე ხედავს ქართველი ხალხის ისტორიაში. ჯერ კიდევ ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ძვ.წ. IV-III ს.ს. მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ მონაკვეთში საინტერესო მსჯელობაა დასავლეთ და აღმოსავლეთ ტერიტორიების ერთიანობაზე, ტერმინ იბერიის მნიშვნელობაზე და სხვ. საკითხებზე, ძნელია გაიზიარო ავტორის აზრი ქართველი ერის ასეთი სიძველის შესახებ, თუმცა კიდევ ერთხელ ხდება ცხადი, რომ ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და რთული პროცესია და ჩამოთვლილი ნიშნების დადასტურება სხვადასხვა დროს გარკვეულ საფუძველს და ტენდენციას ქმნის მის დასაჩქარებლად.

ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების ფაქტის თარიღად ავტორი 317-318 წწ. მიიჩნევს (გაზიარებულია ვ. გოილაძის აზრი), მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობისას ერთგვარი წინააღმდეგობა შეინიშნება. მკვლევარის აზრით, "338 წლის შემდეგ ქართველთა მეფეს ქრისტიანობის აღიარება სპარსელთა შიშით გაუჭირდებოდა. მაშასადამე, იმ დროს როცა სპარსეთი ქრისტიანობას მფარველობდა და იბერია ირანის გავლენის სფეროში შედიოდა (280 წლებამდე), გაცილებით უფრო ადვილი იყო ქრისტიანობის მიღება. მართლაც, დიუბუა დე მონპესიე ქართლის მოქცევის თარიღად 976 წელს მიიჩნევს" (გვ.65).

გვ. 174-ზე მოტანილია, ჩანს, "ქართვლის ცხოვრების ცნობა იმის შესახებ, როგორ გამოგზავნა კონსტანტინემ ქართლში რელიკვიები - ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი და ფიცარი, რომელზედაც დაჭვალული იყო უფლის ფეხები. ეპისკოპოსმა უფლის სამსჭვალნი და განძი ერუშეთში დატოვა და წამოვიდა, წუნდაში მან ხუროები დატოვა, ეკლესიის შენება მანგლისში დაიწყო და იქ უფლის ფიცარნი დატოვა.

“მოქცევაი ქართლისაში“ პირიქით არის: ერუშეთში დატოვეს ფიცარნი, ხოლო მანგლისში – სამსჭვალი. ეს ცნობა, როგორც ჩანს, უფრო სწორია, ყოველ შემთხვევაში წერილობითი და ზეპირი ტრადიცია სამსჭვალს სწორედ მანგლისის ტაძართან აკავშირებს. გვ. 176-ზე ავტორი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ანბანით ჩაიწერა ნინოს ცხოვრების უძველესი ვერსია და არჩევს კომპრომისულ გზას. მისი ვარაუდით, სალომე უჯარმელმა ან ქართული ან ბერძნული ან კიდევ არამეული ანბანით ისარგებლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრობლემა ქართული ანბანის შექმნას ეხება, აქ სასურველი იყო უფრო მკაფიო პოზიცია.

გამოკვლევის თითოეულ მონაკვეთს წინ უძღვის შესაბამისი წყაროების შინაარსის გადმოცემა, რომელიც ზოგჯერ შეიცავს ანაქრონიზმებს. ასეთ შემთხვევაში სასურველია გაკეთდეს შენიშვნა, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის დროს ყივჩაღების მოხსენიების დროს (გვ. 186).

დამაჯერებელია ავტორის ვარაუდი იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ვახტანგსა და მთავარეპისკოპოსს მიქაელს შორის სოციალურ ნიადაგზე მოხდა. მაგრამ გამოკვლევებში არაფერია ნათქვამი ბიზანტიაში გამოცემული ჰენოტიკონის შესახებ ან იმაზე, მოახდინა თუ არა ამან რაიმე გავლენა ქართლის სასულიერო ორიენტაციაზე.

უფრო ღრმა დასაბუთებას მოითხოვს, ალბათ, ნაშრომში გამოთქმული ვარაუდი, რომ ჰერების მშობლიური ენა ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი იყო, მითუმეტეს, რომ აქვე ნათქვამია, რომ ჰერეთის ენა დაღესტნურ ენებს ენათესავებოდა (გვ. 209).

ქრონოლოგიურ გამიჯვნას მოითხოვს, ალბათ დაკვირვება, რომ აქ გავრცელებული ყოფილა ირანული და თურქული ენები. აგრეთვე სომხურიც. კონტექსტებიდან ნათელი არ არის, რას ეხება ცნობა – დაღესტანს თუ ჰერეთს. გარდა ამისა, დასაზუსტებელია თურქულის საკითხი, მისი კვალი კავკასიაში შედარებით გვიან ჩნდება, მაგრამ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა.

დამაჯერებელია აზრი იმის შესახებ, რომ VIIს. დამდეგს ჰერაკლემ საქართველოს “ზღვისპირეთი უშუალოდ ბიზანტიის სახელმწიფოს შეუერთა, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილზე საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ – მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმას, რომ ელინიზაცია სწორედ ჰერაკლეს წლებს უკავშირდება, რომ ბერძნული ენა მის დროს სახელმწიფოს ოფიციალური ენა ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის გავლენის ზრდის საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. მაგრამ აქვე მოტანილია ცნობა, თითქოს ქართლის მმართველმა მეფემ გამოთქვა უკმაყოფილება და კეისარს თხოვნა გაუგზავნა ეროვნული ტერიტორიების უკან დაბრუნებაზე. მაგრამ არ არის მითითებული წყარო.

გვ. 235-ზე ავტორი ეხება 1045-49 წწ. თბილისის გადაცემის საკითხს ქართველი მეფისათვის. მისი აზრით, თბილისის მმართველობა ხელში აუღიათ თბილისელ ბერებს. ქართველ სასულიერო პირებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება ამ საკითხზე. მიჩნეულია, რომ თბილელი ბერნი ან იგივე თბილელი უხუცესნი არიან ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენა. გასათვალისწინებელია, ალბათ, ის ფაქტი, რომ თბილისი ამ დროს მუსლიმურ დინასტიის ხელშია.

კავშირი სახელმწიფოსა და საეკლესიო მთავრობას შორის ან ეკლესიისათვის იმუნიტეტის მინიჭება ჯერ კიდევ არ ნიშნავს თეოკრატული სახელმწიფოს შექმნას. მართალია, მკვლევარი თავის მოსაზრებას, რომ დავითის დროს "ჩამოყალიბდა თეოკრატულის მსგავსი ქართული სახელმწიფო" (გვ. 240) ასაბუთებს, მაგრამ ამ აზრის გაზიარება მისი არგუმენტაციის გათვალისწინებით ძნელია.

აქვე გამოთქმულია ვარაუდი, რომ რუის-ურბნისის კრებაზე ეკლესიამ მეფეს კახეთ-ჰერეთი გადასცა, ამიტომაც უწოდებს ამ კრების ძეგლის წერა მას "რანთა და კახთა" მეფეს. უფრო ლოგიკური იქნებოდა ვარაუდი, რომ კახეთი-ჰერეთის შემოერთება 1103 წ. წინ უსწრებდა რუის-ურბნისის კრებას.

ერთგვარი გაზვიადებაა და დასაზუსტებელია 249-ზე ნათქვამი, რომ "თამარი უკვე სრულიად საქართველოს მეფე გახდა. ეს საქართველო კი ფაქტიურად მთელ კავკასიას მოიცავდა".

გვ. 252-253-ზე მკვლევარი ხედავს ერთგვარ კავშირს ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღებასა და საქართველოს დასუსტებას შორის. საქართველოს დასუსტების მიზეზები ამ დროს ბევრად უფრო ღრმაა.

არაერთხელ გვხვდება აქ ტერმინი ამინსპასალარი, რაც უზუსტობაა. უნდა იყოს ამირსპასალარი რომელიც არაბული და სპარსული სიტყვებისაგან შედგება – ამირ, სიპაპ, სარდარ.

მონღოლების და ქართველების დაზავების თარიღად მითითებულია 1242 წელი. სწორი თარიღია 1243 (გვ. 262) ტრადიციისამებრ, დავით ლაშას ძე ულუდ იხსენიება (გვ. 264), რაც აგრეთვე უზუსტობაა.

ა.წ. "ასწლოვან მატიანეზე" დაყრდნობით მკვლევარი მიიჩნევს, რომ სამცხის მთავრის ოჯახი დიდად ღმრთისმოშიში იყო, გასაოცარ პატივს სცემდა სამღვდელოებას, საეპისკოპოსოებს, მონაზვნებს (გვ. 275). ერთგვარად შეუმჩნეველი დარჩა ის ფაქტი, რომ მე-14 ს. ანონიმი, რომელიც წარმოშობით სამცხედან არის, სეპარატისტია, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ისტორიკოსია. აქედან მომდინარეობს, სხვათა შორის, მისი ლოიალობა მონღოლების მიმართ, რომელთაც სამცხეს საქართველოს მეფისაგან

დამოუკიდებლობა მიანიჭეს, მისი უარყოფითი დამოკიდებულება სამეფო ოჯახის მიმართ, განსაკუთრებით დემეტრე II-დმი, სამცხის მთავართა გაიდეალება.

ნაშრომში აღნიშნულია, თითქოს თემურ-ლენგმა ჩამოასახლა ოსები საქართველოში (გვ. 271) ამასთანავე არ არის მითითებული წყარო. რამდენადაც ვიცით, ამ ცნობის წყარო არ არსებობს, თუმცა თემურ-ლენგის შემდეგ მიგრაციული ტალღა ჩრდილოეთიდან მართლაც მოსალოდნელია.

გვ. 299-ზე მითითებულია ირან-ოსმალეთის ზავის თარიღი – 1588. უნდა იყოს 1590.

წიგნში დამაჯერებლად არის ახსნილი, თუ რატომ იყო საქართველოში მართლმადიდებლობა ასე მიუღებელი დამპყრობლებისათვის გვიან შუა საუკუნეებში. ახსნილია, თუ როგორ იწვევდა მართლმდიდებლობის დაკარგვა, დენაციონალიზაციას და ზოგიერთ შემთხვევაში ტერიტორიის დაკარგვასაც. ნაჩვენებია საქართველოს ეკლესიის როლი ეროვნების შენარჩუნების საქმეში და სხვა.

ზედმიწევნით ობიექტურად არის გაშუქებული ურთიერთობა თურქეთ-ირანთან და განსაკუთრებით რუსეთთან. ზედმეტად მკაცრად მეჩვენება მეფე როსტომის შეფასება, რომელიც ქართლში 1633 წელს გამეფდა და არა 1632 წელს, როგორც ეს წიგნშია მითითებული. ავტორიც მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ "როსტომის დროიდან სპარსელთა თვალსაზრისით ქართლი მიიჩნეოდა ირანის ქვეშევრდომ ქვეყნად, როსტომი სპარსელ ვალად (და არა ვალად, როგორც ეს ნაშრომშია), ირანის შაჰის მოხელედ", მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართლი და კახეთი როსტომის დროს სპარსთაგან დაპყრობილი ქვეყანაა, სადაც გაუქმებულია მეფობა.

გ. ჟორჟოლიანი, რომელიც სპეციალურად იკვლევს ამ ხანას, აღნიშნავს, რომ 30-50-იან წწ. მაჰმადიანობას ქართლში საკმაოდ არამყარი მდგომარეობა ჰქონდა. გამაჰმადიანებული მეფე როსტომი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა მეჩეთების მშენებლობის მიზნით. ქვეყანას შერჩა სარწმუნოება და ქართული ენაც. ის, რომ როსტომი სპარსების სასურველ პოლიტიკას არ ატარებდა, გამოჩნდა იმითაც, რომ მას ჩამოერთვა კახეთის გამგებლობა.

მთლად ობიექტურად არ მიმაჩნია ფარსადან გორგიჯანიძის მოღვაწეობის შეფასებაც.

ფარსადან გორგიჯანიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მან მონაწილეობა მიიღო შაჰ-ნამეს ქართული შესაბამის გადაწერასა თუ გალექსვა-რედაქტირებაში. მანვე შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ქართულ ენაზე თარგმნა ზოგიერთი აღმოსავლური თხზულება და, მათ

შორის, "ტამი-აბასი – მუსულმანთა სასჯულო წიგნი და კანონი" და სხვ. მაგრამ მისი ძირითადი დამსახურება საქართველოს ისტორიის შექმნაა დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ.

შემდეგ ფარსადან გორგიჯანიძე იყო ის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ირანში, ქართულ ენაზე დაწერა საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან მე-17 ს. დასასრულამდე. განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის უკანასკნელი მონაკვეთი – მე-16-17 სს. მოვლენები, რისთვისაც მან არაერთი უცნობი, ძირითადად სპარსული წყაროები გამოიყენა და შეავსო ისინი. თვითმხილველთა ცნობებით და საკუთარი თვალით ნანახით. მისი ეს თხზულება საფუძვლად დაედო შემდგომი ხანის ქართულ საისტორიო ძეგლებს.

თეიმურაზ II და ერკლე II-ის დამსახურებაზე საუბრისას მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა, ალბთ, საერთაშორისო ვითარებას. ნადირშაჰის დროინდელი სპარსეთი აღარ ჰგავდა შაჰ-აბასის შექმნილ და მის მიერ დატოვებულ სახელმწიფოს. დაპყრობილი ავღანელებისაგან და დამარცხებული თურქთაგან ის თვითონ მოითხოვდა მოკავშირეებს. სწორედ მოკავშირეობისათვის ჯილდოდ მიეღოთ მამა-შვილს ქრისტიანული წესით კურთხევის უფლება. თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ პირად დამსახურებასაც. გვ. 332-ზე ნათქვამია, რომ სპარსელებმა ღალატით მოკლეს გიორგი XI. გიორგი XI მოკლეს ავღანელებმა. ამიტომ მოტანილი წინადადება ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

ნაშრომში საკმაო ადგილი ეთმობა ქართველების კათოლიკობაზე გადასვლის მიზეზებს. მაგრამ იმის გამო, რომ ავტორი შემდეგ სხვადასხვა არგუმენტით ცდილობს დაამტკიცოს, რომ კათოლიკობა არ მიუღიათ ს.-ს. ორბელიანს ან მაგ. ანტონ კათოლიკოსს და არ მოყავს კათოლიკობის მიღების არცერთი კონკრეტული მაგალითი, მკითხველს ერთგვარი უკმარისობის გრძნობა გაუჩნდება. ნაშრომში გაკვრით იხსენიება და ვფიქრობ, უფრო მეტის თქმა შეიძლება მე-18-19 სს. შექმნილი კომისიების საქმიანობაზე, რომელთაც კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენა ევალებოდათ და სადაც ქართველების წვლილი ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, წიგნი ტევადია შინაარსით, ძალზე დიდია თავისი მნიშვნელობით და ერთ რეცენზიაში შეუძლებელია მისი ამომწურავი შეფასება. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ისტორიას და ქართული ეკლესიის მკვლევარები მას არაერთხელ დაუბრუნდებიან და არა მარტო იკამათებენ აქ წარმოდგენილ საკითხებზე, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ გაიზიარებენ და გაითვალისწინებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვშუამდგომლობ საბჭოს წინაშე, რათა მიენიჭოს ანანია ჯაფარიძეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გ. ალასანია

მთავარეპისკოპოს ანანიას პასუხი ოფიციალურ ოპონენტს ქალბატონ გიული ალასანიას

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ოფიციალურ ოპონენტს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიული ალასანიას მაღალი შეფასებისათვის ჩემი ნაშრომისა, რომ "იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევაა და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში იმ სისხლის გადასხმას ჰგავს, რომელიც დროდადრო აუცილებელია ჯანსაღი ორგანიზმის შესანარჩუნებლად". მე არც მოველოდი ჩემი მცირე შრომის ასეთ დიდ შეფასებას. მთლიანად ვეთამხმები ქალბატონ გიულის, რომ ჩემს წარმოდგენილ დისერტაციას გააჩნია რამდენიმე მიზანი:

1. დაუბრუნოს საქართველოს მოქალაქეს ქრისტეს სარწმუნოება და განამტკიცოს მრევლი ამ რწმენაში;
2. გაუღვივოს მკითხველს სიამაყის გრძნობა ქვეყნისა და ერის ღირსეული წარსული გამო;
3. აღადგინოს საქართველოს წარსულის ობიექტური და სრული სურათი, ამ ფონზე წარმოაჩინოს ეკლესიის ისტორია, მისი მნიშვნელობა ერის წარსულსა და აწმყოში.

ქალბატონი გიული ბრძანებს, რომ პირველი ორი მიზანი სავსებით მიღწეულია, მესამეს იგი, ვითარცა ოპონენტი, იხილავს უფრო დეტალურად.

1. ქალბატონი გიულის ძირითადი შენიშვნა ეხება გამოკვლევის ტექნიკურ მხარეს, კერძოდ კი მიუთითებს სქოლიოების არ არსებობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ რადგანაც სადისერტაციო ნაშრომი დაიბეჭდა საპატრიარქოს მთავარ ბეჭდით ორგანოში, საქართველოს საეკლესიო კალენდარში (1998), რომელიც ძირითადად განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისა და მორწმუნეთათვის, ამიტომაც ტექსტი გასაგები და ადვილად საკითხავი უნდა ყოფილიყო. სქოლიოს ნაცვლად წყაროები და ლიტერატურა მითითებულ იქნა ტექსტშივე იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ გამოცემის თითქმის პარალელურად გამომცემლობა მერანმა დაბეჭდა აღნიშნული ნაშრომის ვრცელი, უფრო სრულყოფილი ვარიანტი ორ ტომად, რომელშიც წყაროები და ლიტერატურა მრავლად არის მითითებული სქოლიოებში.
2. ქალბატონი გიულის თვალსაზრისით, მართალია, ნაშრომში გადმოცემულია პერიოდიზაცია, მაგრამ პერიოდიზაციის შემუშავებისას არ არის დაცული ერთიანი პრინციპი. მის ამოსავალს ხან ისტორიული მოვლენა, ხანაც საკუთრივ ეკლესიის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენა წარმოადგენს. კერძოდ, დაისვა კითხვა, თუ რატომ

არის მიჩნეული მიჯნად VI საუკუნე, რატომ მიიჩნევა ე.წ. ეკლესიის ოქროს ხანის დასასრულად XIV საუკუნის დამდეგი, რატომ არ არის გამოყოფილი ცალკე 1917-21 წლები.

ამ საკითხთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ VI საუკუნე ჭეშმარიტად გარდამტეხი მომენტია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ჯერ კიდევ ადრე სიმონ ჯანაშია წერდა, რომ "VI საუკუნე ნამდვილად ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ძველ ხანაში" (ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, I. გვ.1). IV საუკუნის დასაწყისის ამბების შემდეგ სიმონ ჯანაშიას VI საუკუნე უმნიშვნელოვანეს მომენტად მიაჩნდა ახალი პოლიტიკური წყობის გამარჯვების გამო. ირანელთა ხელშეწყობით "მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა და მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა" (სუმბატ დავითის ძე).

საეკლესიო ცხოვრებაშიც უდიდესი ცვლილება მოხდა. სახელმწიფოებრივი მზრუნველობით IV-V საუკუნეებში აყვავებული ქართული ეკლესია მნიშვნელოვნად დაემცრო VI ს-ში, კერძოდ, ირანელი დამპყრობლები შეეცადნენ ამიერკავკასიის ეკლესიათა შორის ჰეგემონი ეკლესიის როლი მიენიჭებინათ სომხური ეკლესიისათვის. მიზეზი ამისა იყო ის, რომ სწორედ VI საუკუნეში გამოიკვეთა სომხური ეკლესიის მიდრეკილება მონოფიზიტური სარწმუნოებისადმი, რომელიც წახალისებული იყო ირანის მიერ, როგორც ანტიბიზანტიური აღმსარებლობა. ამავე დროს ქართველმა ეკლესიამ დაიცვა მართლმადიდებლობა და, მიუხედავად ირანელთა მხრიდან დიდი დევნისა, მხარი დაუჭირა ქალკედონიტობას, ეს თანდათან გამოიკვეთა VI საუკუნის შუა წლებიდან. ამის გამო ქართული ეკლესია იქცა დევნის ობიექტად, დამპყრობლები შეეცადნენ მისი იურისდიქციისა და გავლენის საზღვრების შემცირებას მონოფიზიტური დვინის საკათალიკოსოს სასარგებლოდ, კერძოდ, ჰერეთში, რომელიც IV-V საუკუნეებში ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა ქართული საეკლესიო ენით, VI საუკუნის შემდეგ დაინერგა მონოფიზიტური აღმსარებლობა სომხური ენით, მხოლოდ X საუკუნეში დინარა დედოფლის დროს ჰერეთი დაუბრუნდა დედა-ქართულ ეკლესიას, მსგავსადვე, VI საუკუნიდან ქვემო ქართლში, რომელსაც გუგარქსაც უწოდებენ, შეიზღუდა ქართული საეკლესიო ენის უფლებები, რომლის ნაცვლად დანერგეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება, რომლის ამოფხვრასაც კირიონ კათალიკოსი შეეცადა VII საუკუნის დასაწყისში, ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების დროს.

VI საუკუნეში ირანელთა მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია. თბილისი ირანელთა ისეთ მძლავრ დასაყრდენად გადაიქცა, რომ მისი აღება გაუჭირდა ჰერაკლე

კეისარს. ჰერეკლეს მიერ VIIს-ში განხორციელებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები სწორედ VI საუკუნეში მომხდარი ცვლილებებით იგი გამოწვეული. ამიტომ VI საუკუნემ თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციაში.

3. რაც შეეხება ქართული ეკლესიის ეგრეთ წოდებული ოქროს ხანის დასასრულის მიჯნად XIV საუკუნის დასაწყისის მიჩნევას პერიოდიზაციის დროს, ვუპასუხებთ: მართალია, ქვეყანა XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან განიცდიდა აგრესორთა თავდასხმებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ დროს, XIII საუკუნეში ქართული ეკლესია კვლავ თავის სიძლიერის ზენიტში იდგა, რაც მისი მთლიანობით გამოიხატებოდა. XIV საუკუნიდან გამოიკვეთა ის ტენდენციები, რამაც XV ს. 70-იან წლებში განაპირობა ანტიოქიელი პატრიარქის მიქაელის მიერ აფხაზეთის კათალიკოსად იოაკიმეს კურთხევა, რამაც, ცხადია, საქართველოს ეკლესიის ადმინისტრაციული მთლიანობა შეარყია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამის მიუხედავად აფხაზეთის საკათალიკოსო ძველებურადვე დარჩა, ვითარცა ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი კერა ტრადიციული ქართველი მრევლით, ძველ-ქართული ადათ-წესებითა და წირვა-ლოცვის ქართული ენით.

ამ დროს, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: "განკერძოების მომხრე მეფე-მთავრები სარგებლობდნენ საქართველოში ანტიოქიელ იერუსალიმელი მოკალმასე მღვდელმთავრების მოგზაურობით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად" (ტ. III, 1982, გვ. 337), რამაც გავლენა იქონია საეკლესიო ცხოვრებაზე.

4. ქალბატონი გიული სამართლიანად სვამს კითხვას, პერიოდიზაციის დროს რატომ არ გამოიყო ცალკე 1917-21 წლები. 1917 წელი, ცხადია, საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი თარიღია, მაგრამ რაც შეეხება 1921 წელს, მას გავლენა არ მოუხდენია ქართული ეკლესის თავისთავადობაზე. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ, ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია თავისთავადობის გაუქმება. ამის მიზეზი შემდეგი იყო: რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა დატოვა რუსეთი და გადავიდა უცხოეთში, იქ გადაიქცა ე.წ. ემიგრანტულ ეკლესიად. ამან უფლება მისცა რუსეთის მთავრობას, დიდხანს, 1943 წლამდე არ ეცნო რუსეთის საეკლესიო მმართველობა, საქართველოში კი სხვაგვარი ვითარება იყო. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა და წმინდა სინოდმა 1921 წელს ოკუპაციის დროს არ მიატოვა თავისი სამწყსო-ქართველი ხალხი და არ გადავიდა უცხოეთში, უფრო მეტიც, იმის შემდეგ რაც კათალიკოს-პატრიარქმა წმინდა ამბროსი ხელაიამ 1922 წლის დასაწყისში

მიმართა გენუის კონფერენციას, ბოლშევიკებმა ვეღარ გაბედეს საქართველოს ეკლესიის ხელაღებით დაშლა და მისი გაუქმებულად გამოცხადება, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდათ. აღნიშნულის გამო 1921 წელს არ მომხდარა ცვლილება საეკლესიო სტრუქტურისა და იგი არ აისახა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში.

5. ქალბატონი გიული სამართლიანად შენიშნავს, რომ ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს ისტორიკოსების დაყოფა სამოქალაქო და საეკლესიო ავტორებად. რადგანაც ადრეულ საუკუნეებში ერთნიც და მეორენიც სასულიერო პირები იყვნენ.

შესაძლებელია, რომ ადრეულ საუკუნეებში ყველა ისტორიკოსი არ იყო სასულიერო პირი, მაგალითად, არავითარი მითითება არა გვაქვს, რომ ჯუანშერი სასულიერო პირი ყოფილიყოს.

6. პატივცემული ოპონენტის აზრით, ერთგვარად მოძველებული შეხედულებაა ჩემს მიერ თამარის ე.წ. მეორე ისტორიკოსად ბასილი ეზოსმოძღვრის მიჩნევა.

ბასილი ეზოსმოძღვარი მიჩნეულია თამარის ერთ-ერთ ისტორიკოსად ისეთ ოფიციალურ გამოცემაში, როგორიცაა ქართული ენციკლოპედია, თუმცა აღნიშნულ საკითხებში ვეთანხმები პატივცემულ ოპონენტს.

7. ქალბატონი გიულის შემდეგი შენიშვნა შეეხება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მოციქულთა მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალურად მიიჩნევა საზოგადოდ ეკლესიის ისტორიკოსთა მიერ. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ საეკლესიო კანონების ცნობილი მკვლევარი პროფესორი ტროცკი. თუ ჩვენ გვჯერა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა და მათ მიერ ეკლესიის ორგანიზება, მაშინ მისთვის არ უნდა დავიწყოთ სადმე უცხოეთში საეკლესიო ცენტრის ძიება, რადგანაც პირველსაუკუნეთა საეკლესიო პრაქტიკის შესაბამისად პირველი ეკლესიები მართლაც ავტოკეფალიები იყვნენ.

საერთოდ, ავტოკეფალიის შესახებ I ათასწლეულში ბიზანტიის იმპერიაში არსებობდა თვალსაზრისი, რომ ავტოკეფალურად უნდა ჩათვლილიყო მხოლოდ და მხოლოდ ის ეკლესია, რომელიც მოციქულის მიერ იყო დაარსებული. ამ თვალსაზრისმა თავისი ასახვა ჰპოვა გიორგი მთაწმინდელის ცნობილ პასუხებში ანტიოქიის პატრიარქთა მიმართ 1056-1057 წლებში. უცხოელი პატრიარქები საქართველოს ავტოკეფალიას ეჭვქვეშ აყენებდნენ სწორედ იმ მიზეზით, რომ საქართველოში არ უქადაგნია არც ერთ მოციქულს. გიორგი მთაწმინდელმა წერილობითი წყაროს მოშველიებით დაამტკიცა, რომ მოციქულებმა ნამდვილად იქადაგეს საქართველოში, ეს კი უკვე თავისთავად ნიშნავდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალური არსებობის უეჭველობას: გიორგი მთაწმინდელი პაექრობიდან

გამარჯვებული გამოვიდა, რადგანაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაუკავშირა საქართველოში მოციქულთა მიერ ეკლესიის დაფუძნებას. იქვე მან უეჭველად დაასაბუთა, რომ შემდგომაც, მაგალითად, VIII საუკუნეში ქართული ეკლესია არა მარტო ავტოკეფალური იყო, არამედ გუთეთის ეპისკოპოს იოანესაც კი დაასხა ხელი მისმა მეთაურმა.

პატივცემული ოპონენტი ბრძანებს, რომ არსებობს XII საუკუნის ავტორის ცნობა, თითქოსდა 1143 წლისათვის ჰელესპონტოს ამისიის საეპისკოპოსო იყო იბერია, რაც, ცხადია, ეჭვქვეშ აყენებს ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას. უთვალავი დოკუმენტი და წყარო არსებობს XII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. აღნიშნული ცნობა არ უნდა დავუკავშიროთ საქართველოს ეკლესიას. ჯერ კიდევ კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II მსგავს ცნობებს უკავშირებდა იბერიის თემს, რომელიც არსებობდა ბიზანტიის იმპერიაში. როგორც ცნობილია, იბერიის თემი, ანუ იბერიის საკატეპანო შეიქმნა კეისარ ბასილი II-ის დროს, მასში ქართულ მიწებთან ერთად შირაქის სამეფოც მოექცა ქალაქ ანისით. ამ იბერიის თემში სამწყსო, ჩანს, დაყოფილი იყო სხვადასხვა იურისდიქციის მიხედვით. თვით ანისშიც ქართული ეპისკოპოსი იჯდა, იბერიის თემში ქართულთან ერთად, ცხადია, არსებობდა სომხური საეპისკოპოსოებიც, ცხადია იყო ბერძნული საეპისკოპოსოებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ XII საუკუნის აღნიშნული ცნობა შეეხება იბერიის თემის იმ ბერძნულ საეპისკოპოსოს, რომელიც ჰელესპონტოს ამასიას ექვემდებარებოდა.

რაც შეეხება ცნობას 381 წლის II მსოფლიო კრების აქტებში ამასიას პონტოს ეპარქიის წარმომადგენლის იბერიის ეპისკოპოს პანტოფილეს შესახებ, უნდა ითქვას, რომ რადგანაც ქართულმა წყაროებმა არ იცის ასეთი სახელის მქონე ეპისკოპოსი, იგი არ უნდა ყოფილიყო ქართლის ეპისკოპოსი, თუმცა ვეთანხმები პატივცემულ ოპონენტს, რომ ამ მხრივ კვლევა უნდა გაგრძელდეს.

8. ქალბატონი გიული ერის ჩემეულ შეფასებასთან დაკავშირებით ბრძანებს, რომ ძნელია გაიზიარო ავტორის აზრი ქართველი ერის ასეთი სიძველის შესახებ.

პირველსაუკუნეთა განხილვის დროს სიტყვა "ერში" მე არ ვგულისხმობ ერის თანამედროვე გაგებას, არამედ ჩემი თვალსაზრისით, ესაა ხალხი, რომელსაც უკვე საკუთარი ქართველობის თვითშეგნება აქვს.

ფარნავაზის დროინდელი საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნება მემატიანის თვალსაზრისით იმდენად მტკიცედ არის ჩამოყალიბებული, რომ ეგრისის მმართველი ქუჯი უცხადებს მცხეთელი მამასახლისის მემკვიდრე ფარნავაზს - "შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი".

ანდა კიდევ უფრო მეტი – ქუჯი ამბობს - “გამოეჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“. ეგრისის ერისთავის აზრით, თვითონ იგი მასთან ერთად ეგრისელებიც “ყოველთა ქართველთა“ ერთი ნაწილია. მსგავსი შეხედულებაა დაცული ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაშიც. ამ მეფის სიყმაწვილისას ბერძნებმა მის სამეფოს ჩამოაჭრეს ტერიტორია ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე. ეგრისის ამ ტერიტორიის დაკარგვას, მემატიანეს სიტყვით, იგლოვებდა “ყოველი ქართველი“. ავტორი წერს: “ბერძენთა დაიპყრეს ეგრისწყალთაგან ვიდრე ციხე-გოჯამდე, მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა და იტყოდეს: “განმავრავლეთ ცოდვა ღვთისა მიმართ... მიგვცნა ჩვენ წარტყვევნად უცხოთა ნათესავთა და მიგვიღო ჩვენ საზღვარი ბერძენთაგან... ესე... იქმნა... ერისა ცოდვათაგან... წინამღვრებითა ჯვარისათა ... ვიძიოთ ჩვენ შური... ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“ (ქ.ც. I, გვ 146), ამნაირად აშკარაა, რომ ეგრისელებს თავიანთი თავი ქართველებად მიაჩნიათ, ეგრისის ერთი ნაწილის დაკარგვას მთელი ქართველი ხალხი განიცდის V საუკუნის დასაწყისში და მიიჩნევს, რომ ამ ტერიტორიის დაკარგვა მოხდა “ერის ცოდვათა“ გამო. რომელ ხალხს გულისხმობს მემატიანე მის მიერ მოხმობილ სიტყვათა “ერში?“ ცხადია, მთელ ქართველ ხალხს, მათ შორის ეგრისელებს უპირველესად, რომელნიც “წარიტყვევნა უცხო ნათესავთა მიერ“. აქედან ჩანს, რომ მემატიანის აზრით V საუკუნეში ეგრისითგან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე მცხოვრებ ხალხს ჰქონდა თავისი ქართველობის ეროვნული თვითშეგნება.

მსგავსი სურათი აქვს დახატული არსენ ბერსაც, წმინდა ნინოს ცხოვრების ერთერთ რედაქტორს. მისი ცნობა, რომელიც, ცხადია, “მოქცევაი ქართლისაის“ ეყრდნობა, ასეთია: არიან - ქართლიდან ჩამოსახლებული ხალხი არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში განსახლდა, არამედ დასავლეთ საქართველოშიც, ეგრისშიც. არსენის აზრით, ქვეყნის ორივე ნაწილში ერთი ხალხი ცხოვრობს. მათ აერთიანებთ არა მარტო ეთნიკური ერთიანობა, არამედ ენობრივიც. არსენი წერს: “ჩვენ, ქართველები, შვილნი ვართ არიან ქართლით გამოსულთანი და მათი ენა უწყით“ (ძვ. ქართ აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. III, გვ. 47). ესაა ენა ხალხისა, რომელიც ეგრისწყლიდან ალბანეთამდე დამკვიდრდა.

ცხადია, ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ არსენ ბერს “არიან ქართლიდან“ ქართველთა გადმოსახლების შესახებ, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია ძველი ქართველი მეისტორიეს თვალსაზრისი, რომ ეგრისწყლიდან ალბანეთ-სომხეთამდე ცხოვრობს ერთი ხალხი, ერთი საერთო სახალხო, სალიტერატურო, სახელმწიფო საეკლესიო ენით.

9. ქალბატონი გიულის შემდეგი შენიშვნა შეეხება წერილობით და ზეპირ ტრადიციას ქრისტეს სამსჭვალთა მანგლისის ტაძარში დაცვის შესახებ. ამ შენიშვნას მთლიანად ვიზიარებ, მაგრამ, ალბათ, წყაროთა ცნობების სხვადასხვაობა ფერხთა ფიცრისა და სამსჭვალთა ადგილსამყოფელის შესახებ გამოწვეულია იმით, რომ ეს სიწმინდეები VII საუკუნეში ჰერაკლე კეისარმა გაიტანა საქართველოდან. მემატიანე წერს - "ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესაგან მირიანისადა" (ქ.ც. I, გვ. 228), შემდგომ საუკუნეებში ქართველებმა დაიბრუნეს ეს სიწმინდეები, და ჩანს, ამის შემდეგ მანგლისში დაასვენეს "სამსჭვალნი უფლისანი", როგორც სამართლიანადაც შენიშნავს ქალბატონი გიული, თუმცა სხვა ცნობებით აქ "ფერხთა ფიცარნი" ესვენა.

10. პატივცემული ოპონენტი ჩემი მოსაზრების შესახებ, რომ წმიდა ნინოს ნაამბობის ჩაწერისას სალომე უჯარმელს უნდა ესარგებლა "ან ქართული, ან ბერძნული ან კიდევ არაბული ანბანით" - წერს, "აქ სასურველი იყო უფრო მკაფიო პოზიცია".

ეს საკითხი მე ვრცლად მაქვს განხილული ჩემი ეკლესიის ისტორიის I ტომში, საეკლესიო ტრადიცია მხარს უჭერს ქართული მწიგნობრობის ფარნავაზის ეპოქაში ჩამოყალიბების თეორიას, რაც, ცხადია, ანბანსაც შეეხება. საფიქრებელია, რომ, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, ქურუმთაწრეში დაფარულად არსებული ანბანი ქრისტიანობის სარწმუნოებად აღიარების შემდეგ რეფორმირებულ იქნა და იგი გამოიყენეს ქართული ეკლესიის საჭიროებისათვის.

11. ქალბატონი გიული მართალია, როცა ბრძანებს, რომ წყაროთა შინაარს ზოგჯერ გადმოვცემ მთლიანად, შენიშვნების გარეშე, იმისათვის, რათა მკითხველს გავაცნო საისტორიო თხზულების ერთიანი შინაარსი, მაგრამ მომდევნო პარაგრაფში წყაროებში არსებული ანაქრონიზმების შესახებ გამოვთქვამ კრიტიკულ შენიშვნებს.

12. ქალბატონი გიული წერს: "დამაჯერებელია აზრი იმის შესახებ, რომ VII ს. დამდეგს ჰერაკლემ საქართველოს "ზღვისპირეთი უშუალოთ შეუერთა ბიზანტიის სახელმწიფოს, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილზე საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ელინიზაცია სწორედ ჰერაკლეს უკავშირდება". ეს შეფასება ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგანაც ამ ფაქტის აღიარებით ადვილად შეიძლება გავიგოთ სურათი ქართული ეკლესიის იურისდიქციის აღდგენისა ამ ანექსირებულ ზღვისპირა ტერიტორიაზე VIII-X საუკუნეებში. მემატიანე VII საუკუნის პროცესების აღწერის დროს ერთად მოიხსენიებს როგორც ამ ტერიტორიის ანექსიას,

ისე აღნიშნული სიწმინდეების გატაცებას ჰერაკლე კეისრის მიერ, მათ ერთი წყარო აქვთ, ამიტომაც ერთად მოვიხსენიებთ.

13. პატივცემული ოპონენტის მოსაზრებით 1045-49 წლებში თბილისის ქართველი მეფისათვის გადაცემისას ნახსენები "თბილელი ბერები" არიან არა სასულიერო პირები, არამედ ვაჭარ-ხელოსანთა ფენა.

პატივცემულ ოპონენტს მოვახსენებ, რომ ეს ჩემი კვლევის არეალი არ არის. მე ვეყრდნობი პროფესორ პროკოფი რატიანის მოსაზრებას, რომელიც დამაჯერებლად მეჩვენა. მოვიყვან გიორგი III-ის დროს სადაო ქალაქ ანისისათვის ბრძოლის მაგალითს. ანისის სასულიერო წოდება და ეპისკოპოსი მომხრე იყვნენ იმისა, რომ ქალაქი გადაცემოდა ქართველ მეფეს. ამიტომ გიორგი III-მ დიდი თანხით გამოისყიდა ეპისკოპოსის ძმა ტყვეობიდან, შემდეგ კი იგი ანისის ამირად დანიშნა (1174-75). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ანისელ სასულიერო პირთა მსგავსად თბილელ სასულიერო პირებსაც შეეძლოთ სადავო დედაქალაქი მეფისათვის გადაეცათ.

14. ქალბატონი გიული ბრძანებს: "მკვლევარი თავის მოსაზრებას, რომ დავითის დროს "ჩამოყალიბდა თეოკრატიულის მსგავსი ქართული სახელმწიფო" ასაბუთებს, მაგრამ ამ აზრის გაზიარება მისი არგუმენტაციით ძნელია.

ცხადია მე არ ვამტკიცებ, რომ დავით აღმაშენებლის დროს ქართული სახელმწიფო თეოკრატიული სახისა იყო, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით ქართულ ეკლესიას გააჩნდა გარკვეული სახელმწიფოებრივი თვისებები. ივანე ჯავახიშვილი წერს: "საქართველოს ეკლესიას, ისევე როგორც რომის ეკლესიას სახელმწიფო, ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც მოეპოვებოდა" (ტ. VI, 1982, გვ.67).

ალბათ, იმან, რომ ქართულ ეკლესიას სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებები მოეპოვებოდა, ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას მისცა თავისებური ხასიათი. დავით აღმაშენებელმა ძირითადი სახელმწიფო უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) უშუალოდ ჩააბარა ეკლესიის იერარქს ვაზირს ჭყონდიდელ ეპისკოპოსს, მწიგნობართუხუცესს ეკავა უმაღლესი სასამართლო-სააჯო კარი. ივანე ჯავახიშვილი წერს - "ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი ფაქტიურად მეფის მოადგილე და სახელმწიფოს მთელი მართვა გამგეობის ნამდვილი საჭეთმპყრობელი იყო, რომელსაც "კარის გარიგება" მეფის მამასაც კი უწოდებს" (ტ. VII, 1984, გვ. 113). შემდგომ მოხდა ისე, რომ თამარის მეფობის

დასაწყისში კათალიკოსმა მიქაელმა თავის ხელში აიღო ზემოთ აღნიშნული თანამდებობანი – ჭყონდიდელ-მწიგნობარუხუცესობა. ამის გამო იგი, ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, "ფაქტიური გამგე უნდა გამხდარიყო სამეფოსი" (ნ. ბერძენ. ტ. IX, 1979, გვ. 198). ამან კი შეარყია მეფის უფლებანი. ივანე ჯავახიშვილი განაგრძობს: "მიქაელს, ვითარცა ერთდროულად ეკლესიის მესაჭესა და ამავე დროს ვაზირთა უპირველესს, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც სურდა. მის დაუკითხავად მეფეს არაფერი არ უნდა გაეკეთებინა, ამიტომ მიქაელს, ამიერიდან თვით მეფეზეც კი ძალა და ხელისუფლბა ექნებოდა... მიქაელი საერო-სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მქონებელი და გამაერთიანებელი იყო... ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა... ეს საისტორიო მეცნიერებაში წოდებულს ცეზაროპაპიზმს უდრიდა და რომის ეკლესიის უფლებრივ შემეცნებას მიემსგავსებოდა" (ტ.VII, გვ. 115)

ასეთ ვითარებაში კი საფუძველი ჩაეყარა ეკლესიის იერარქების სახელმწიფო სისტემის მეთაურებად გადაქცევის შემდეგ, რაც დავითის დროს მოხდა. ამიტომაც ვწერდით, რომ ჩამოყალიბდა არა თეოკრატიული, არამედ მასთან მიმსგავსებული სახელმწიფოებრივი სისტემა. უნდა ითქვას, რომ ქართული ეკლესიისათვის მიუღებელი იყო ცეზაროპაპიზმი, ამიტომაც მიქაელ კათალიკოსის აღნიშნული მტაცებლობის შესაკავებლად თამარის დროს მოიწვიეს საგანგებო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო მიქაელის ქმედება, მაგრამ მისთვის სახელოების ჩამორთმევა ვერ შეძლო.

15. ათაბაგობის ინსტიტუტთან დაკავშირებით ვეთანხმები პატივცემულ ოპონენტს, რომ საქართველოს დასუსტების მიზეზები ბევრად ღრმა იყო. მათ შორის, ალბათ, ერთერთი იყო ათაბაგის სახელოს შემოღება, XII ს. შუა წლებიდან აშკარად გამოიკვეთა მათი სეპარატისტული ტენდენციები.

16. ქალბატონი გიული წერს: "ნაშრომში აღნიშნულია, თითქოს თემურ ლენგმა ჩამოასახლა ოსები საქართველოში", ამასთანავე არ არის მითითებული წყარო, რამდენადაც ვიცით. ამ ცნობის წყარო არც არსებობს".

პატივცემულ ოპონენტს მოვახსენებ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ის ტერიტორია, რომელსაც შემდგომ ჩერქეზეთი ეწოდა, თავდაპირველად დასახლებული ყოფილა ოსებით, მათ შესახებ ვახუშტი წერს: "შემდგომად ლანგ-თემურისა ემძლვრენ ოვსთა იქით თათარხანი და აქეთ ლანგთემურის ელნი მაჰმადიანნი და ოვსნი შემოილტვოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დუალნი" (ქ.ც. IV, გვ.655).

მაშასადამე, ისტორიკოსის სიტყვით, ოსების ძირითადი ნაკადი დვალეთში შევიდა თემურ-ლენგის შემდგომ ჩრდილოკავკასიის ბარიდან მათი გაძევების შედეგად. დვალეთი კი მუდამჟამს საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი იყო. ვახუშტის სიტყვით, ოსებმა შეძლეს დამორჩილებული დვალების გაოსება, შემდგომ გაოსებული დვალები თანდათან ქართლის მთიანეთსა და ბარშიც დამკვიდრდნენ. დვალეთი ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა რუსეთის იმპერიამ და ამიტომ დვალეთი ე.წ. ნარ-მამისონის ქვაბული XIX ს.-შიც კი თბილისის გუბერნიის ნაწილს შეადგენდა. მხოლოდ ამ საუკუნის 50-იან წლებში ჩამოაშორეს იგი თბილისის გუბერნიას. ამიტომაც ოსების დვალეთში ჩასახლება უნდა ჩაითვალოს მათ საქართველოში ჩასახლებად, რომელიც თემურ-ლენგის შემდეგ მომხდარა ვახუშტის სიტყვით.

17. შემდგომი შენიშვნა პატივცემული ოპონენტისა შეეხება როსტომ მეფის შეფასების საკითხს.

აღსანიშნავია, რომ როსტომ მეფის დროს ქართლი ეკონომიკურად და კულტურულად გაძლიერდა, ქვეყანა დამშვიდდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესია როსტომის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებდა შემდეგი მიზეზების გამო. მან ხელი შეახო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ევდემოზ დიასამიძეს, შეიპყრო, ციხეში დაახრჩობინა და შემდეგ ციხის კოშკიდან გადმოაგდებინა. ეს გაუგონარი ამბავი იყო ქართველთათვის. კათალიკოსი ევდემოსი ქართული ეკლესიის წმინდანია თავდადებული სარწმუნოების გამო. უფრო ადრე მეორე კათალიკოსს, ცნობილ მოღვაწეს, ზაქარიას, როსტომმა ასევე დაატოვებინა საკათალიკოსო ტახტი. მაგრამ კიდევ უფრო ხაზგასასმელი მომენტია ის, რომ სახელმწიფოში მთავარი, უპირატესი ეკლესიის ადგილი, რომელიც ჩვენს ეკლესიას ეჭირა მეოთხე საუკუნიდან – ანულირებულ იქნა როსტომის დროს. როსტომმა გააუქმა ქართული ეკლესიის უპირატესობა საქართველოში არსებულ სხვა არაეროვნულ ეკლესიებთან შედარებით. როსტომმა პირველად ათასწლეულის შემდეგ დაამცრო საქართველოს ეკლესია, უფლებრივად იგი გაუთანაბრა სხვა, უკვე მომძლავრებულ ეკლესიებს. როსტომის პოლიტიკა აქაც კომპრომისული იყო, ოღონდ ქართული ეკლესიის უფლებათა საზიანოდ. იგი, ვითარცა ირანელი მოხელე, ვალდებული იყო მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიის მიმართ, ლოიალური ყოფილიყო რომის ეკლესიის წარმომადგენელთა მიმართაც და, ამასთანავე, როგორც ქართველი მეფე ვალდებული იყო მზრუნველობა გამოემჟღავნებინა ქართული ეკლესიის მიმართაც (მცხეთის ტაძრის გუმბათის აგება, სიონის რესტავრაცია), მაგრამ მის დროს დაიკარგა ეკლესიის მთავარი უფლება, ქართული ეკლესია უფლებრივად გაუთანაბრდა სხვა

არაქართულ ეკლესიებს და მან დაკარგა ქვეყანაში უმთავრესი და უპირველესი ეკლესიის ადგილი.

ამასთანავე, მემატიანის სიტყვით, როსტომის დროს მიიღო ტყვეთა სყიდვამ უკვე ჩამოყალიბებული სახე. კერძოდ, თუ კი იქამდე, მაჰმადიანთა მოთხოვნით ქართველი მეფეები მათ ხარკის სახით უგზავნიდნენ არაქართულ ტყვეებს, ახლა როსტომმა ტყვეებად "გამოიყვანა ქართველთა გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი და მას გაუგზავნიდა, ამიერიდან დაიდვა ესე და ყოვლნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდენ, ვიდრე მოდღეინდელ დღემდე" (ქ.ც. II. გვ. 425). მემატიანის სიტყვით, როსტომის დროს "მოუძლურდა სჯული და განირყვნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღა ეძიებენ სულიერსა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე" (გვ. 425). შეიცვალა ეროვნული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები: "მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება" (გვ. 424). მის დროს "გაძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა".

რა თქმა უნდა, დიდად დასაფასებელმა და ქვეყნისათვის სასარგებლო ეკონომიკურმა აღმავლობამ მოითხოვა ვაჭარ-ხელოსანთა რიცხვის მკვეთრი გაზრდა. იმდროინდელი ვითარების შესაბამისად ეს ფენა სომხურ-მონოფიზიტური აღმსარებლობისა უნდა ყოფილიყო. ქართველთა ეკლესიის უფლებათა შეკვეცასთან ერთად, ალბათ, აღნიშნულიც იყო ერთერთი მიზეზი, იმისა, რომ თვითმხილველის თქმით, როსტომის დროს ყოველდღიურად მრავალი ქართველი იღებდა მონოფიზიტურ სარწმუნოებას.

სწორედ ასე განაცხადა ქართველმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა როსტომის კარზე სასამართლო პროცესის დროს, კერძოდ, მან ბრძანა: "ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან" (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 127). ვახუშტის ისტორიის არსებული 1908 წლის ერთი ჩანართის მიხედვით ამ დროს თბილისის მმართველობა ჩამოერთვა ქართველ შოიშ ბარათაშვილს და გადაეცა სომეხ ბაადურ თუმანიანს (ქ.ც. IV. გვ. 445).

მართალია, ეს უკანასკნელიც ეთნიკური წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ აღმსარებლობით "სომეხი", მაგრამ ამ მომენტის შემდეგ თბილისში სომხური ეკლესიის მრევლი ძალზე გაიზარდა, ცხადია, ქართული ეკლესიის საზარალოდ. რაც შეეხება მეჩეთების მშენებლობას, მემატიანეს სიტყვით, მეჩეთები აუშენებიათ როსტომის დროს თბილისის ციხეში, მეორე აუგიათ ხევის გამოღმა, ერთიც სამეფო სასახლეში და აგრეთვე ქალაქის მთავარ ბაღში. თუმცა, ალბათ, ცხადია, პატივისცემას იმსახურებს როსტომის მოღვაწეობა ქვეყნის დასამშვიდებლად.

18. მთლიანად ვეთანხმები ქალბატონ გიულის შეფასებას ფარსადან გორგიჯანიძის დიდი ღვაწლის შესახებ. მე მისი მოხსენიება დამჭირდა მხოლოდ ეპოქის სურათის დასახატავად და გავიმეორე ივანე ჯავახიშვილის სიტყვები მის შესახებ: "სწორედ განმაცვიფრებელი და დაუჯერებელი რამაა, რომ საისტორიო ცნობები იმდროინდელ საქართველოს განათლებულ წრეებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა როსტომ მეფის მახლობელი კაცი, ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, მახინჯათ ჰქონიათ დაზეპირებული... ვახტანგ გორგასალი მირიან მეფის შვილი იყოო. ეს შემთხვევითი შეცდომა არ არის, ავტორი სრულიად დარწმუნებული ყოფილა, რომ მირიან მეფე ვახტანგ გორგასალის მამა იყო. ასეთ მაღალხარისხოვან და მეფის მახლობელ მოხელეს და ისტორიკოსს, როგორიც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, ასე დომხალივით ჰქონია არეული სამშობლო ქვეყნის წარსული და თავგადასავალი... მაშინ დანარჩენს ხალხს ჩვეულებრივს, შუათანა შეძლებისა და ცოდნის პატრონს, რაღა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა? რასაკვირველია არაფერი (ტ. VIII, გვ. 289).

როგორც აღვნიშნე, აღნიშნულის გადმოცემა მესაჭიროებოდა იმ ფონის დასახატად, რომელზეც უფრო გამოჩნდებოდა როსტომის მომდევნო ქართლის მმართველ მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი მამულიშვილობა და სამეცნიერო მუშაობა, მე ვგულისხმობ გიორგი XI-ს, არჩილ მეფეს, ვახტანგ VI-ს, ანტონ კათალიკოსს, ვახუშტისა და ამ სახელოვანი ოჯახის სხვა წევრებს, ამ ოჯახთან დაახლოებულ პირთა გასაოცარ მამულიშვილობასა, ღვაწლსა და ცოდნას, რომელთა წრეშიც წარმოიშვა იდეა საქართველოს "გამოხსნისა და აღდგომისა".

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მთლიანად ვიზიარებ ქალბატონ გიულის იმ შენიშვნებს, რომელთაც ამჟამად არ ვპასუხობ, განსაკუთრებით კი მოსაზრებებს თარიღებთან დაკავშირებით. თუ ხელმეორედ გამოიცემა აღნიშნული წიგნი აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით იგი უფრო დახვეწილ სახეს მიიღებს.

უღრმესად ვმადლობ და ვლოცავ ძვირფას ქალბატონ გიულის იმ დიდი შრომისათვის, რომელიც გაწია ჩემი ნაშრომის განსახილველად. გმადლობთ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ვახტანგ გოილაძის რეცენზია მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომზე "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII–XVIII სს.)"

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრი, წალკა-მანგლისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია ჯაფარიძე უკვე მრავალი მონოგრაფიის ავტორია. მას, როგორც სასულიერო მოღვაწესა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარს, კარგად იცნობს ქართველი მკითხველი და სამეცნიერო საზოგადოება.

ანანია ჯაფარიძის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი მის მიერ შესრულებული უზარმაზარი გამოკვლევის (რომლის ორი ტომი გამოქვეყნდა 1996, 1998 წლებში) მოკლე ვარიანტია. ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, შინაარსის მრავალფეროვნებით, განხილულ საკითხთა ნუსხით, რაც მთავარია მოცულობით (იგი 320 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს), ბევრად აღემატება საატესტაციო დებულებით საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად გათვალისწინებული ნაშრომის რაოდენობას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ასეთი ვრცელი და ყოვლისმომცველი გამოკვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა და ამ მეტად საინტერესო ნაშრომის ავტორი, როგორც ითქვა, სასულიერო პირია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საპატრიარქოში არიან კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ აღადგინონ ის ტრადიცია, როცა ქართველი სასულიერო მოღვაწეები საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიების ავტორებად გვევლინებოდნენ. საკვალიფიკაციო ნაშრომი მრავალრიცხოვან საისტორიო წყაროსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითაა შესრულებული. მასში დასმული და განხილული საკითხები მეუფე ანანიას საქართველოს ისტორიის შემადგენელ ნაწილებად მიაჩნია. როგორც იგი წერს: "ქართველი ერის ისტორიას ვერ გავიზიარებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა.

მართალია, - დასძენს მეუფე ანანია, - ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყოველმა ქართველმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და შეიყვარა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის გარეშე წარმოუდგენელია" (გვ. 287).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როგორც ცნობილია, ინტერესი ქართული ეკლესიის წარსულისადმი განსაკუთრებით გაიზარდა, აღარაა ის

ვითარება, რომელიც აფერხებდა ეროვნული ეკლესიის ისტორიის კვლევას. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საჟურნალო გამოკვლევებს ან მონოგრაფიათა ცალკეულ თავებს, რომელთა ავტორები არიან: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ბ. ლომინაძე, ზ. ალექსიძე და სხვანი, საბჭოების სამოცდაათწლიანი დიქტატურის ხანაში ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ არცერთი მონოგრაფია არ გამოცემულა. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი კი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან დღემდე. მასში დასმული და გაანალიზებული საკითხები სათანადო დონეზეა შესრულებული. ასე, რომ ნაშრომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ავტორი ღრმად იცნობს დისერტაციაში განხილული საკითხების შესახებ არსებულ ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებს. მათ ცნობებს იყენებს სათანადო კრიტიკული ანალიზისა და კონკრეტულ საკითხთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მიერ კვლევისას მიღებული არაერთი დასკვნა ორიგინალური და საყურადღებოა. ყოველივე აღნიშნული დისერტანტის მეცნიერულ ალღოზე და კვლევის უნარზე მიგვითითებს. ჩვენს წინაშეა გამობრძმედილი ისტორიკოსი-მკვლევარი, რომელსაც ხელეწიფება საქართველოს ეკლესიის არაერთი რთული საკითხი ახლებურად წარმოაჩინოს.

ქართული ეკლესიის ისტორია, როგორც აღინიშნა, ქართული სახელმწიფოებრივობის ისტორიის ნაწილია და სადისერტაციო ნაშრომში საქართველოს სამოციქული ეკლესიის ისტორია საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში და მის ფონზეა გამოცემული. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული დღემდე არაა დარჩენილი, როგორც საქართველოს, ისე ქართული ეკლესიის ისტორიის მეტად თუ ნაკლებად აქტუალური პრობლემა, რომლის შესახებაც დისერტანტს თავისი თვალსაზრისი არა ჰქონდეს გამოთქმული, კვლევის მიზანი და ამოცანა მეუფე ანანიას ასე აქვს განსაზღვრული: I. საქართველოს ეკლესია წარმოადგენს მსოფლიო (საყოველთაო) ეკლესიის განუყოფელ ნაწილს, ამიტომ მისი ისტორია მსოფლიო ეკლესიის ისტორიასთან კავშირში უნდა განვიხილოთ. II. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შედის, იგი საერო მეცნიერებაცაა, ამიტომ საქართველოს ეკლესიის ისტორია ქართველი ერის ისტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. III. საერო ისტორიისაგან განსხვავებით

ეკლესიის ისტორია ხალხის სულიერი გადარჩენისათვის გაწეულ ღვაწლს წარმოაჩენს. ეკლესიის ისტორიკოსს ევალება შეკრიბოს საჭირო ფაქტები და ისტორიული მონაცემები, კრიტიკულად შეისწავლოს ისინი, დაადგინოს მათი ნამდვილობა, უკუაგდოს ნაყალბევი, აჩვენოს საეჭვო, ამის შემდეგ კი ყველა მოპოვებული მასალა მკაცრი ქრონოლოგიური თანმიდევრობით გადმოსცეს (გვ. 107-108).

დღემდე, როგორც ცნობილია, არ იყო შექმნილი საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე, ამიტომ, ცხადია, მისი პერიოდიზაციით არც არავინ დაინტერესებულა. სადისერტაციო ნაშრომში ამ მხრივ პირველი ნაბიჯია გადადგმული. მეუფე ანანიას თანახმად, მსოფლიო ეკლესიის მსგავსად ქართული ეკლესიის ისტორიაც სამ – ძველ, შუა და ახალ პერიოდებად უნდა დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს ხანას I საუკუნიდან XI ს. 80-იან წლებამდე. შუა პერიოდი XI ს. 80-იანი წლებიდან XVIII ს. ბოლომდე და ახალი ხანა XIX ს. 10-იანი წლებიდან დღემდე (გვ. 110). თითოეული პერიოდი, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეეტაპადაა დაყოფილი (გვ. 110-113) და დისერტაციაში თხრობა ამ პერიოდების მიხედვითაა გადმოცემული (გვ. 114 და შემდეგ).

ახლა რაც შეეხება ნაშრომის შინაარსს. დისერტაციის პარაგრაფი "ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად" (გვ. 159-161) კარგი მაგალითია იმისა, ბიბლიური ცნობები როგორ შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს უძველესი, კერძოდ, ამიერკავკასიასა და წინა აზიაში სკვითებისა და კიმერიელების ლაშქრობის თანადროული ისტორიის აღსადგენად. როგორც მეუფე ანანია წერს, "ძველი აღთქმა უდიდესი წინასწარმეტყველის ეზეკიელის პირით გამოთქმული უფლის სიტყვა ქართველთა წინაპრებისაც – თუბალს, მეშექსა და თოგორმასაც შეეხო".

ძველ ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი ეზეკიელი, როგორც ცნობილია, ნაბუქოდონოსორ მეორემ (604-562) 586 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ მრავალ ებრაელთან ერთად ბაბილონში გადაასახლა. მის წინასწარმეტყველებაში მითითებულია მომავალში იუდეველთა მტრების დამარცხების შესახებ (ქსე, ტ.4, სტ. ეზეკიელი. ავტ. მზ. შანიძე). მეუფე ანანიას თანახმად, რომელნიც ისრაელზე ლაშქრობის გამო დაისაჯნენ (გვ. 139).

ჩრდილოეთის ტომების ლაშქრობის შესახებ იერემია წინასწარმეტყველიც წერს: "აჰა მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე (იერემია, 25,9).

ამ ლაშქრობისათვის, როგორც წინასწარმეტყველები წერდნენ, ყველა რომ დაისაჯონ, მათ შორის ქართველთა ის წინაპრები, რომლებიც სამხრეთში ცხოვრობდნენ

მეუფე ანანიას თანახმად, ევსევი კესარიელის იმ ცნობიდან, რომელშიც მოთხრობილია ნაბუქოდონოსორის მიერ იბერიელთა დამარცხების, დატყვევებისა და გადასახლების შესახებ (გვ. 141).

ძვ. წ. VIII ს. 30-იან წლებში, როგორც ცნობილია, მეოტიდის გზით შემოსულმა სკვითებმა და კიმერიელებმა ჯერ კოლხეთის სამეფო გაანადგურეს, შემდეგ კი წინა აზიის სახელმწიფოებს დიდი ზიანი მიაყენეს. მათი ლაშქრობის დამანგრეველი ძალა სულ უფრო და უფრო დიდი ხდებოდა, რადგან გზადაგზა დამარცხებულ ხალხებს მ.შ. ქართველთა წინაპრებსაც იერთებდნენ. ამის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებული იყო (გ. მელიქიშვილის საქ. ისტ. ნარკ. I, გვ. 394), მაბრამ ბიბლიაზე დაყრდნობით მეუფე ანანიამ ეს პირველმა გააკეთა. კიმერიელთა ლაშქრობაში ქართველთა წინაპრებიც რომ მონაწილეობდნენ, ამის დასტურად მეუფე ანანიას მოტანილი აქვს წინასწარმეტყველ ეზეკიელის სიტყვები: "უთხარი, ასე ამბობდა უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ გოგ, როშის, მუშქის და თუბილის მთავარი! გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ. თოგორის სახლს ჩრდილოეთის კიდეებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხურთ შენთან ერთად (32,96).

ამ ცნობის შემდეგ მეუფე ანანიას მოაქვს თეოდორიტე კვირილის განმარტება "გეორგიკიდან" (ტ.I, გვ. 223), რომ "გოგ და მაგოგ სკვითური ტომებია, ხოლო მოსოხ, ამბობენ კაპადოკულები არიანო, თობილ კი იბერიელებიო და წინასწარმეტყველი ამბობს, ისინი სკვითებთან ერთად ლაშქრობდნენ... იძულებული გახდეს მონაწილეობა მიეღოთ ომში".

მეუფე ანანიას მიერ თეოდორიტეს ცნობის სათანადო ბიბლიურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოყენებამ ახალი ნიუანსი შესძინა ძვ. წ. VIII ს.

ბიბლიაში კარგადაა ასახული კიმერიელთა ლაშქრობებში ქართველთა წინაპრების თობალებისა და მუშქების მონაწილეობა.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ისტორიის გადმოცემა. რასაც ამ ბოლო ხანებამდე ყურადღება არ ექცეოდა. I-II სიებში საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ ძველ წყაროებში არსებული მასალა, მას შემდეგ რაც 1900 წელს ივ. ჯავახიშვილმა ანდრია პირველწოდებულის ქართლში შემოსვლა უარყო (იმ ხანად ასეთი შეხედულება მხოლოდ პატრმა ავრელიო პალმიერიმ არ გაიზიარა), ასე, სიღრმით არავის უკვლევია. ახ. წ. I-II ს-ების საქართველოს ისტორიის ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. რა თქმა უნდა, ყოველივე იმაზე, რაც საქართველოს ისტორიასა და ქართული ეკლესიის ფესვების

კვლევას ნათელს მოჰფენს, უარის თქმა არ შეიძლება. უმცირესი მასალაც კი სათანადო გაანალიზების შემდეგ ქართული კულტურის სამსახურში უნდა იქნას ჩაყენებული. სწორედ ამ მხრივ მიუდგა მეუფე ანანია საქართველოში მოციქულთა შემოსვლის საკითხს.

საქართველოში მოციქულთა შემოსვლის შესახებ, გარდა იმისა, რომ დებეჯითებით მიუთითებს ქართული წერილობითი საისტორიო ტრადიცია, ამ ფაქტის შესახებ გარკვეული მითითებებია ძველ ბერძენ და ლათინ ავტორებთან. ამიტომ კარგია, რომ სადისერტაციო ნაშრომში ეს საკითხი ფართოდ და ამომწურავადაა წარმოდგენილი. დეტალურადაა გაანგარიშებული საქართველოში მოციქულთა შემოსვლის გზები და მათი ქადაგების გეოგრაფიული არეალი (გვ. 148-153).

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის საკითხს მე ეჭვით ვუყურებდი, მაგრამ არ შეიძლება არ დაეთანხმო მეუფე ანანიას მოსაზრებას, საქართველოთი მოციქულთა დაინტერესებას I-II ს-ებში ქართლის სამეფოს სიძლიერეს რომ უნდა განეპირობებინა. მეუფე ანანია აჩვენებს, რომ მოციქულთა ეპოქაში (I ს. 30-იანი წლებიდან II ს. 60-იანი წლების ჩათვლით) საქართველო სიდიდითა და სიმძლარით დავით აღმაშენებლისა და თამარის საქართველოს შეედრებოდა (გვ. 148-149). სწორედ აღნიშნულის გამო იყოო "რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით რომ უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას, ხოლო შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ რომ ცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს" (გვ. 148).

იკვლევს რა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა შემოსვლის საკითხს, მეუფე ანანია ასკვნის: ისტორიკოსთა ცნობები გვიდასტურებენ, რომ სხვადასხვა დროს საქართველოში უქადაგიათ მოციქულებს: ანდრიას, სვიმონს, მატათას, ბართლომეს, თომას და თადეოზს (გვ. 153). შემდეგ იქვე დაასკვნის: "თორმეტ მოციქულთაგან ექვსი მოციქულის საქართველოში ქადაგება გასაოცრად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ იბერიის სახელმწიფო მოციქულთა დროს მთელ კავკასიას და მცირე აზიის პროვინციებს მოიცავდა... მცირე აზია კი ქართველებით იყო დასახლებულიო" (გვ. 153).

მართლაც, იმ ვრცელ ტერიტორიას თუ გავითვალისწინებთ, სადაც ძველად ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ განსახლებულნი, შეიძლება მეუფე ანანიას მტკიცებაში ეჭვი არ შეგვეპაროს. მაგალითად, ანდრია პირველწოდებული სულაც რომ არ შემოსულიყო საკუთრივ ქართლის ტერიტორიაზე, მისი ტრაპიზონში ყოფნა და ქადაგება (გვ. 152), მეორე მხრივ კი ძველ წყაროებში ტრაპიზონის "მეგრელთა

სოფლად“ და “მეგრელთა ქვეყნად“ მოხსენიება, სრულ საფუძველს გვაძლევს, ანდრია ქართველთა ერთ-ერთ განმანათლებლად მივიჩნიოთ. ალბათ, ასე უნდა მივუდგეთ სხვა მოციქულთა მოღვაწეობის საკითხსაც. აღნიშნულთან ერთად, სიმონ კანანელის საფლავი თუ ახალ ათონში, მატათასი კი გონიოში იმყოფება, მაშინ ცხადია, I-II საუკუნეების ქართლის სამეფო, საერთოდ ქართულენოვანი სამყარო ის მხარე ყოფილა, რომელიც ქრისტეს მოწაფების საყოველთაო ინტერესს იწვევდა. ასე, რომ მეუფე ანანიას მიერ მოციქულთა შესახებ მოტანილი მასალის საფუძველზე მიღებული დასკვნები ორიგინალურია, უფრო მეტიც, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ ნაშრომში მოტანილი მასალით მეუფე ანანია მიზნად ისახავს, სხვა კიდევ უფრო დიდი პრობლემის გადაწყვეტას. კერძოდ, მოციქულთა მიერ ახ.წ. I-II ს-ების საქართველოში ქრისტიანობის დანერგვა მეუფე ანანიას საფუძველს აძლევს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად მიიჩნიოს (გვ. 154). ნაშრომში დასაბუთებულია იმ დროისათვის ასეთი გზით წარმოქმნილი ეკლესიის ავტოკეფალურობა და თანასწორუფლებიანობა. სათანადო მასალით შემაგრებულ ასეთ მოსაზრებას ავტორი XII ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტის თეოდორე ბალსამონის კომენტარით ადასტურებს.

ადრექრისტიანული ხანის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხები. ახლა კი ორიოდ სიტყვით ქართლის მოქცევის თარიღზე.

საქართველოს ეკლესიის გადმოცემისას, რა თქმა უნდა, ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ადრექრისტიანული საქართველოს ეკლესიის ისეთ კარდინალურ საკითხს, როგორიცაა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მეუფე ანანიამ ეს საკითხი განიხილა პარაგრაფში “გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმინდა ნინომდე“ (გვ. 166-169). საქართველოში I ს-დან რომ ქრისტიანობა არსებობდა, მეუფე ანანიას მტკიცებით, ამ მხრივ საისტორიო წყაროთა ცნობებით არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალით დასტურდება. მოქცევის ჩემებური დათარიღება მისაღებად მიაჩნია.

მეუფე ანანია კითხვას სვამს: “რომელ წელს შემოვიდა წმინდა ნინო საქართველოში და გააქრისტიანა მთელი ქართველი ხალხი? ეს საინტერესო საკითხი, - დასძენს იგი, - ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. მისი მსჯელობის თანახმად, წმ. ნინო საქართველოში 303 წელს შემოვიდა. 317/318 წლებში ქართლის სამეფო კარმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა, ხოლო 324 წელს ხალხი მასიურად მოინათლა. მეუფე ანანია იქვე განმარტავს, რომ ქართლის მოქცევას 317 წლით ათარიღებდა ვახუშტი ბაგრატიონი. მის თვალსაზრისს იზიარებდა

დ. ბაქრაძე და ივ. გვარამაძე. ხოლო პ. იოსელიანს, გ. საბინინსა და რ. ცაამციევს ქართლის მოქცევის თარიღად 318 წელი მიაჩნიათო და დასძენს: 317/318 წელს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ ვ. გოილაძის მსჯელობა ძალზე დამაჯერებელია, ამიტომ უნდა აღდგეს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამორკვეული თარიღი და ქართლის მოქცევა 317/318 წლებით დათარიღდეს, ხოლო ქართული ეკლესიის ორგანიზაცია და ხალხის ნათვლა 324-326 წლებით (გვ. 169).

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა კათალიკოსებად ქართველების დაჯდომა. ვახტანგ გორგასალსა და ქართლის ეკლესიის მეთაურის მიქაელს შორის მომხდარი კონფლიქტის გაანალიზების შემდეგ მეუფე ანანია წერს: ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ ქართული ეკლესია მოწყობილიყო, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სამამამთავრო ეკლესია. ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი, ანუ კათალიკოსი გახდა. პირველ კათალიკოსს პეტრეს მამამთავარი ეწოდება, "აქედან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად"-ო, დასძენს მეუფე ანანია.

ნაშრომის IV თავში "ქართული ეკლესია VI საუკუნეში" მრავალი მასალაა მოტანილი ამ საუკუნეში ქართული მდგომარეობის საჩვენებლად. საუბარია ირანელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმებაზე (გვ. 202-206), ახსნილია, თუ რატომ მფარველობდა ირანი მონოფიზიტებს და, აქედან გამომდინარე, სომხურ ეკლესიას (გვ. 203). რატომ იყო საეკლესიო ენა ქართული ჰერეთსა, გუგარქსა და დასავლეთ საქართველოში (გვ. 207-215). ამავე თავში ცალკე პარაგრაფია "ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ" (გვ. 6). აღნიშნულ პარაგრაფში მეუფე ანანია წერს: "რომელ წელს ჩამოვიდნენ ასურელი მამები საქართველოში, როგორი სარწმუნოებივი მიმართულებისა იყო ქართული ეკლესია ამ დროს და როგორი მდგომარეობა შეიქმნა მათი მოღვაწეობის დასასრულს?

აი კითხვები, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვენ (გვ. 219) და პასუხობს, რომ თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე რუსულ ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა შესახებ შექმნილ ნაშრომებზე დაყრდნობით, მათ შემოსვლას 540-იანი წლებით ათარიღებენო (გვ. 219).

ასურელი მამებიდან ერთი მამა ანტონი, მართლაც, 544 წელს შემოვიდა ქართლში, მაგრამ დანარჩენებზე ამას ვერ ვიტყვი. ისინი ქართლში შემოვიდნენ უფრო ადრე, ფარსმან მეფის დროს 535 წლის ხანაში. ამ საკითხის შესახებ ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდა ჩემი წერილი ("საიდან და როდის მოვიდნენ ასურელი მამები

საქართველოში“, “მნათობი, 1992 №5-6) და დ. მერკვილაძის ბროშურა (ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, თბ. 1996).

მეცხრე თავში - “ქართული ეკლესია XII საუკუნეში“ გაანალიზებულია დავით აღმაშენებლის ხანის საქართველოს საეკლესიო ცხოვრება, გიორგი ჭყონდიდელის მოღვაწეობა. აქვე ნაჩვენებია, თუ რას უნდა გამოეწვია ლეგენდის შექმნა მეფე-მღვდელმთავარ იოანეზე (გვ. 221-225). ამავე თავში არაერთი საინტერესო პარაგრაფია. მაგ., “ეკლესია ქართული ქვეყნების გამაერთიანებელი“ (გვ. 233).

მასში აღნიშნულია, რომ “საქართველოს გაერთიანებამდე სხვადასხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ფაქტობრივად ქართული ეკლესია აერთიანებდა“ (გვ. 236). ამავე თავში მნიშვნელოვანია რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისადმი მიძღვნილი პარაგრაფი. მეუფე ანანიას დასკვნით, 1103 წელს მოხდა არა სახელმწიფოს მიერ ეკლესიის უპრეცედენტო დამორჩილება, არამედ შეიკრა რაღაც კავშირი სახელმწიფოსა და უმაღლეს საეკლესიო მთავრობას შორის. ჩამოყალიბდა თეოკრატიულის მსგავსი ქართული სახელმწიფო“ (გვ. 240), რომ დავით აღმაშენებლის დროს “სახელმწიფო მმართველობის სისტემას სათავეში ჩაუდგა ოთხი მონაზონი, ანუ „ოთხი ბერი“, რომლებიც დარბაზის უმაღლესი წევრები იყვნენ. რუის-ურბისის კრების შემდეგ, - დასძენს მეუფე ანანია, - მართალია, დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ მან მოიპოვა უფლებები ეკლესიაზე (საქ. ისტ. ნარკვევები, III, გვ. 216), მაგრამ, თავის მხრივ, ეკლესიამ მოიპოვა უზენაესი უფლება – ემართა სახელმწიფო საქმეები. მაშასადამე, დავით აღმაშენებელმა ეს ორი “ხელი“ გააერთიანა“ (იქვე, გვ. 218).

მეუფე ანანიას ნაშრომიდან ზემომოტანილი მსჯელობა, მართლაც, იმის ნათელი მაგალითია, როგორც თვით წერს, ქართველი ერის ისტორიას ქართული ეკლესიის ისტორიის გარეშე რომ ვერ გავიაზრებთ.

ნაშრომში ასევე კარგადაა გაანალიზებული თამარ მეფის ხანის საეკლესიო ცხოვრება (გვ. 245-212), ქართული ეკლესიის მდგომარეობა შემდეგ საუკუნეებში. აქ ყურადღებაა გამახვილებული, თუ ერთიანი ქართული მონარქიის დაშლამ როგორ განაპირობა თემობრივი შეგნების აღორძინება (გვ. 303 და შემდეგი), საუბარია ევროპული (კათოლიკური) და რუსული ორიენტაციის და მისი კრახის შესახებ (გვ. 333-339), როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა “გამოხსნის“ და აღდგომისათვის“ (გვ. 329-332). ნაჩვენებია, დიდი კათოლიკოსის – ანტონ I-ის ეპოქა (გვ. 354-356).

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებაზე საუბრისას მეუფე ანანია, ვფიქრობ, სამართლიანად ასკვნის, რომ “თვით საქართველოს გაერთიანებამდე სხვადასხვა ქართულ პოლიტიკურ

ერთეულებს ქართული ეკლესია აერთიანებდა“ (გვ. 236). ეს დასკვნა, როგორც ვხედავთ, ქართველთა ეროვნული ერთიანობის შესახებ X ს. ქართული მწერლის გიორგი მერჩულეს მოწოდებას “ქართლად ფრიადი ქვეყანა...“ ეხმაურება და ადასტურებს.

პარაგრაფში “ყივჩაღთა ჩამოსახლება“ (გვ. 233-240), მეუფე ანანია იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოში ყივჩაღების ასიმილაცია არ მომხდარა. როგორც ამ ბოლო ხანს პროფესორმა ჯემალ სტეფნაძემ გაარკვია, ყივჩაღები ისევ ჩრდ. კავკასიაში უნდა გაბრუნებულიყვნენ (იხ. მისი, სად წავიდნენ ყივჩაღები?, “მნათობი“, 1988 №4).

გარეშე მტრების თავდასხმისაგან ქვეყნის დასუსტების მიუხედავად მეუფე ანანიას ნაჩვენები აქვს, რომ XIV ს. საქართველოს მონასტრებში შემოქმედებითი მუშაობა გრძელდებოდა.

ამ დროს შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი – ლუკა იერუსალიმისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, შედგა კრებულები, შეგროვილი იქნა ხელნაწერები (გვ. 278).

საქართველოს ეკლესია სიძლიერეს ინარჩუნებდა XV ს-შიც. მეუფეს სიტყვით, “მაშინდელ მსოფლიოში საქართველოს იცნობდნენ, როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას“, ამის გამო, რომ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების (1438-45) გახსნისას საქართველოს წარმომადგენელი მიტროპოლიტი სოფრონი დიპტიხის შესაბამისად კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის წარმომადგენელთა შემდეგ დასვეს (გვ. 286). მსოფლიო საეკლესიო კრებაში აღმოსავლეთის პატრიარქთა შემდეგ დგომა საქართველოს ეკლესიის სიძლიერეზე მიუთითებს.

დედა ეკლესიისაგან სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის გამოსაყოფად ათაბაგთა (განსაკუთრებით მზეჭაბუკის 1500-1515) მცდელობა, მეუფე ანანიას თანახმად, დიდი ცოდვა იყო. ათაბაგთა ასეთი მცდელობის გამო მთელი ქართველი ერი დაზარალდა, მესხეთის დიდი ნაწილი ჩამოშორდა დედა ეკლესიას. ანდრია მოციქულის მიერ აწყურის ეკლესიაში დასვენებული სრულიად საქართველოს მფარველი ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლის ხატი იმ ხანად რომ მხოლოდ სამცხის მოსახლეობის სათემო ხატად იქნა მიჩნეული, მეუფე ანანიას თანახმად, ეს იმ ეპოქაში ეროვნული ერთიანობის გრძნობის დაკნინებით იყო გამოწვეული (გვ. 295). თემობრიობის აღორძინებამ ქართველობას საფუძველი გამოაცალა (გვ. 317). ამიტომ, მეუფე ანანიას დასკვნით, “ეროვნული გადარჩენისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა და გაძლიერება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა“ (გვ. 329).

ასეთი ძნელბედობის ჟამს ცალკეულ საქართველოებად დანაწილებული ქვეყნის საეპისკოპოსოები კვლავ რჩებოდნენ კულტურის ცენტრებად (გვ. 342), ქართული ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვან შემობრუნებად მეუფე ანანია ოსმალობისა და ყიზილბაშობის შემდეგ მცხეთაში ქრისტიანული წესით თეიმურაზ II-ის კურთხევას თვლის, მხოლოდ სინანულს გამოთქვამს, რომ სვეტიცხოველში არსებული სამეფო ტახტი, რომელიც მეფეთა და კათალიკოს-პატრიარქთა კურთხევისას გამოიყენებოდა, XX ს-ში "რესტავრაციას შეეწირა" (გვ. 351).

მეტად საინტერესოა ნაშრომის ის თავები და პარაგრაფები, რომელშიც განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორია XIX-XX საუკუნეებში: საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა ეგზარქოსების ხანაში, ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ავტოკეფალიის აღდგენა და დადასტურება და სხვა. ერთი სიტყვით, როგორც შესავალში აღვნიშნე, მთავარეპისკოპოსის მეუფე ანანია ჯაფარიძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი ბევრად (თითქმის 170 გვერდი) აღემატება იმ მოცულობას, რაც საატესტაციო კომისიის დებულებით ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომს მოეთხოვება. ამიტომ მასში აღძრულ, გაანალიზებულ და გადაჭრილ ყოველ საკითხზე შეჩერება და სათანადო ავკარგიანობის შესახებ აზრის გამოთქმა და დასაბუთება ძნელია. მაგრამ სადისერტაციო ნაშრომის შესახებ სანამ გამოსვლას დავამთავრებ მინდა კიდევ ერთხელ ადრე ქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიის საკითხებს დავუბრუნდე. გამოკვლევის ამ ნაწილში საინტერესოა "სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა". აქ ახსნილია, რას ნიშნავს "ორთოდოქსალური", რატომ უნდა იწოდებოდეს "საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია" "საქართველოს სამოციქულო ეკლესიად", რას მოიცავს "ქართული ეკლესიის სამწყსო" (გვ. 147-158). V ს-ში "ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების" გაანალიზებისას მეუფე ანანიას მიერ მიღებული დასკვნა, რომ "ვახტანგის ეპოქაში ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა (გვ. 160). ესადაგება ამ ცოტა ხნის წინ ამ დარბაზში სამეცნიერო სესიაზე ბ-ნ დავით მუსხელიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენებისას მიღებულ დასკვნას. ასევე შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა V-VI ს-ებში ქართული და სომხური ეკლესიების დამოკიდებულებაზე (გვ. 212-213), მაგრამ ამჯერად მხოლოდ ქართული კულტურისათვის ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს შევეხები.

როგორც ითქვა, ნაშრომში მრავლადაა ისეთი თხრობა, რომელშიც ახსნილია ახალშობილი იესოს მიმართ მოგვთა თაყვანისცემა.

სახარებისეული ეს ეპიზოდი ჩემში პირადად ყოველთვის აუხსნელი იყო და ვერ გამეგო, რამ გამოიწვია ცეცხლთაყვანისმცემელთა თაყვანისცემა, რელიგიის ზოროასტრიულ მსახურთა – მოგვთა ახალშობილ იესოსთან გამოცხადება და ა.შ.

როგორც სათანადო ევროპულ ლიტერატურაზე (ე. სვეტლოვ, ვესტნიკ ცარსტვა ბოჟია, V, 1972, გვ. 363). დაყრდნობით მეუფე ანანია აჩვენებს, რომ ისრაელის გარეთ ზოროასტიზმი მსოფლიოს ერთადერთი რელიგია ყოფილა, რომელიც იცნობდა მესიანიზმს.

ისრაელთა გარდა მხოლოდ ამ რელიგიის მიმდევრებს სწამდათ მომავალი სუფევა უფლისა და მოელოდნენ ამ ქვეყნად მსოფლიოს მხსნელის მოსვლას.

მიიჩნევა, რომ სულიწმინდა იმ ხალხებსაც, რომლებიც ბიბლიას არ აღიარებდნენ, ამზადებდა მაცხოვრის მისაღებად (სვეტლოვი 375). ამიტომ მხსნელის მოლოდინის გამო ზოროასტრიზმის ქურუმები – მოგვები პირველნი მივიდნენ ახალშობილ იესოს თაყვანისაცემლად (გვ. 144-145).

თითქმის ამავე საკითხს უკავშირდება და მეტად საინტერესოა, თუ რას უნდა ნიშნავდეს "წიგნი ნებროთისა".

როგორც "მეფეთა ცხოვრებაში" ნათქვამია, ეს წიგნი ჯერ კიდევ წარმართ მეფე მირიანს ჰქონდა. "მეფეთა ცხოვრების" ცნობით, მირიანმა მასში "პოვა წერილი ესრეთ "უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეფე იგი ცისა... მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნას შენ" (ქართ. ცხ. 1. გვ. 105).

მეუფე ანანია წერს: მეფე მირიანმა წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანებულ აბიათარისაგან მრავალჯერ გამოიკითხა ცნობები "ძველთა და ახალთა წიგნთა". (გაქრისტიანებამდე აბიათარი ძველი აღთქმის, ე.ი. იუდაისტური სარწმუნოების მღვდელი იყო). მეფე მირიანს, რომელიც გაქრისტიანებამდე ცეცხლთაყვანისმცემლობასაც იცნობდა, "ნებროთის წიგნი" ჰქონია. ეს უნდა ყოფილიყო არა ძველი აღთქმის აპოკრიფები, არამედ სწორედ ზოროასტრიზმის სულიერი ცოდნის შემცველი "სპარსთა წმინდა წიგნი" ავესტა, რომელსაც ზოგჯერ ირანულ ბიბლიასაც უწოდებდნენ. მეუფე ანანიას ასეთი მოსაზრების დასტურად მიაჩნია "ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში ქართველთა ცხოვრების აღმწერელ თხზულებას წინ უძღვის მსოფლიო ისტორიისადმი მიძღვნილი ნაკვეთი, რომელშიც ნებროთი ცეცხლთაყვანისმცემლად და მის ერთ-ერთ მოძღვრადაა გამოყვანილი (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 440).

მაშასადამე, - განაგრძობს მეუფე ანანია, - წმინდა ნინოს სასწაულთა შემდეგ მეფე მირიანი საგანგებოდ გაეცნო ძველი და ახალი აღთქმის უმთავრეს იდეას და

ცეცხლთაყვანისცემლური სარწმუნოების ძირითად თვალსაზრისთან შეადარა. ამის შემდეგ, მემატიანეს სიტყვით, "გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა" (ქ. ცხ. I, გვ. 105).

როგორც ვხედავთ, ახლა გასარკვევია, რას ნიშნავს "მეფეთა ცხოვრებაში გამოთქმა "ძველნი წიგნი და ახალი ეწამვოდეს" და ამას "ნებროთის" წიგნიც დაამტკიცებდაო".

მეუფე ანანია მასაც ხსნის. "რას ეწამვოდნენ" ან რას ამტკიცებდნენ "ძველნი და ახალი წიგნნი? სვამს კითხვას და პასუხობს: "რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველებას მესიის მოსვლის შესახებ, რომელსაც "დაამტკიცებდა", ანუ ეთამხმებოდა "ნებროთის წიგნი", ამან სრულიად შეძრა მეფე მირიანი და ხელი შეუწყო მის გაქრისტიანებას. შემდეგ მეუფე განაგრძობს, სამეფო ოჯახში "ნებროთის წიგნის არსებობის შესახებ მოგვითხრობს ჯუანშერიც, რომელიც ვახტანგს ათქმევინებს: "მამათა ჩუენთა ფარულად ეპყრა წიგნი ესე", ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ III-IVსაუკუნეებში ქართველი ერის საუკეთესო ნაწილს გაგებული ჰქონდა მესიის მოსალოდნელი მოსვლის შესახებ"-ო (გვ. 145-146).

ამრიგად, მეუფე ანანიას დასკვნით, "ნებროთის წიგნი", როგორც აქამდე ეგონათ, ძველი აღთქმის აპოკრიფი კი არაა, არამედ "სპარსთა წმინდა წიგნი" ავესტაა.

ვფიქრობ, გამოდის, რომ მირიანის დროს სამეფო ოჯახში იყო მისი ქართული თარგმანი. ეს წიგნი დარჩენილა სამეფო ოჯახში და V ს-ში ვახტანგ გორგასალმა იცოდა, "მამათა ჩუენთა დაფარულად რომ ეპყრათ წიგნი ესე " - ნებროთისა" (ქ. ცხ. I, გვ. 140-142).

რა საფუძველი გვაქვს IV ს. დამდეგისათვის "ნებროთის წიგნის" ქართული თარგმანის არსებობა ვამტკიცოთ და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ცხოვრებაში?

აკად. კ. კეკელიძის თანახმად, "ნებროთის წიგნი" არ არსებობდა ქართულად, იგი არ შენახულა არც სხვა რომელიმე ენაზე და, როგორც გაირკვა, ის არ არსებობდა (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 441, გვ. 438). სინამდვილეში ნებროთის წიგნის შესახებ ცნობას, - დასძენს იგი, - საფუძვლად დაედო აპოგრაფი ფსევდოეფრემისა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის თანახმად, წარმოადგენს თხზულების, განძთა ქვაბის ერთ-ერთი რედაქციის, თარგმანს (იქვე გვ. 438).

ეს აპოკრიფი, - განაგრძობს ბ-ი კორნელი, - რომელშიც მესიაზე ან მაცხოვარზედაცაა ლაპარაკი და ნებროთის გმირობაზეც, მ. ჯანაშვილს მიაჩნდა ნებროთის წიგნად. მაგრამ ეს შეცდომაა, დასახელებული აპოკრიფი არაა ნებროთის

წიგნი, ვინაიდან ის თვითონ უჩვენებს ნებროთის წყაროს. რომელსაც ამნაირად ახასიათებს: “ხოლო იგი წიგნი, რომელიც ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღუართა ეკლესიისათა, ამისთვის, რამეთუ ვარსკვლავთრიცხუათ არს, არამედ სპარსნი უწოდებენ ღირსად წმინდად, ხოლო ბრძენნი უწოდებენ ვარსკვლავთრიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგუენი ფედ სახელსდებენ, რომელ არს წიგნი სიტყვსა: ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღუებაი ეშმაკისთა სიბილწისაი, და უმეცარნი იყვან, ვითარმედ ჭეშმარიტად არისო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისა“ (კ. კეკელიძე, გვ. 439).

ამრიგად, “ნებროთის წიგნს“ თუ “სპარსნი უწოდებენ ღირსად წმიდადა“, ხოლო “მოგუნი ფედ სახელდებენ“, თანაც “ნებროთის წიგნი“ მთელ და ახალ აღთქმას მესიის მოსვლის საკითხში ეთანხმებოდა, მაშინ მართალი ბრძანდება მეუფე ანანია და “ნებროთის წიგნის“ სახით მირიანის დროის ქართლის სამეფოში ავესტის (უფრო სწორედ მისი რაღაც ნაწილი ან კომენტარები) ქართული თარგმანი უნდა ჰქონებოდათ. ამიტომ ბ-ნი კ. კეკელიძის კატეგორიული მტკიცება “არავითარი ნებროთის წიგნი არ არსებობდა არც ქართულ, არც სხვა რომელიმე ენაზე, თქმულება ნებროთის წიგნის შესახებ შეთხზულია. ლეონტი მროველის მიერო“ (გვ. 440, 441), გადასინჯვას მოითხოვს. მეუფე ანანიას ზემომოტანილი დასკვნის დასტურად მინდა დავძინო: “ზოროასტრიზმს სწამდა მომავალი სუფევა უფლისა და მოელოდა ამ ქვეყნად მსოფლიოს მხსნელის მოსვლას“, რის გამოც ზორასტული რელიგიის მსახურნი - მოგვები პირველნი მივიდნენ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს თაყვანისაცემად, ჩანს, “წიგნი ნებროთისა“ (ავესტის რაღაც ნაწილი თუ კომენტარები) საკმაოდ გავრცელებული იყო ძველი აღმოსავლეთის ხალხებში, მისი თარგმანი იყო ქრისტიანობის წინა და შემდგომი ხანის ქართლის სამეფოშიც.

რაც შეეხება ბატონი კორნელის მტკიცებას, რომ ნებროთის წიგნი (თუ იგი მართლაც ავესტის ნაწილი იყო) არ შემონახულა არც ქართულ და სხვა რომელიმე ენაზე. ავესტას თავგადასავალს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ნებროთის წიგნი მართლაც, არ შემონახულიყო. ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, “ნებროთის წიგნი“ არ “შეიწყნარეს მოძღუართა ეკლესიისათა“, რადგან ჩათვალეს, რომ იგი იყო “წიგნი გრძნებისა და მოძღურებაი ეშმაკთა სიბილწისაი“ და, ცხადია, მას გაანადგურებდნენ. რაც მთავარია, იგი გაანადგურა სასანიანთა ირანის დაღუპვამ. როგორც ცნობილია, არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ ზოროასტრიული რელიგიის ის მიმდევრები, რომლებმაც ისლამი არ მიიღეს, ინდოეთში გადასახლდნენ. მათ თან წაიღეს თავიანთი წმინდა წიგნი - ავესტა. ევროპაში ამ წიგნის არსებობის შესახებ მხოლოდ XVIIIს-ში

გახდა ცნობილი (როგორც ცნობილია, ფრანგმა სწავლულმა დიუპერონმა სპეციალურად შეისწავლა ავესტის ენა და 1771 წ. ფრანგული თარგმანი გამოსცა ოქსფორდში). ავესტის შინაარსით, თუ იგი, მართლაც იგივე "ნებროთის წიგნია" იმთავითვე ჩრდ. შუამდინარეთის მოსახლეობასთან ერთად, ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ნებროთი ბიბლიის თანახმად, შუამდინარეთის პირველი მეფე იყო და ამ სამეფოში შედიოდა ქართველთა ერთ-ერთი წინაპარი თუბალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა დავძინო: მეუფე ანანია ჯაფარიძის ნაშრომის სახით ჩვენს წინაშეა მეტად საინტერესო, დიდი და თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნილი "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", რომელშიც ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია მოციქულთა დროიდან დღემდე. ამ ორიათასწლოვანი ისტორიის ზოგიერთი საკითხი შეიძლება საკამათოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ძირითადად ამა თუ იმ საკითხზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სხვადასხვა შეხედულებით ან ამ საკითხთა შესახებ არსებულ საისტორიო წყაროთა სიმცირითაა გამოწვეული. საერთოდ, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომის სახით ჩვენს ხელთაა პირველი მონოგრაფიები, რომლებშიც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთიანი ისტორიაა გადმოცემული. თანაც ამ, მონოგრაფიებით თავისუფალი საქართველოს პირობებში ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში. სულ რამდენიმე წელია, რაც ორიათასწლოვანმა ქართულმა ეკლესიამ თავისუფლად ამოისუნთქა. ბოლშევიკთა ბატონობის დასაწყისში კირიონ კათალიკოსს განუცხადებია: "გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გაველურების, გახრწნის კარამდე" (გვ. 418). როგორც მეუფე ანანია წერს: "ბოლშევიკ-ათეისტების ხელისუფლების – უმძიმესი ბატონობის დროს, მართალია, ერი გადაურჩა ფიზიკურად გადაშენებას, მაგრამ "სულიერ გაველურებას და სულიერ გახრწნას", ჩანს, თავი ვერ აარიდაო" (გვ. 418). მეუფე ანანიას წიგნები ჩვენი ერის ასეთ ნაწილს, ალბათ, სალბუნად უნდა დაედოს, რათა ისინი დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდნენ.

ძირითადად ასეთია ჩემი შთაბეჭდილებანი მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე.

რაც შეეხება შენიშვნებს. ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე მეუფე ანანიას ბოლომდე ვერ დავეთანხმები. ავტოკეფალიის შესახებ საუბრისას ზემოთ აღვნიშნე, რომ ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებოდი.

მეუფე ანანია მართალი ბრძანდება, ქრისტიანობის პირველ საუკუნეში წარმოქმნილი ეკლესიები, მართლაც, ავტოკეფალურები იყვნენ. ასე იყო მოწყობილი თვით რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის პროვინციებში, აქ მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკური, ისტორიული და სხვა თვისებათა მიხედვით მცირე და დიდ საეკლესიო ოლქებად იყოფოდა. ოლქებს სათავეში ედგნენ ეპისკოპოსები. თავისი საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე ეპისკოპოსი ახორციელებდა საეკლესიო ზედამხედველობას, უფლება ჰქონდა მოეწვია საეკლესიო კრება და მისი თავმჯდომარე ყოფილიყო. კრების თანხმობით ეპისკოპოს თავმჯდომარეს შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა მისდამი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი. მცირე და წინა აზიაში ამ მხრივ თანდათან გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე შექმნილი ისეთი დიდი საეპისკოპოსოები, როგორებიც იყვნენ: ტარსისა-კილიკიაში, კესარიისა-კაპადოკიაში, ეფესოსი-აზიაში, ტვიროსისა-ფინიკიაში, ედესისა-მესოპოტამიაში, ბოსტრისა-არაბეთში, ნეოკესარიისა-პოლემონეს პონტოში, ანკირისა-გალატიაში, იკონიისა-ლიკაოიაში და სხვები.

ეროვნულ და ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი საეპისკოპოსოების არსებობა ცნო 314 წ. ანკირაში გამართულმა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ. ამ კრების მე-18 კანონით ზემოდასახელებული საეპისკოპოსოები თანასწორად და დამოუკიდებლად გამოცხადდა. ეს დადგენილება ... "მართალია" დაადასტურა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-4 და მე-5 და ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების (344 წ.) მე-9, 14, 15, 19, 20 კანონმა (პ. გიდულიანოვი, 1905, გვ. 226-227) მაგრამ საქმე ის იყო, რომ იმპერიის ფარგლებში შემავალი ეროვნული ეკლესიებიდან ყველა ვერ ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. დასახელებულ კრებათა დადგენილებები მათ არ შველოდა თავი დამოუკიდებლად ეგრძნოთ. იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ეკლესიათა შორის ადრიდანვე დამყარდა ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იყო ამა თუ იმ ეკლესიის შედარებით სიძლიერეზე და ამ ქალაქის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. საერთოდ კი, ქრისტიანთათვის ამ ქალაქის ქრისტიანული თემის საერთო ეკლესიურ ავტორიტეტზე (პ. გიდულიანოვი, გვ. 227).

სწორედ აღნიშნული პირობების გამო პირველობდა იმპერიის აღმ. ნაწილში ანტიოქიის ეპისკოპოსი. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებში ევსტათი ანტიოქიის ხელმოწერის ქვეშ 22 ეპისკოპოსის ხელმოწერა სწორედ იმის დასტურადაა

მიჩნეული, ისინი ანტიოქიის ეკლესიის გავლენაში რომ იმყოფებოდნენ (იქვე, გვ. 250-251). მართლაც, IV ს. დამდეგისათვის მთელი აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრი ანტიოქია იყო. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მისი სულიერი გავლენა გარდა საკუთრივ სირიისა, ვრცელდებოდა არა მარტო მცირე აზიაზე, პორტისა და აზიის ჩრდ-აღმ. ნაწილზე, არამედ შორეულ სპარსეთზე, სომხეთზე, საქართველოზე (პაგიდულიანოვი, 1908, გვ. 279).

ანტიოქიის ეპისკოპოსს უნდა ეზრუნა ამ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებასა და გამყარებაზე (პ. გიდულიანოვი, 1905, გვ. 235). ანტიოქიის ეპისკოპოსები ჯერ დახმარებას უწევდნენ სუსტ ქრისტიანულ თემებს, შემდეგ საეკლესიო რეცეფციის ძალით მათზე იმტკიცებდნენ იერარქიულ მდგომარეობას და მათ თავიანთ ხელისუფლებას უქვემდებარებდნენ (პ. გიდულიანოვი, 1905, გვ. 223, შდრ. ა. პავლოვი).

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ ეკლესიაში?

მეუფე ანანიას თანახმად, "საქართველო რომის პროვინცია არ ყოფილა, ის იმპერიის გარეთ იყო. ამიტომ, რადგან პროვინციებში ყველა ეკლესია ავტოკეფალური იყო, ეს მით უფრო საქართველოს შესახებ ითქმის (გვ. 178). "ჩვენს ისტორიოგრაფიაში, - დასძენს მეუფე ანანია, - აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვის ექვემდებარებოდა ქართული ეკლესია შექმნის შემდეგ. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია IV ს. დასაწყისში ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა. მეორე – ამჟამად გავრცელებული აზრის თანახმად კი – კონსტანტინეპოლს დაექვემდებარა. მაგრამ, – განაგრძობს იგი, - 325 წლის ნიკეის კრების დადგენილების მიხედვით, ეკლესიათა დაქვემდებარება აკრძალული იყო". შემდეგ კითხვას სვამს: "მაინც რომელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა ქართული ეკლესია IV ს-ში, ანტიოქიის, იერუსალიმის თუ კონსტანტინეპოლისა?" და იქვე პასუხობს: "საქმე ის არის, რომ რადგან საბუთები ამის დადგენის საშუალებას არ იძლევიან, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი საბუთი არც არსებობდა"-ო (გვ. 177). ვახტანგის მიერ მიქაელის კონსტანტინეპოლში გაგზავნის გამო არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ქართული ეკლესია იმ დროს კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში შედიოდა ან როგორ შეძლო სპარსეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული ეკლესია ბიზანტიას თავის იურისდიქციაში შეეყვანა? ანტიოქიის იურისდიქციაში კი ქალკედონის კრებამდე, ივ. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილ წყაროთა თანახმად, არ ყოფილაო (გვ. 195). ანტიოქია რომ აღმოსავლეთის ეკლესიის ცენტრად მიიჩნეოდა, ეს იმას არ ნიშნავს, იერარქიულად აღმოსავლეთის ყველა ეკლესია ანტიოქიას რომ ემორჩილებოდა, ანტიოქიასთან უფრო სარწმუნოებრივ-ეკლესიური კავშირი იგულისხმებაო (გვ. 195-196).

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშე ქართული ეკლესიისათვის მეტად პრობლემატური საკითხია დასმული. კიდევ ვიმეორებ, მეუფე ანანია მართალი ბრძანდება, ადრექრისტიანულ ხანაში ყველა ეკლესია, მათ შორის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ცალკეული საეპისკოპოსოები დამოუკიდებელნი იყვნენ და ამის შესახებ მე სათანადო დამატებითი მასალაც მოვიტანე, მაგრამ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ერთიანი ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის გავლენაში მოექცა (სხვათა შორის, იმდროინდელი დამოუკიდებლობა ზემოჩამოთვლილმა დიდმა საეპისკოპოსოებმაც კი ვერ შეინარჩუნეს. ისინი სხვადასხვა საპატრიარქოების იურისდიქციაში მოექცნენ) მეუფე ანანია ასეთ გავლენას იმით უარყოფს, რომ "საქართველო რომის პროვინცია არ ყოფილა", მაგრამ 298 წელს ქ. ნისიბისში ირანსა და რომს შორის დადებული ზავით 40 წლით ქართლზე რომის პროტექტორატი რომ დამყარდა, ეს განა 298-338 წლებში რომის იმპერიასთან ქართლის სამეფოს სიახლოვეზე არ მიუთითებს? მეორეც, 318 წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეფე მირიანის მოთხოვნით ქართლში ანტიოქიის ეკლესიის გავლენაში მყოფი ბრანჯი (ე.ი. გალატელი) მთავარდიაკონი ჩამოვიდა და ეკლესიის ორგანიზაცია მოახდინა, ქართლის პირველ ეპისკოპოსად იონე დასვა, აქ მომხდარი ამბები აღწერა და წაიღო იმპერიაში. განა იმაზე არ მეტყველებს, რომ ახლადწარმოქმნილ ქართლის ეკლესიაზე იმპერიაში ვიღაც ზრუნავდა (მსგავსი ამბავი მოხდა დას. საქართველოში ეგრისის პირველ ეპისკოპოსად იბერის ძეს ხელი დაასხა პეტრე სებასტიელმა, რომელიც თავის მხრივ, იერარქიულად ანტიოქიის სამწყსოს ეკუთვნოდა).

სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ქართლის ეკლესიის ანტიოქიის იურისდიქციაში მოქცევა. ასე, რომ ბ-ნი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, თითქოს მხოლოდ ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ დაექვემდებარა ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს, არასწორია. ასევე, ქართლის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არასდროს არ ყოფილა (იხ. ჩემი ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991). 451 წლამდე კონსტანტინოპოლის ეკლესიის მრევლი უმნიშვნელო იყო. როგორც ცნობილია, ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით მიიღო ანატოლი კონსტანტინეპოლმა (449-458) ანტიოქიის ეპისკოპოს მაქსიმედან (451-455) აზიის ყველა ოლქი სკუტრიდან (კონსტანტინეპოლის გარეუბანია) გალატიამდე. ამავე კრების გადაწყვეტილებით, მაქსიმე ანტიოქიელმა იერუსალიმის ეპისკოპოსს იუბენალს (422-458) დაუთმო პალესტინა (მიქაელ ბრეკი).

ქალკედონის კრების შემდეგ თითოეული პატრიარქის სამწყსო მკაცრად განისაზღვრა. როგორც XII ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი იოანე ზონარა წერს, კონსტანტინეპოლის პატრიარქს არ შეეძლო სირიის ან პალესტინის, ფინიკიის, ან ეგვიპტის მიტროპოლიტთა საქმე გაერჩია მათი სურვილის გარეშე. სირიის მიტროპოლიტები ზონარას განმარტებით, ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდნენ, პალესტინისა იერუსალიმისაში და ასე შემდეგ, ყველა იმას ემორჩილება, ვის მიერაცაა ხელდასმული (კრების კანონები). ასე რომ, 318 წლიდან ქართლის (ასევე ეგრისის) ეკლესია ანტიოქიის გავლენაში მოექცა. ამიტომ იყო, ვახტანგ გორგასლის დროს, როგორც ქართულ წყაროშია (შატ. კრ. გვ. 325) ნათქვამი, ქართლის მოქცევიდან (317/318 წწ.) 170 წლის თავზე – 487/8 წელს ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ფულონმა ქართლის პირველ კათალიკოსად რომ პეტრე კაპადოკიელი აკურთხა.

აღნიშნულის გარდა, შეიძლებოდა სურვილი გამომეთქვა, რომ შემდგომ მუშაობაში მეუფე ანანიას ქართული ეკლესიის სამისიონერო საქმიანობაც გაეთვალისწინებინა. შეიძლებოდა რამდენიმე კორექტულ შეცდომაზეც მიმეთითებინა, მაგრამ ასეთი დიდი მოცულობის ნაშრომისათვის ეს არაფერია.

საბოლოოდ დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, დიდი ინტერესით იკითხება, იბი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიაში გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო. ჩემს მიერ ზემოთ ნაჩვენებ ღირსებათა გამო "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ავტორი მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე უყოყმანოდ იმსახურებს არა თუ ძიებულ – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, უფრო მაღალ, დოქტორის, ხარისხსაც კი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გოილაძე

პასუხი ოფიციალურ ოპონენტს ბატონ ვახტანგ გოილაძეს

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ოფიციალურ ოპონენტს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ვახტანგ გოილაძეს ჩემი ნაშრომის მაღალი შეფასებისათვის, რაც შეეხება ავტოკეფალიის საკითხში ჩვენს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, მე

ვფიქრობ, რომ მომავალი კვლევა-ძიებისას ლიტერატურისა და წყაროების შემდგომი ანალიზის შემდეგ შესაძლებელია აზრი შევიცვალო.

მთლიანად ვეთანხმები პატივცემულ ოპონენტს ქართლში ასურელ მამათა შემოსვლის თარიღთან დაკავშირებით, მათი დიდი ნაწილი ფარსმან მეფის ზეობაში უნდა შემოსულიყო.

კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ ვახტანგს იმ დიდი შრომისათვის, რომელსაც იგი დაუღალავად ეწევა ქართული ეკლესიის სასარგებლოდ და, ცხადია, ჩემი მცირე ნაშრომის დიდად დაფასებისათვის. გმადლობთ

საბჭოს წევრი ვალერიან მაჭარაძე (დოქტორი):

ბატონო თავმჯდომარე, აქ გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ნაშრომის ავტორი მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე უფრო მეტ სამეცნიერო ხარისხს იმსახურებს. მის კვალიფიციურ ოპონენტს სულით და გულით ვუჭერ მხარს... ყირიმში, სევასტოპოლიდან 6 კმ-ზე არის ხერსონესი, მარცხნის ქუჩის ბოლოში იყო პირველქრისტიანთა სასაფლაო, პირველი ქრისტიანების თავშესაფარი I საუკუნისათვის - მოციქულთა დროისათვის. მე ვფიქრობ, უნაკლო და უშენიშვნო არაფერი დაწერილა, მაგრამ მეუფის სამი ტომი რამდენიმე დღით მქონდა სახლში, გავეცანი და აღტაცებული ვარ. ვუთხარი კიდეც ბატონ ანანიას ერთ-ერთ სხდომაზე, ზაგორსკში გადაეცით მეთქი. ცხადია, შენიშვნების გათვალისწინებით მივიღებთ დადებულ ნაშრომს, ჩვენი წყაროების გამო უკეთესის გაკეთება არ შეიძლება. მე საბჭოს წევრებს მოვუწოდებ, სავსებით დამსახურებული ნაშრომია.

საბჭოს წევრი ილია ტაბაღუა (დოქტორი):

ბატონებო, მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე უსიტყვოდ იმსახურებს საძიებელ ხარისხს, ავტორეფერატი კი არა ორი ტომი სიამოვნებით წავიკითხე და აქამდე ვარ მათი გავლენის ქვეშ. სავსებით მხარს ვუჭერ აქ გამოთქმულ აზრს, თქვენ საძიებო ხარისხი, ცხადია, გეკუთვნით. მე მხოლოდ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ საქართველოს და რომს შორის ქრისტიანობის ჩასახვისთანავე არსებობდა ურთიერთობა. შუა საუკუნეებშიც ეს კავშირი არ შეწყვეტილა. XVIII საუკუნეში

კათალიკოსები, ერის საუკეთესო პირები, თანამშრომლობდნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ (რომის) ეკლესიასთან. ამ ურთიერთობის ასახვა სრულიად არ არის საშიში რწმენისათვის, პირიქით, ამ ურთიერთობის ასახვა დიდად გაალამაზებს, გაამდიდრებს ჩვენი ეკლესიის ისტორიას. ესაა ჩემი სურვილი. ბოლოს კიდევ ერთხელ მივესალმები თქვენს შრომას და გისურვებთ წარმატებებს და ასევე კიდევ ორ ტომს, კიდევ რომ გვპირდებით, აი, იმის დასრულებაში ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

თავმჯდომარე: - ხომ არ არის მსურველი საბჭოდან, მაშინ გთხოვთ დამსწრე საზოგადოებიდან.

სიტყვას ითხოვს უცნობი ქალბატონი (სიტყვას ამბობს ადგილიდან): დაუვიწყარია ის სათნოება, რომელიც ჩვენს ოჯახს მოეფინა მეუფე ანანიასაგან ამ ოციოდე წლის წინ. მაპატიეთ, შეიძლება ვღელავ, ახალციხის გზაზე მოხდა ძალზე მძიმე ავტოკატასტროფა. ჩემი შვილი და მე მოვყევით ამ ავტოკატასტროფაში. უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. მაშინ არავის ჰქონდა ჩემი შვილის გადარჩენის იმედი. მაშინ ახალციხეში დავდიოდი, ვკურატორობდი ერთ სფეროს, ძალიან გვიჭირდა და ყავარჯნით შევძელი ასვლა ეკლესიაში, რაბათში, და იქ ბატონი ანანია ახალგაზრდა საკმარისად შემხვდა. მუხლის ჩოქვით შემოვუარე ეკლესიას, მაშინ მოგეხსენებათ პარტიის მანდატი მქონდა, და სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი მოქმედება ჩემგან. ბატონი ანანია გამობრძანდა, მომკიდა ხელი, ამაყენა, ვუამბე ჩემი მდგომარეობა და სამი თვის განმავლობაში ლოცულობდა ჩემთვის. ერთადერთი იმედი მქონდა ღმერთის იმისი, რომ ჩემი შვილი გადარჩებოდა და ბატონმა ანანიამ მხურვალედ ილოცა. მე მითხრეს, რომ მხოლოდ ღმერთი ჩაერია შენი შვილის გადარჩენაშიო. მე მინდა დღეს უდიდესი მადლობა საქართველოს საუკეთესო შვილების წინაშე ბატონ ანანიას ვუთხრა. საოცარი სასწაული მოხდა და ჩემი შვილი გადარჩა, დღეს რუსეთში იმყოფება, მაშინ 16 წლის იყო, მეუფე ანანიამ უთხრა, რომ "გიორგი, შენგან კარგი ექიმი დადგება", ახლა ექიმია მართლაც. თქვენ წლების მანძილზე ლოცულობდით, ჩემმა შვილმა ჯარიც ახალციხეში მოიარა და დადიოდა იგი თქვენთან. რუსეთში ჩემს შვილს დონის როსტოვის მონასტერში ყავს თავის მოძღვარი, და დღეს აღავლინა ლოცვა, დაანთო სანთელი თქვენი დღევანდელი მომენტისათვის, თქვენი ჯანმრთელობისათვის. ვიყრი მუხლს თქვენს წინაშე და დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ოჯახის სახელით.

რევაზ ბარამიძე (პროფესორი)

ბატონებო, გადაღლილი ხართ და არ დაგაყოვნებთ, მაგრამ მე არ შემიძლია, არ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ორიოდე ფაქტზე. ჯერ ერთი, მთავარეპისკოპოს მეუფე ანანიას ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ისტორია შესანიშნავად შეაფასეს ისტორიკოსებმა. სხვა რამეზე მინდა შენიშვნა გავაკეთო. წყაროები გამოყენებულია შესანიშნავად. გარდა აქამდე უცნობი დოკუმენტებისა, საბუთებისა. ნაშრომში, წიგნები მაქვს მხედველობაში, ძალიან მდიდრულად და კარგად არის წარმოჩენილი მართლმადიდებლობის მნიშვნელობის ისტორია. აგრეთვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ბატონი ანანია კარგად ბრძანებს და სულხან-საბასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა, მოგეხსენებათ, რომ იმ დროს იყვნენ კარმელიტები. თეატინელები და შემთხვევითი არ არის, რომ არა კარმელიტების, არა თეატინელების, არამედ ბასილიანთა ორდენის წევრი გახდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია მისი სარწმუნოებივი პოზიციის შესასწავლად. მაგრამ ძირითადი, რამაც მე გამაბედინა დღეს აქ გამოსვლა, არის შემდეგი, მთელი ორი ტომი, რომელიც მე მაქვს წაკითხული, საოცრად სიღრმით არის დატვირთული იმის მტკიცებით და იმის წარმოჩენით, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და ქართული ცნობიერება, ქართული ხასიათი, ქართული აზროვნება არის ერთი დიდი მთლიანობა. ქართული ეკლესიის ფონზე კი არა, მასთან შერწყმით, ეს არის დიდი ჭეშმარიტება. ამაზე ყურადღების გაუმახვილებლობა არ იქნებოდა კარგი. საგანგებოდ მინდა ვიმსჯელო, ეს ძალიან დიდი ღირებულებაა, ამ სფეროში, როცა მართლმადიდებლური ეკლესიის ტოლძალოვნად მიიჩნევდნენ სხვადასხვა სექტებს ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში, ეს არასწორია და ეს სიღრმით არის წარმოჩენილი მეუფე ანანიას შრომებში. ეს არის საკვლევი არა მარტო სამეცნიერო, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს ბატონ ანანიას თავის შესანიშნავი ნაშრომით. მე აღტაცებული ვარ თქვენი ნაშრომით და ყოველივე წარმატებას გისურვებთ.

რევაზ ჩხეიძე (კინორეჟისორი)

არც ისტორიკოსი ვარ და არც მართლმადიდებლური ეკლესიის მსახური, მაგრამ არ შეიძლება, როგორც მოქალაქემ არ ვთქვა ჩემი შეგრძნებები იმის გამო, რომ მთავარეპისკოპოს ანანიას საქართველოს ისტორიის ორივე ეს ტომი არა მხოლოდ

საქართველოს ეკლესიის ისტორიაა, არამედ ქართველი ერის ისტორია. აი, ეს სინთეზი კარგად წარმოაჩენს, როგორ მიმდინარეობდა სამოქალაქო მშენებლობა საქართველოში. და აქ არის შეიძლება ითქვას, არაჩვეულებრივად წარმოჩენილი, თუ როგორ ვითარდებოდა საქართველო. ასეთ მიდგომას ნოვატორული ხასიათი აქვს. ნოვატორულს მე ხაზს ვუსვამ. ჩვენ ვუყურებთ არა იმას, რომ ეს ასე მოხდა, ეს ომები ჩატარდა, მერე ის მოვიდა სათავეში და ასე შემდეგ, არამედ ამ ნაშრომში ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება ერის სულიერი მოძღვრება, ამ ისტორიაში პრიმატი უჭირავს ქრისტიანობას. ქრისტიანობა და ქართველი ერის განვითარება იმდაგვარად, როგორც ეს მეუფე ანანიამ ჩამოაყალიბა, ჩემთვის ძალიან დამაჯერებელია. დიდი მამა ქართველი ერისა, ივანე ჯავახიშვილი, ეჭვით უყურებს მოციქულთა მოღვაწეობას საქართველოში, მაგრამ არსებობს წყაროები ანდრია პირველწოდებულის შესახებ, არქეოლოგიური მასალა იმ ეპოქისა, ჩვენთვის ეს აბსოლუტურად დამაჯერებელია. ბოლოს და ბოლოს ვირწმუნოთ ეს ფაქტი და მერე დავიჯერებთ. ახლა წარმოვიდგინოთ, თუკი საქართველოში ანდრია პირველწოდებული და სხვა მოციქულები I საუკუნეში მოვიდნენ, რამოდენა მნიშვნელობა აქვს ამას ქართველი ერის ისტორიისათვის და მისი ცივილიზაციისათვის.

კოლოსალური მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, ეს რა ეპოქაა და რა არის საჭირო მაინცდამაინც ვუცადოთ IV საუკუნეს, ეს დიდი მოვლენა იყო, რა თქმა უნდა, როცა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა, მაგრამ რაოდენი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ I ს-ში ღვთისმშობლის დავალებით მოდის აქ ანდრია პირველწოდებული, შემოდის აჭარიდან, ესეც ხომ დიდი ამბავია, შედის სამეგრელოში, ქართლში, სვანეთში, აფხაზეთში. ეს ნაკვლევი ჩანს. შენ რა იციო, რომ მკითხოთ შეიძლება ვერ გითხრათ ქალბატონო მარიკა, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს ასე იყო, მჯერა იმ წყაროების, რომელიც არსებობს და მარშრუტი დგინდება ძალიან მატერიალურად.

რეპლიკა დარბაზიდან, მარიამ ლორთქიფანიძე: - "მინდა რომ ბერძნული წყარო იქნეს მოპოვებული ამ საკითხზე" (ხმაური).

რეზო ჩხეიძე (აგრძელებს) – ბერძნები ბევრ რამეში ცდებიან. მე მინდა ვთქვა, რომ ეს მარტო ქრისტიანობის შემოსვლის თარიღი არ არის. ღვთისმშობელმა უთხრა მას, რომ საქართველო განსაკუთრებული ქვეყანა იყო, და ნუ გეშინია ამ სიტყვების. მგონია მე, რომ ამ წიგნში არაჩვეულებრივად არის ჩამოყალიბებული. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ბევრი რამ გახდა ნათელი, მაგალითად, ჰერეთის საკითხი. რაც ასევე მწვავე პოლიტიკური საკითხია დღევანდელ დღეს. ისტორიკოსებმა უნდა უპასუხონ, როგორ აკეთებენ ამას საუკეთესო ისტორიკოსები. ჰერეთის საკითხი არაჩვეულებრივად ზუსტადაა გადმოცემული მასში, როგორ ვითარდებოდა იქ

ქრისტიანობა, მერე სომხური ეკლესიის პრიმატი და მერე ამის მოტრიალება და, საერთოდ, ქართული ენის საკითხი არის ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული. წიგნში ჩამოყალიბებულია აბსოლუტურად დამაჯერებლად აგრეთვე ტაო-კლარჯეთის საკითხი, რომელიც ასევე ძალიან მტკივნეულია საქართველოსთვის. ძალიან კარგად ვიცით ჩვენ რამდენი მოარული, არადამაჯერებელი ისტორიკოსები, განსაკუთრებით უცხოელები და ქართველებიც ამ თემაზე ვარჯიშობენ და გვართმევენ გენიალურ ადგილებს, იდეალურ ადგილებს, როგორსაც ტაო-კლარჯეთი წარმოადგენს თავისი ხუროთმოძღვრების ძეგლებით. სახელმწიფო საქართველო ყველაზე მეტად კარგად ჟღერს იქ და როცა ამას ბატონი ანანია, ჩვენი მეუფე ადგენს და აბსოლუტურად დიდი რწმენით აღითქმება ყველაფერი, ეს ამაზე დიდი მოვლენა შეუძლებელია, მე მგონია პირადად, რომ ისტორიაზე ასეთი წიგნი არც წამიკითხავს, ეს შეიძლება ჩემი გულუბრყვილობაა, მაგრამ მე ასე ვარ დარწმუნებული. მე არ ვიცი როგორი ნიშნით ანიჭებთ ხარისხებს, ჩემი წარმოდგენით, თუ რაიმე უმაღლესი ხარისხი არსებობს მეცნიერების დარგში, ბატონ ანანიას უნდა მიენიჭოს. ახლა ბოდიში, რომ ასე თავხედობას ვიჩენ, მაგრამ მე ასე მგონია (ტაში დარბაზიდან).

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძის სიტყვა

ნება მიბოძეთ, დიდი სიამოვნებით აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენს სამეცნიერო საბჭოზე ასეთი მნიშვნელოვანი ნაშრომია გამოტანილი. ესაა მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში". ეჭვი არ მეპარება და დიდად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის გარემობა, რომ ჩვენს ეკლესიას ეწოდოს "სამოციქულო" ეკლესია, თუმცა ბატონო მეუფე ანანია ამასაც მოგახსენებთ მე, მაგალითად, ვერ მივაკვლიე იმ ბერძნულ წყაროს, სადაც იყოს მითითებული ანდრია მოციქულის მოღვაწეობა საქართველოს რომელიმე კუთხეში, სულერთია სად, საჭიროა დაკონკრეტება. მე მთლიანად ვიზიარებ ვახტანგ გოილაძის შენიშვნას. ბატონი ანანია, ალბათ, კიდევ გადახედავს ამ საკითხებს. ქართულ წყაროებში არის გარკვევით ნათქვამი, ეკლესიებში დაიღვარა სისხლი. აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმის შესახებ, რომ ჰერაკლეს მიერ ბევრი რამ გაკეთდა, ნუ გავუჯავრდებით ჰერაკლეს. ჩვენს ეკლესიაში თავი მოიყარა... შეაფარეს თავი ქრისტიანებსა და ჰერაკლემ განწმიდა ეკლესია. ქალბატონმა გიულიმ შენიშნა თბილისელ ბერებთან დაკავშირებით, რომ ასეთი ფენა იყო მოქალაქეთა ზედა ფენა. დავით აღმაშენებლის დროს მე ვერ

გავიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რომ დავით აღმაშენებლის დროს იყო თეოკრატიული სახელმწიფო. წყარო პირდაპირ მიუთითებს, რომ ეკლესიები და მონასტრები წესსა და რიგს იღებდნენ დარბაზის კარიდან. ბაბილინა ლომინაძის უდიდესი დამსახურებაა რომ ცუდ პირობებში უხდებოდა მუშაობა, ეკლესიის ისტორია შესწავლილი რომ ყოფილიყო. ნ. ბერძენიშვილი ცდილობდა როგორმე ყურადღების არეალიდან გამოეყვანა. ყველაფერი მიდიოდა ცეკაში, მერე მოსკოვში. სიტყვა "ეკლესია და მონასტერი" არ შეიძლებოდა დაწერილი ყოფილიყო. ნიკო ამბობდა ხოლმე - "რა დავარქვათ ბაბილინას თემებს", რომ თემის დამტკიცების დროს ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ეკლესიის ისტორიაა. ეს უნდა გავითვალისწინოთ... მე მთლიანად ვიზიარებ აქ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ბატონი ანანიას უდავოდ ეკუთვნის ხარისხი და ვშუამდგომლობ საბჭოს წინაშე, მაგრამ შუამდგომლობა არ არის საჭირო მგონია.

მარინე ჩხარტიშვილი (ისტორიის მეცნ. დოქტორი)

ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა, ითქვა, უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ საეკლესიო ისტორიას წერს საეკლესიო მოღვაწე, მთავარეპისკოპოსი, წმიდა სინოდის წევრი, ბატონი მეუფე ანანია ჯაფარიძე. რა თქმა უნდა, საეკლესიო ისტორია შეიძლება დაწეროს ერისკაცმა და უნდა დაწეროს კიდეც, ეს არის გარკვეული ხედვა გვერდიდან, მაგრამ ეკლესია მოგეხსენებათ, ისეთი ფენომენია, აუცილებელია მისი დანახვა შიგნიდან. მე ამას ასეთი დაბეჯითებით იმიტომ გეუბნებით, რომ თავად ეკლესიის ისტორიის წყაროებზე ვმუშაობ და თვითონ საერო განათლება მაქვს. ხშირად მიგრძვნია ჩემს თავში ამ ხედვის ნაკლოვანება. იცით, მაინც აგიოგრაფიული ძეგლი არ არის ლიტერატურა, ის უფრო მეტია ისევე, როგორც ხატი არ არის მარტო ნახატი, ეს არის, პირვრლ რიგში, მისასალმებელი, ითქვა აქ, რომ ესაა გადებული ხიდი მეცნირებასა და ეკლესიას შორის. მეცნიერებაც ეძებს ჭეშმარიტებას და ეკლესია ეძებს ჭეშმარიტებას. ბუნებრივია, არ არსებობს ისეთი ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენს ეკლესიას არ წაადგება და მე დადებითად მესმის. ესაა მამულიშვილის მიერ დაწერილი, ამიტომ მასთან კამათი საკმაოდ ძნელია იმიტომ, რომ გააზრებული აქვს მას ეს მომენტები და ძალიან კარგად აჩვენებს, როგორც უკავშირდება ერთმანეთს მამულიშვილობა და მეცნიერული ობიექტურობა. კარგად ჩანს, რომ ეს სავსებით შეთავსებადია. იმის შესახებაც ითქვა, რომ ნაჩვენები ქართული ეკლესიის ისტორია – ეს არის მართლმადიდებლობის ისტორიის ეპიზოდი. ვრცელი, მაგრამ მაინც ეპიზოდი,

ჩვენ ახალი კულტურის პირისპირ აღმოვჩნდით და უნდა გადავხარშოთ ეს კულტურა. ჩვენ რიგებს შემჭიდროება სჭირდება და ისტორიული წარსულის ანალიზი სწორედ ამისთვის არის საჭირო, ყველაფერი ამისთვის მას ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვუხადო და აგრეთვე იმის გამო, რომ ის თვალსაზრისი, რომელიც მე რამდენიმე ხნის წინ გამოვთქვი წმიდა ნინოს ცხოვრების დათარიღებასთან დაკავშირებით, მან გაიზიარა. მოგეხსენებათ, XX საუკუნის შუახნის შემდეგ თარიღზე არის სხვადასხვა მკვლევარის სხვადასხვა აზროვნება. სალომე უჯარმელის ავტორობის შესახებ ჩემი თვალსაზრისი არავის გაუზიარებია. ძალიან მარტოდ ვგრძნობდი თავს და მეუფე ანანიამ ეს გაიზიარა და ჩემთვის დიდი პატივია, რომ მის ნაშრომებში ჩემი თვალსაზრისი არის წარმოჩენილი. ძალიან დიდი მადლობა. ერთხელ შევდივარ ლექციაზე და ჩემი სტუდენტები მეუბნებიან, რომ იცით ქალბატონო მარინა, ჩვენ წინა ლექციაზე კონსპექტების წერა დავამთავრეთ თქვენს გვარზე. ვკითხე, ვინ გიკითხავთ ლექციას მეთქი, მეუფე ანანიაო. ეს ჩემთვის დიდად სასიხარულოა და მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემს თვალსაზრისს ასეთი პიროვნება იზიარებს, მადლობთ.

მეუფე თადეოზი (მთავარეპისკოპოსი, წმინდა სინოდის წევრი, ეპარქიის მმართველი):

ძალიან ძნელია იმ დიდებული საზოგადოების წინაშე გამოსვლა, როგორ დიდებულ პიროვნებებსაც წარმოადგეგენ აქ მობრძანებული პატივცემული ქალბატონები და ბატონები, მაგრამ ჩვენი ეკლესიის წმინდა მამათა თხოვნითა და ბრძანებით, მაპატიეთ, რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ. მართალია, ძალიან გადაღლილები ბრძანდებით, მაგრამ თქვენი გადაღლა არის ნამდვილად წმინდა. ნეტავი ღვთის სადიდებლად, მამულის გადასარჩენად ერთმანეთის სიყვარულისათვის იმ წმინდა მართლმადიდებლობისათვის, რომელმაც ჩვენ დღემდე მოგვიყვანა და მიუხედავად ამ საზარელი ჟამისა, მაინც გადაგვარჩენს. ჩვენი დაღლა წმინდაა. გახსოვთ ილია მართლის, საქართველოს უგვირგვინო მეფის, გულშემატკივარის, სიბრძნე, მან რომ ბრძანა დიდი ფილოსოფოსის სიტყვები; "აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა". - ლაიბნიცი. მაგრამ მე ვფიქრობ ლაიბნიცი ისე პოეტურად, ისე ტევადად, ისე ბრწყინვალედ ვერ ბრძანებდა, როგორც დიდმა ილიამ ქართულად "აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". უღმერთოდ არაფერი არ ხდება. მეუფე ანანია ფუტკრის მადლით შრომობდა, ჩუმად, თავისთვის და შემდეგ ამ დიდმა შრომამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო, მე მიხარია, რომ აქ უმრავლესთა გამობრძანებით, მხოლოდ

ერთის გარდა, იყო სამართლიანი შეფასება მისი ნაშრომისა, რადგანაც ვიცი, რომელიც სადმრთო საქმეს ეწირება და მისთვის სიცოცხლეც არ ენანება მისი შექებით, სიყვარულით, წახალისებით და გახარებით უნდა დავიწყოთ და არა პირიქით, რომ გვეგონოს, ვითომ სხვამ უკვე დაწერა ყველაფერი და მეუფე ანანიამ პირიქით. მისი ნაშრომი არის დიდი ქართული სულით იმდენად ახალი შედევრი რომ, როდესაც მას კითხულობ, სიყვარულით ივსები. აი, ბატონმა რევაზმა, ბრძანა სიხარულით და სიყვარულით წავიკითხეო და ძალიან ბევრი იცის ბატონმა რევაზმა, თუმცა რევაზი ორი გამობრძანდა. ბატონები რევაზ ჩხეიძე და რევაზ ბარამიძე, აქ ბრძანდება საქართველოს დიდება ქალბატონი ანა კალანდაძე, მაპატიეთ, ახლა შეიძლება თქვან რა შუაშიაო, ყველაფერია შუაში, რომ მეუფე ანანიას ღვაწლის დასაფასებლად მობრძანდა დღევანდელ დღეს. აქ ცრემლით ბრძანა დიდებულმა ქალბატონმა მისი მეუფის სასწაული, რომ ღმერთმა გადაარჩინა მისი შვილი და მისი ლოცვის დახმარებით. მეუფე ანანია ეკლესიაში მობრძანდა მაშინ, როდესაც ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა მართლმადიდებლობა, ქრისტიანობა, როდესაც ჭეშმარიტებას, სიმართლეს და სინათლეს ერქვა ცრუმორწმუნოება, რა თქმა უნდა, ეშმაკური კუთხით. რა თქმა უნდა, ამ დაღლილ, დიდებულ, ბრწყინვალე საზოგადოებას მე აღარ გადაგღლით, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც ყველა გამომსვლელმა თითქმის ბრძანა, რომ ეს ნაშრომი აღემატება საკანდიდატო ხარისხს, საკანდიდატო დისერტაციას, თქვენ აქ ისეთი ბრძენი ხალხი შეკრებილხართ, კარგად მოგეხსენებათ ამ შრომის გამონაკლისი მადლი, და გამოითქვა აზრი, რომ ეს დოქტორის წოდების სიმაღლეზეა, მაშინ თუ ეს ამჟამად არ არის შესაძლო, ვილოცოთ, რომ მალე შევკრებილიყავით მისთვის სადოქტორო ხარისხის მინიჭებისათვის. ლოცავს მეუფე ანანიას მაღალი ღმერთი, მისი მაღალი მოღვაწეობისათვის, უმაღლესი პატრიოტული მოღვაწეობისათვის, რომელიც მის დიდ, მაღალ ისტორიაშია გამომჟღავნებული ის დიდ სიყვარული, პოეტური ქართული სული, ის ნატვრა და ყველაფერი. არ არის კიდევ უღმერთოდ არაფერი. მეუფე ანანია ბრძანდებოდა პირველი ახალციხელი ეპისკოპოსი და დღეს არის შალვა ახალციხელის დღე, არც მეუფე ანანიამ იცოდა, რომ ამ დღეს დაემთხვეოდა, არც მეცნიერებმა ალბათ, მაგრამ ის, რომ შალვა ახალციხელის დღეს დაემთხვა მეუფე ანანიას ბრწყინვალე, ბრძნული და ნიჭიერი ნაშრომის მადლია. ღმერთმა უწმინდესის წმინდა ლოცვით დაგლოცოთ, მეუფე ანანიას ლოცვით, ჩვენ მოძღვართა ლოცვით. აქ ბრძანდება მამა ზაქარია, რომელიც ტელევიზიით ხშირად გმოძღვრავთ, ღმერთმა ყველა დაგლოცოთ და გაგახაროთ და უწმინდესის ლოცვით, მამათა ლოცვით გადაარჩინოს საქართველო.

თავმჯდომარე: აქ არის შემოსული იაკობ ახუაშვილის თხოვნა.

იაკობ ახუაშვილი (მეცნიერი):

მეუფე ანანია ჯაფარიძე გახლავთ ის პიროვნება, რომელიც თავისი კალმით, თავისი მრავალმხრივი ცოდნით მხარში ამოუდგა ისტორიის ინსტიტუტის მიერ დაწყებულ მოძრაობას. იყო დრო, როდესაც ქართველ კაცს არ ჰქონდა უფლება აღედგინა თავისი წართმეული გვარი და ეროვნება. ბატონი ანანია ჯაფარიძემ ბევრი იღვაწა, ალბათ, ყველა, უმრავლესობა ვიცნობთ მის ნაწერებს, რომელიც დაკავშირებული არის გრიგონიანობასთან. მესამე მომენტიდან ხაზგასასმელი: ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ დროში გვიხდება ცხოვრება, მას შემდეგ, რაც მეუფე ანანია მოვიდა მანგლისში, დაიწყო საეკლესიო აღმშენებლობა. აქ ჩვენ გვესწრება შავნაბადას წინამძღვარი მამა შიო გაბრიჭიძე ... აღდგენილი იქნა დიდებული დარბაზები. უამრავი მრევლი, შავნაბადიდან დაწყებული საეკლესიო აღმშენებლობა მიმდინარეობს სოფელ წალასყურში, უკვე მწყობრში ჩადგა სოფელ კუმისში ორი ეკლესია, მესამეზეც დაიწყო მშენებლობა და დღეს სოფელ კოდაში ვასილ ბარნოვის სოფელში დიდი მუშაობა არის გაჩაღებული. ასეა, მთელ ქვემო ქართლში ... სადაც მას უხდება მოღვაწეობა. ასევე უნდა ვთქვათ, რომ ანანია ჯაფარიძე არის იმ დიდებული გვარის ჩამომავალი, რომელთაგან ქართულ ენციკლოპედიაში 28 ჯაფარიძეა შეტანილი. ჩემს მიერ კიდევ 23 კაცია გამოვლენილი სამეცნიერო ხარისხის მატარებელი. ჩვენ ვერ ავცდებით დადგენილ წესს, დიდი სიამოვნებით ხელს მოვაწერდი რომ ბატონ ანანია ჯაფარიძესათვის მიენიჭებინათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, რადგანაც ამ დონის წიგნები, ვამბობ ამას ავტორიტეტულად, არც ბევრი გაგავაჩნია. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

რუსუდან წაქვაძე (მეცნიერი):

მე გახლავართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის კათედრის დოცენტი და სასულიერო აკადემიის პედაგოგი რუსუდან წაქვაძე. პატივცემულო საზოგადოება, პატივცემულო საბჭო, რამდენიმე წელიწადია პირადად მე ბატონ ანანიას წიგნებით, იმის შრომებით ვასწავლი თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში ქართული ეკლესიიის ისტორიას. ასევე საყრდენად ჩემი საგნის სწავლებაში გამოყენებული მაქვს ბატონ ვახტანგ გოილაძის შრომა – ქართული ეკლესიის სათავეებთან. დღევანდელმა დაცვამ კიდევ ერთხელ აშკარად წარმოაჩინა, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, როდესაც მიმდინარეობს ახალი ღირებულების ჩამოყალიბების პროცესი. თავს უფლებას ვაძლევ პატივცემული საბჭოს წინაშე შემოვიდე წინადადებით ჩემი სტუდენტების სახელით, საბჭომ განათლების სამინისტროს წინაშე დააყენოს ოფიციალურად საკითხი ბატონ ანანიას მიერ გამოცემული ორი ტომის მიმართ სახელმძღვანელო გრიფის მინიჭების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, ჩვენ ისედაც ვიყენებთ, როგორც სახელმძღვანელოს, მაგარმ სხვა არის, როდესაც კიდევ როცა ის ოფიციალურად ნებადართული იქნება განათლების სამინისტროს მიერ. მადლობას მოგახსენებთ ბატონო ანანია თქვენი მუხლჩაუხრელი შრომისათვის, თქვენი სულიერობისათვის აწ და მარადის თქვენი სიტყვა დარჩენილიყოს საქართველოში.

თავმჯდომარე: გმადლობთ, საბჭო გაითვალისწინებს თქვენს წინადადებას.

ფრიდონ სიხარულიძე:

ბატონ ანანიას შრომებში ქართული ეკლესიის ისტორია გაშლილია ფართო მართლმადიდებლური სამყაროს ფონზე და ეს ნაშრომში ძალიან კარგადაა წარმოდგენილი. ბატონი ანანია ჩვენი დიდებული მოღვაწეა, ტანჯული მოღვაწე, შალვა ახალციხელის გზაზე რომ დააყენა ის კუთხე და განა მარტო ის, აქ მანგლისი, სამსჭავლის მფლობელი მხარე, მთელ საქართველოში ისმის მისი ხმა და მოძღვრავს ერს. შრომაში კარგადაა წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის დიდი დამსახურება საქართველოს გარეთ, მარტო ეს კმარა ერთ დისერტაციად. მე ვუერთდები აქ გამოთქმულ აზრს და გისურვებთ ყოველივე კარგს.

დენიზა სუმბაძე (მეცნიერი):

დიდი მადლობა ქალბატონ რუსუდან წაქვაძეს. მან პირდაპირ ბრძანა, ის შეფასება რომელიც ამ ღვაწლს ეკუთვნის. მეუფე ანანიას წიგნები გახლავთ უკვე სახელმძღვანელო. მეც შემიძლია დავამატო ერთი ფაქტი – პეტრე იბერის ინსტრუმენტის სახელმძღვანელო გახლავთ ქართული ეკლესიის ისტორიისა. თავისთავად უკვე ის ფაქტი, რომ მისი შრომები სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს, გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე სამეცნიერო ხარისხი, იქნება ის საკანდიდატო, იქნება ის სადოქტორო. მე მინდა, რომ დღევანდელი დღე არ დარჩეს ჩვენი ხმამაღალი მადლობის გარეშე და მე მინდა გითხრათ, რომ ის ისტორია, რომელსაც მეუფე ანანია წერს, სასულიერო პირის მიერ დანახული ეკლესიის ისტორია კი არ არის მხოლოდ, ეს არის ნამდვილი საქართველოს ისტორია, რომელსაც ჩვენ დიდხანს ვიყავით მოკლებული. მინდა ერთი ფაქტი დავასახელო: მეუფე ანანიამ თავისი ეკლესიის ისტორიაში ახლებურად დააყენა სამოციქული ეკლესიის საკითხი, ეს არის სრულიად დიდი დამსახურება მეუფე ანანიასი, ეს არის შემოქმედებითი დამოკიდებულება ისტორიისადმი, თანამედროვეობისადმი და არის დიდი სულიერი სიმამაცე, რომელიც ძალიან ხშირად ასე აკლიათ ჩვენს მეცნიერებს. ის ფაქტი, რომ ეწოდება ჩვენს ეკლესიას "სამოციქულო ეკლესია, მართლმადიდებელი ეკლესია", ეროვნული იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს და მარტო ამ საკითხის დაყენება და დასაბუთება იმისა, რომ ჩვენი ეკლესია სამოციქულოა, უკვე ნიშნავს ერთი სამეცნიერო შრომის მოწოდებას, და მეორე ის უდიდესი ხარვეზი, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიას აქვს, კერძოდ, ანდრია მოციქულის მიმოსვლის საკითხს, მე თვითონ მოწმე გახლავართ. ოცი წლის წინ წაკითხული ლიტერატურით შემიძლია ვთქვა ამერიკაში გამოცემული ლიტერატურით, მაგალითად ლორენსკი ეხება საერთოდ მოციქულთა ღვაწლს და ის მიმოხილვას ივანე ჯავახიშვილის მიერ შეფასებას, რომ ანდრიას, რომ ანდრიას არ უმოგზაურია საქართველოში. ეს ძალიან დიდი ნაკლი გახლავთ, არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისათვის, არამედ საერთოდ მსოფლიო ეკლესიის ისტორიისათვის, რადგანაც ანდრია მოციქულს დააკლდა ის დიდი ღვაწლი და მადლი, რომელიც საქართველოს წინაშე გასწია და თუნდაც აი, ამ მხარის გამოსწორება, ამ დიდი დამსახურების ჩვენი მეუფისა, ამ დისეტაციისა, მარტო ამისათვის მას ეკუთვნოდა ის ხარისხი, რომელსაც ეძიებდა. კიდევ ერთი სიტყვა მინდა შემოგკადროთ: მეუხერხულება ამ დიდი ღვაწლისათვის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭება. ეს სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნებია, რომელიც ყველა მეცნიერს უნდა ჰქონდეს (ტაში).

ციალა არდაშელია (მწერალი, პუბლიცისტი)

უღრმესი მადლობა მეუფე ანანიას, კარგად ბრძანა ქალბატონმა დენიზამ, ხარისხზე არც არის ლაპარაკი, უყოყმანოდ უნდა მიეცეს დოქტორის ხარისხი, ჩემთვის სხვა აზრი არ არსებობს, მეტის ღირსია.

თავმჯდომარე, დავით მუსხელიშვილი (აკადემიკოსი):

ჩვენი საბჭოს მუშაობაში დღეს მნიშვნელოვანი დღეა, მნიშვნელოვანი მოვლენაა, როცა სასულიერო პირი იცავს სამეცნიერო ხარისხს. სასიამოვნოა, რომ ესაა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი ბატონი ანანია ჯაფარიძე. ეს საერთოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. აქ იყო ნათქვამი, შუა საუკუნეებში ისტორიკოსები ძირითადად იყვნენ სასულიერო პირები, რადგანაც ისინი იყვნენ მწიგნობარი ნაწილი საზოგადოებისა. მე მინდა აღვნიშნო, რომ ესაა შუა საუკუნეების მიმართება. ამჟამად ნება მიეცით ისტორიკოსებს იმოქმედონ არა რწმენით, არამედ მეცნიერული ფაქტორებით. შეიძლება იყო მაგრამ ესაა რწმენის სფერო და რწმენის სფერო არაა მეცნიერების სფერო. დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის შეფასება, რომელიც მიიღო ბატონმა ანანიამ სპეციალისტებისაგან, მიუთითებს, რომ მან თავისი დაკისრებული მისია წარმატებით გადაჭრა, შეასრულა ის ურთულესი ამოცანა, რომელიც მისგან მოითხოვდა დიდი გამბედაობას გლობალური საკითხების გადაჭრას. აქ ლაპარაკი იყო, რომ ბატონ ანანიას მიეკუთვნოს უფრო მაღალი ხარისხი, უნდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ ჩვენს საბჭოს ამის კომპეტენცია არა აქვს, ეს არ არის ბიუროკრატიული დამოკიდებულება, საჭირო მთელი პროცედურა, რომლის ერთი საფეხური გავიარეთ. მეუფე თადეოზის აზრს დავუბრუნდები, ბატონი ანანია მხნე კაცია და კიდევ იმუშავებს და კიდევ შევიკრიბებით სიამოვნებით. აღვნიშნავ კიდევ, რადგანაც სახელმძღვანელოზე იყო ლაპარაკი, ჩვენ დავსვამთ ამ საკითხს, ამ წიგნით უკვე სარგებლობენ, თუკი სახელმძღვანელოს გაკეთებაა, სახელმძღვანელოს ბატონ ანანიაზე უკეთ ვერავინ გააკეთებს.

აუცილებელია სწავლება ამ წიგნით. ეს პრობლემა გადაიჭრება. დღევანდელი დისერტანტი არის ბედნიერი შემთხვევა, როცა რწმენა და ცოდნა ერთმანეთს ეთანხმება, ღმერთმა ისე ქნას საფუძველი, რომელიც მეუფემ ჩაუყარა, განმტკიცდეს. საქართველოში ადრე სამღვდელოებას ჩამოშორდა ის ფუნქცია, რომელიც მას ჰქონდა საზოგადოებაში, მეუფე ანანიას საქმიანობით მას უბრუნდება ეს ფუნქცია. პირველი

მოციქული თუ ანდრია იყო საქართველოში, მეუფე ანანია არის ჩვენთან ამ საქმეში (ტაში).

განცხადებისათვის სიტყვას ითხოვს იღუმენი შიო.

იღუმენი მამა შიო:

ბედნიერი ვარ რომ ეს დღე დადგა, როცა ჩატეხილი ხიდი, რომელიც იყო სასულიერო და საერო სფეროთა შორის, აღდგა ჩვენი ამ შეკრებით. მე ხშირად ვწუხდებოდი, რომ ადამიანებს არ ესმით საეკლესიო მხარე. ყოველთვის ვცდილობდი ამ მხრივ გამეკეთებინა რამე და დღეს ეს თქვენ გააკეთეთ. ერის გამამთლიანებელი, ფეხზე დამყენებებლი არის მისი ინტელიგენცია, თქვენ ხართ! მე ვამაყობ ჩვენი ისტორიკოსებით, ყველანი გვიყვარხართ და ყველაზე ვლოცულობთ, და ყველათი ვამაყობთ. ბედნიერები ვართ, რომ დღეს თქვენთან ვარ, ჩვენ ყველანი გთვლით ჩვენს მასწავლებლად და ღმერთმა დაგლოცოთ ამ ლამაზი ფუნქციის ტარებისათვის. მე მინდა რომ როგორც ეს დღე იყო ძალიან ბევრი სიხარულის მომნიჭებელი, მინდა რომ შემოგთავაზოთ ჩვენს მონასტერში, შავნაბადის მონასტერში თქვენი სტუმრობა. ახლა იქ გაჩვენებთ პრაქტიკულად, რაზეც თქვენ აქ თეორიულად მუშაობთ. მე ვგრძნობდი აქ მადლის მოსვლას. მე ბევრჯერ ცრემლი მომდიოდა თქვენს ლაპარაკზე, ქალბატონი რომ გამოვიდა და სხვები. მე მინდა მეუფეს ვთხოვო ერთი რამ, ყველა საქმეში აუცილებელია შემსრულებელი, თუ არ გავზარდეთ შემსრულებელი, არ გვექნება მომავალი საქართველო. მე გთხოვთ ისტორიკოსებს, აი, ამ კუთხით, როგორ მუშაობდნენ ჩვენი წინაპრები, რა არის დარჩენილი აქედან, როგორ იყო ისტორიულად, სტრუქტურა, მეურნეობა, აღზრდა და სხვა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. მადლობა მეუფეს, რომ ასე უყვარხართ. ჩვენ ყველანი გაღიარებთ თქვენ ჩვენს გულში დოქტორად (მხიარული ხმაური).

თავმჯდომარე: ბატონებო, დავამთავროთ, იწყება კენჭისყრა კენჭრისყრის შედეგებს აქვეყნებს დოქტორი ილია ტაბაღუა:

ილია ტაბაღუა: პატივცემული ბატონებო, სულ საბჭოს წევრია 16, ესწრებოდა 15. ხმა მისცა 15-მა სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მეუფე ანანიას ერთხმად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (ტაში).

დასკვნა

მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის საკვალიფიკაციო ნაშრომზე საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის კვლევა-ძიება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამის მიზეზი იყო ქართველ სასულიერო და საერო მეცნიერთა სურვილი დაემტკიცებინათ რუსეთის წმინდა სინოდისა და მსოფლიო საზოგადოებისათვის რუსეთის იმპერატორ, ალექსანდრე I მანიფესტის არაკანონიერება, რომლითაც ადმინისტრაციული წესით გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველ ავტოკეფალისტთა თავდაუზოგავმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და შეუდგა ქართველი ერის ცხოვრებაში დაკარგული ფუნქციის დაბრუნებისათვის ბრძოლას, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, როცა ხელმეორედ მოხდა საქართველოს დაპყრობა აწ უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე მუშაობა ოფიციალური ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე თუ რამ იწერებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე უმეტესად ათეისტური პოზიციებიდან. მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის მიერ საკანდიდატო დისერტაციის თემის "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)" წარმოდგენა მისასალმებელია. იგი მიზნად ისახავს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ სერიოზული ხარვეზის აღმოფხვრას.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია, მანგლისის ეპარქიის მმართველი, ამავე დროს პრესაში გამოქვეყნებული არაერთი საინტერესო პუბლიკაციის ავტორი. ორი ათეული წელია იგი იკვლევს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემებს. ცალკე წიგნებად აქვს დაბეჭდილი საქართველოს ეკლესიის მრავალტომეულის ორი ტომი.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი შედგება შესავლისა და თორმეტი თავისაგან. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული თავის შინაარსის გადმოცემას. შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ნაშრომის ღირსება ნაკლოვანებებზე.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ნაშრომის პირველ თავში არკვევს საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის სამოციქულო სახელწოდების საკითხს.

ქართული და უცხოური წყაროების საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ასაბუთებს ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივი მოღვაწეობის რეალურობას I საუკუნის ეგრისსა და იბერიაში.

ნაშრომის ღირსებაა ისიც, რომ ავტორი საინტერესო თვალსაზრისს ავითარებს III-IV საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის (პირობითად) უფლებრივი მდგომარეობის იერუსალიმ-ანტიოქია-კონსტანტინეპოლის საპატრიარქოების დამოკიდებულებაზე ეგრისსა და ქართლის სამწყსოებზე.

ნაშრომში კარგადაა გაანალიზებული კავკასიაში დიდი საეკლესიო განხეთქილების საკითხები.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს საქართველოს გაერთიანების საკითხებს და ქართული ეკლესიის როლს გაერთიანების საქმეში. ასევე საინტერესოდაა წარმოჩენილი რელიგიურ-კონფენსიური პრობლემები XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, როდესაც ქვეყანა პროვინციულ საქართველოებად დაიშალა და დაიწყო ეკლესიური სეპარატიზმი (სამცხის, დასავლეთ საქართველოს, მცხეთის საკათალიკოზოდან გამოყოფა) საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ვერ გაუმკლავდნენ ერთის მხრივ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მაჰმადიანობის, გრიგორიანული ქრისტიანობისა და კათოლიკე მისიონერების პროპაგანდას და დაიწყო ქართველთა დენაციონალიზაციის საშინელი პროცესი. ამ ვითარებაში მართლმადიდებლობა ქართველობის შენარჩუნებას ნიშნავდა.

არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I თითქოს კათოლიკური ცდომილება ჰქონდა.

ნაშრომში კარგადაა გაანალიზებული რუსეთის მთავრობის იმპერიალისტური მიზნები საქართველოს ეკლესიის მიმართ, ავტოკეფალიის გაუქმება, რუსი ეგზარქოსების ანტიეკლესიური საქმიანობა. ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად და ავტოკეფალიის აღდგენა.

გვაქვს გარკვეული შენიშვნებიც:

1. სადავოდ მიგვაჩნია ავტორის თვალსაზრისი V საუკუნეში ქართლის სამეფოსა და ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრების შავ ზღვასა და მდ. კლისურაზე (აფხაზეთი) განვრცობის შესახებ.

2. ავტორეფერატში არ აისახა აფხაზთა საკათალიკოზოს საკითხი (VIII-X სს.), როგორ მოხდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დროს მცხეთის საკათალიკოზოს იურისდიქციის გავრცელება სრულიად საქართველოზე, რაც აუცილებელი იყო.

3. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა საქართველოს ეკლესიის დიპტიხის საკითხებზე მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. მისი გამოკვლევა დაედო საფუძვლად მსოფლიოს საპატრიარქოსგან საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობას. სასურველი იყო ავტორეფერატში ასახულიყო ეს საკითხები.

ეს შენიშვნები ოდნავაც არ ჩრდილავს ნაშრომის ღირსებებს. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და საქართველოს ისტორიის კათედრა ნაშრომს აფასებს დადებითად.

ისტორიის ფაკულტეტის დეკანი
დოცენტი ს. ვარდოსანიძე

საქართველოს ისტორიის კათედრის
გამგე, პროფესორი სვ. გამსახურდია

პასუხი წამყვან ორგანიზაციას

უღრმეს მადლობას მოვახსენებ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ სერგო ვარდოსანიძეს და ამავე უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს პროფესორ სვიმონ გამსახურდიას ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასებისათვის.

რაც შეეხება შენიშვნებს, მოგახსენებთ შემდეგს:

1. პატივცემულ რეცენზენტებს სადავოდ მიაჩნიათ ჩემი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ V საუკუნეში ქართლის სამეფოსა და ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვარი შავ ზღვამდე და მდინარე კლისურამდე აფხაზეთში ვრცელდებოდა.

ნაშრომში სათანადოდ მაქვს დასაბუთებული, რომ უკლებრივ ყველა ძველი ქართული საისტორიო წყარო, "მოქცევაი ქართლისაის", "ქართლის ცხოვრების"

ავტორები, ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ვახუშტის მონაცემები სხვადასხვაგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევიან.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია წერდა: "ჯუანშერის შეხედულებას, რომ ქართლის მმართველის ხელისუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ მარტო საკუთრივ ქართლზე, კახეთსა და ტაო-კლარჯეთზე, არამედ ეგრისზეც, აფხაზეთის სამთავროს საზღვრამდე, ისტორიული მარცვალი უდევს საფუძვლად".

ბატონმა ზაზა ალექსიძემ მიუთითა, რომ VII საუკუნისათვის შემუშავებული ზეპირი თუ წერილობითი ტრადიცია "ქართულ ეკლესიას მთლიანად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მომცველად წარმოადგენს".

ძველქართული წყაროები, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ეკლესიას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომცველად წარმოადგენს IV საუკუნიდანვე. შოთა მესხიას თვალსაზრისით, ქვეყნის პოლიტიკური ერთობის "ყოველი ქართლის" მთლიანობის შეგრძნება არსებობდა VIII საუკუნის შუა წლებამდე" (ნარკ. II, გვ. 19).

აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის თვალსაზრისით, ვახტანგ გორგასლის ხანაში ეგრისი ქართლის სამეფოში შედიოდა. ახლახანს ხელში ჩამივარდა V საუკუნის რუკა, შედგენილი ბატონ დავით მუსხელიშვილის მიერ, რომელშიც სწორედ ასეთი პოლიტიკური ვითარებაა ასახული.

საეკლესიო კანონების შესაბამისად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი თან გასდევს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულს. ამ კანონზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ V საუკუნეში ქართლის საკათალიკოსოს საზღვარი გასდევდა მემატიანეთა მიერ აღნიშნულ ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვრებს.

2. პატივცემული რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ ავტორეფერატში არ აისახა აფხაზთა საკათალიკოსოს საკითხი (VIII-X საუკუნეებში), როგორ მოხდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დროს მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის გავრცელება სრულიად საქართველოზე.

აღნიშნული საკითხის შესახებ პატივცემულ რეცენზენტებს მოვახსენებ, რომ წარმოგენილი სადისერტაციო ნაშრომია: „საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა სუკუნეებში – XII-XVII საუკუნეები", რომელსაც წინ ერთვის ქართული ეკლესიის ისტორიის მიმოხილვა I-VI საუკუნეებში. VI საუკუნის შემდგომი ხანა XII საუკუნემდე დისერტაციაში არ არის ასახული, ამიტომაც არც ავტორეფერატში აისახა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საუკუნეთა დიდი მნიშვნელობის გამო მათ შესახებ სხვა თავებში არის სათანადო მსჯელობა. ახლახან გამოიცა საქართველოს სამოციქულო

ეკლესიის ისტორიის II ტომი, რომელშიც აღნიშნული საკითხი ვრცლად არის განხილული.

3. პატივცემული რეცენზენტები მესამე შენიშვნაში აღნიშნავენ, რომ მე დიდი ხნის მანძილზე ვმუშაობდი საქართველოს ეკლესიის დიპტიხის საკითხზე მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, ამიტომაც სასურველად მიიჩნიეს, რომ დიპტიხის საკითხი ასახულიყო ავტორეფერატში.

ბატონ რეცენზენტებს მადლობას მოვახსენებ ჩემი ნაშრომის დაფასებისათვის, დიპტიხის საკითხზე მართლაც დიდხანს ვმუშაობდი, მის შესახებ ვრცელი მსჯელობა მაქვს ჩემი გამოკვლევის II ტომში, რაც შეეხება დისერტაციას, მასში მართლაც სათანადოდ არ აისახა აღნიშნული საკითხი, რადგან დიპტიხის თემას მე მივაკუთვნებ XI საუკუნეს – საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბების ხანას, მასზე ვრცლად არ შევჩერებულვარ, თუმცა აღნიშნულ საკითხს ვეხები ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებასთან (1438-1445) დაკავშირებით, საქართველოს ეკლესიის ისტორიის XV საუკუნის გადმოცემისას.

კიდევ ერთხელ ვმადლობ და ვლოცავ პატივცემულ რეცენზენტებს.

გამოხმაურება
მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომზე "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (ტ.I, 1996, ტ.II, 1998)

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ორი ტომი ავტორის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. ამ პრობლემაზე ბევრ სწავლულს უმუშავია და მუშაობს დღესაც, მაგრამ ფუნდამენტური შემაჯამებელი მონოგრაფიის შექმნა მის ყოვლადუსამღვდელოესობას ხვდა წილად.

1845 წლის შემდეგ, როცა პლატონ იოსელიანმა გამოაქვეყნა პირველი წიგნი საქართველოს ეკლესიის შესახებ, დღემდე ამ ხასიათის ნაშრომები თითზე ჩამოსათვლელია. მეუფე ანანიას ორტომიანი ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს ამ ხარვეზს.

ავტორი პრობლემას ფართო მასშტაბით უდგება. იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიას განიხილავს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და მისი ისტორიული განვითარების ჭრილში. ამიტომაც საკუთრივ ეკლესიის ისტორიის საკითხების გაშუქებამდე იგი მიმოიხილავს ქართველი ერის ეთნოგენეზისის, მისი

განსახლების, ტერიტორიული საზღვრების, სახელმწიფოებრიობის, ენისა და ეროვნულ თვითშეგნებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებს, როგორც აუცილებელ სუბსტრატს ეკლესიის ისტორიის ჩონჩხის ასაგებად. ამ ნაწილში ავტორი ავლენს საშურ ერუდიციას, რაც უადვილებს მას ურთულეს საკითხებში გარკვევას და კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ ნაშრომისა მიმაჩნია ავტორის თამამი, მაგრამ ბიზანტიურ კანონიკურ წყაროებზე ურყევად დაფუძნებული დებულება, I-II საუკუნეებში ანუ მოციქულთა ხანაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის შესახებ. ეს სავსებით შეესაბამება თავდაპირველ ვითარებას საქრისტიანოში, ვიდრე ქრისტეს რელიგია სახელმწიფო აღმსარებლობად გამოცხადდებოდა.

ასევე ინტერესს მოკლებული არ არის ავტორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქართლის ეკლესიის ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანა (ეროვნებით ქართველი კათალიკოსის არჩევა, ქართული ენისათვის სალიტერატურო ენის სტატუსის მინიჭება) განპირობებული იყო სპარსეთის ხელისუფლების მცდელობით ჩამოეშორებინათ ქართლი ბერძნული გავლენისაგან. ამ გარდამტეხ პერიოდს უკავშირებს ავტორი ასურულ დიოფიზიტ მამათა ჩამოსვლას, რამაც გააძლიერა ქართლის ეკლესიის წინააღმდეგობა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მიმართ. ყოველივე ამან, როგორც ავტორი ასკვნის, ხელი შეუწყო საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალურობის აღდგენას (და არა მოპოვებას, როგორც შეიძლება გვეფიქრა).

ორტომიან ნაშრომში ბევრი საინტერესო საკითხია ახლებურად დაყენებული და გადაწყვეტილი, ბევრი ფაქტობრივი მასალაა კონცენტრირებული თითოეული პრობლემის გადასაწყვეტად; ზოგიერთი გადაწყვეტა შეიძლება სადაოდაც გამოჩნდეს, შეიძლება უზუსტობებიც შევნიშნოთ, მაგრამ ცალკეული ხარვეზები ოდნავადაც ვერ მიაყენებს ჩრდილს სწავლული მღვდელმთავრის მონუმენტურ ნაშრომს.

ეს მცირე გამოხმაურება, ბუნებრივია, ვერ მოიცავს ნაშრომში დაყენებულ საკითხთა ჩამოთვლასაც კი. აღარ ვლაპარაკობთ ზოგიერთი მათგანის გამოწვლილვით წარმოჩენაზე. დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" სამამულო ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც სამაგიდო წიგნი უნდა იყოს არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის, არამედ, საზოგადოდ, ქართული კულტურის მკვლევარისათვის.

ნაშრომი ოთხ ტომად არის განზრახული. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მთლიანად მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიას მისი შექმნიდან დღემდე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეკლესიის ისტორია პირობითი ტერმინია: ეკლესია მარადიული აწმყოა,

მისი განვითარების ყოველი ეტაპი ყოველ აწმყოში ანუ დღესაც აქტუალობას ინარჩუნებს. ავტორი არ აღიქვამს ამ ეტაპებს, როგორც აბსოლუტურ წარსულს. ამის დასტურია მისი წინადადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესია ოფიციალურად ისევე იწოდებოდეს, როგორც მთელი ისტორიის მანძილზე იწოდებოდა: "საქართველოს სამოციქულო ეკლესია", ნაცვლად "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა", რომელიც ნამდვილად არ გამოხატავს ეკლესიის არსს ისტორიულ პერსპექტივაში. საქართველოს ეკლესია სამოციქულოა თავისი წარმოშობით, რამდენადაც მოციქულების – ანდრიასა და სიმონის გარდა, როგორც ავტორი რწმენით და საბუთიანობით ფიქრობს, ქართველი და ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სხვა მოციქულებსაც უქადაგნიათ.

საქართველოს ეკლესიის სახელწოდებასთან დაკავშირებით მოწიწებით უნდა გამოვთქვა ერთი შენიშვნა. თუმცა შრომის სათაურში სახელწოდებად გატანილი "საქართველოს სამოციქულო ეკლესია", ტექსტში ხშირია შემთხვევა მის შენაცვლებისა "ქართული ეკლესიით", რაც ფილეტიზმის თუმცა ტერმინოლოგიურ, მაგრამ მაინც გაუმართლებელ გამოვლენად მიმაჩნია. ვერ გაგვამართლებს ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის ნაწერებში იყენებს ტერმინს "ქართული ეკლესია". ქრისტეს ეკლესია არ შეიძლება იყოს, "ქართული", ისევე როგორც "რუსული", "სერბული" და სხვა, არამედ "კათოლიკე", როგორც მრწამსში ვკითხულობთ: "ერთი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". რაც შეეხება ტერმინს "ბერძნული ეკლესია", იგი აღმსარებლობითი ცნების გამომხატველია და მასში ეროვნული ბერძნული არ იგულისხმება.

დასასრულ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მეუფე ანანია ჩვენს სამღვდელოთა შორის ერთი იმ გამონაკლისთაგანია, რომელიც სამწყემსთავრო მოღვაწეობსთან ერთად დაუცხრომელად იღვწის სამეცნიერო ასპარეზზეც, რითაც ჩვენს დროში აგრძელებს თავის წინამორბედ სწავლულ სასულიერო პირთა და მღვდელთმთავართა – არსენი საფარელის, ეფრემ მცირის, კათოლიკოსების კირიონის, კალისტრატეს და სხვათა – ღვაწლს. ვუსურვებთ მეუფე ანანიას წამოწყებული შრომის წარმატებით განსრულებას.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ნაშრომისათვის "საქართველოს სამოციქულო ეკლესია" სავსებით იმსახურებს საძიებელ სამეცნიერო ხარისხს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. კიკნაძე

რამდენიმე მოსაზრება მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საკანდიდატო დისერტაციაზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია" (ავტორეფერატის მიხედვით)

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ორტომეული, თავისი ღირსებებით წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის საყურადღებო შენაძენს და მნიშვნელოვნად აჭარბებს საკანდიდატო დისერტაციისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

ავტორის უმთავრესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან ქართული, ბიზანტიური და ზოგიერთი სხვა უცხოური წყაროების მომარჯვებით შეძლო დაეწერა ვრცელი გამოკვლევა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის შესახებ. ასეთი ნაშრომის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობოდა და ახლა შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ეს ხარვეზი შევსებულია. ჩვენ ხელთ გვაქვს მეცნიერების თანამედროვე დონის შესაფერისი გამოკვლევა, რომელიც თანაბრად დააინტერესებს მკითხველებს როგორც სასულიერო, ისე საერო წრეებიდან.

ავტორეფერატიდანაც კი კარგად სჩანს, თუ რაოდენ დიდი რაოდენობის წყაროები და ლიტერატურა შეუსწავლია დისერტანტს. გარდა ამისა, რომ ეს ხანგრძლივ და შრომატევად მუშაობას მოითხოვდა, საჭირო იყო ამ უამრავი მასალის ისე გააზრება და განზოგადება, რომ ავტორს ორიგინალური მკვლევარის პოზიცია არ დაეკარგა. მეუფე ანანია ჯაფარიძემ ეს შესანიშნავად შესძლო და მის წიგნში მთელი რიგი პარაგრაფებისა აქამდე ისტორიოგრაფიაში გამოუყენებელი მასალების მხოლოდ მის მიერ მოხმობის შედეგადაა დაწერილი.

ჩემს მიზანს არ შეადგენს ყველა მათგანის აღნიშვნა ამ მცირე გამოხმაურებაში. მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია ერთ მათგანზე მაინც შევაჩერო ყურადღება. ეს გახლავთ იმის დასაბუთება, რომ ქართული ეკლესია სამოციქულოა და იგი თავიდანვე იყო ავტოკეფალური, რამდენადაც "პირველი ეკლესიები დაარსებულნი მოციქულთა მიერ იყვნენ ავტოკეფალურნი ერთმანეთის მიმართ (გვ. 14).

ნაშრომის მთელ შინაარს, ავტორის კვლევისა და მსჯელობის მანერას და არსს აშკარად ეტყობა, რომ "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" სასულიერო პირის დაწერილია, იგრძნობა საღვთო წერილის, საეკლესიო მწერლობის და საეკლესიო კრებების მიერ შემუშავებული სჯულის კანონების ღრმა ცოდნა და თხრობაში მათი პროფესიული გამოყენება. ეს მხარეც ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს.

ცხადია, ასე ვრცელი წიგნების დაწერა ხარვეზების გარეშე შეუძლებელია, თუმცა ჩვენის აზრით, მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი არ ახასიათებს.

სურვილის სახით კი გვინდა შევნიშნოთ, რომ მეორედ გამოცემისას ავტორმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემებს. ყოველი განმაზოგადებელი საისტორიო ხასიათის ნაშრომისათვის ეს საკითხთა საკითხია. ამდენად, გამოკვლევის თავებად საუკუნეების გამოყოფა, როგორც ეს წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომშია მოცემული მთლად გამართლებულად ვერ ჩაითვლება. რამდენადაც - ყველა საუკუნის დასაწყისსა თუ დასასრულს არ იწყება და არც მთავრდება მოვლენები, რომლებიც შეიძლება ნიშანსვეტად გამოდგეს პერიოდიზაციის დროს.

როგორც დასაწყისშივე ვთქვით, მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, წარმოდგენილი ნაშრომით სავსებით იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: გ. მჭედლიძე

გამოხმაურება

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საკანდიდატო დისერტაციაზე "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)"

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომი - "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" - ვფიქრობთ, განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. არსებითად, ესაა პირველი ცდა - შეიქმნას საქართველოს ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი მონოგრაფია საისტორიო მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლეიის ისტორიის საკითხების კვლევა XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო. იგი გააქტიურდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდში (1905 წლიდან). შეიქმნა რამდენიმე მონოგრაფია, მათ შორის – განმაზოგადებელი ნაშრომებიც, მაგრამ 1917 წლის

რევოლუციის შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის სრულიად შეწყდა ათეისტური რეჟიმის დამყარების შედეგად. უკანასკნელ ხანებში კვლავ განახლდა საქართველოს ეკლესიის საკითხების კვლევა, გამოვლინდა ახალი საისტორიო მასალები, დაიწერა არა ერთი და ორი საყურადღებო მონოგრაფია, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესახებ პირველი განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნის პატივი საეკლესიო მოღვაწეს – მთავარეპისკოპოს ანანიას ხვდა წილად. ჩვენი აზრით, ეს არაა შემთხვევითი მოვლენა, არამედ უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოს ეკლესიის აღორძინების ნათელი გამოხატულება. ქართული ეკლესია ტრადიციულად მეცნიერული ცოდნისა და ლიტერატურული შემოქმედების ბურჯი იყო. სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა და მეცნიერული კვლევა ეკლესიას თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მიაჩნდა. სასიხარულოა, რომ ეკლესიის გააქტიურება, პირველ ყოვლისა, ამ ასპექტით გამოვლინდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის სრული კურსის შექმნის საპატიო ამოცანის გადაწყვეტა მხლოდ დიდი ერუდიციისა და გაქანების, ტიტანური შრომის უნარის მქონე მკვლევარს შეეძლო, რომელსაც მაღალ ნიჭიერებასთან ერთად, საქმისადმი ფანატიკური სიყვარული და ერთგულება უნდა ჰქონოდა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მთავარეპისკოპოსი ანანია სწორედ ასეთი მკვლევარი აღმოჩნდა. ჩვენს წინაშეა მონუმენტური ნაშრომი, რომლის ავტორი ძველ საისტორიო წყაროებზე და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით, დეტალურად განიხილავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის თითქმის ყველა საკითხს, რომელთა მომეტებული ნაწილი ახლებურადაა გააზრებული, გამოტანილია მრავალი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა.

ეკლესიის ისტორია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასთან, რომ მათი ურთიერთიზოლირებული შესწავლა შეუძლებელია. ამიტომ მთავარეპისკოპოსის ანანიას ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ქართული ერის ისტორიის ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხს. ეკლესიის ისტორია წარმოდგენილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, პოლიტიკური და კულტურული პანორამის ფონზე.

ასეთმა გლობალურმა კვლევამ ავტორს შეაძლებინა ახლებურად გაეაზრებინა არა მარტო საკუთრივ ეკლესიის პრობლემატიკა, არამედ ქვეყნის საერო ისტორიაც. წიგნში იმდენი მეცნიერული სიახლეა (როგორც ჰიპოთეზებისა და ცალკეულ მოვლენათა ახლებური ინტერპრეტაციის, ისე მტკიცე არგუმენტაციაზე დამყარებული

მტკიცებულების სახით), რომ მათი მარტო ჩამოთვლა ალბათ რამდენიმე ათეულ გვერდს დაიკავებდა.

ავტორი ხშირად უბრუნდება და აღრმავებს წინა თავებში განხილულ საკითხებს, ახალი არგუმენტაციით ასაბუთებს ადრე გამოთქმულ დებულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ჩამოყალიბებულია არაერთი სახელმძღვანელო დებულება. შემუშავებულია კონცეფცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოციქულებრივი წარმომავლობისა, ხაზგასმულია ქართული ეკლესიის როლი ქართველთა ეროვნული თვითშეგნების აღდგენის, ერის ზნეობრივი ამაღლების, კულტურის აღორძინების საქმეში. ნაშრომში დაძლეულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის მცდარი გადაწყვეტის სტერეოტიპი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალური კურსი რამდენიმე სასულიერო და საერო სასწავლებელში იკითხება. ერთ-ერთი მათგანია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, სადაც უკვე 6 წელია, მუშაობს ქრისტიანული კულტურის ისტორიის კათედრა. ქრისტიანული კულტურის ისტორიის სპეციალობის სტუდენტთათვის აქ ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსი ძირითადად მთავარეპისკოპოს ანანიას ნაშრომის მიხედვით იკითხება. ვფიქრობთ, ამ შესანიშნავი ნაშრომის მნიშვნელობა მომავალში უფრო უკეთ წარმოჩნდება.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის
სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული
კულტურის ისტორიის კათედრის გამგე,
პროფესორი ლელა ხაჩიძე

ამავე კათედრის უფროსი
მასწავლებელი ექვთიმე (თამაზ) კოჭლამაზაშვილი

რეცენზია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის ნაშრომზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)"

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომი "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)", თბილისი 1999, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს, ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ მართლმადიდებლური ქართული ეკლესია საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და ასეთად რჩება დღესაც. საუკუნეთა მანძილზე ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნულ თვითმყოფადობას, ეროვნულ თავმოყვარეობას ქრისტიანული ეკლესია ასაზრდოებდა. ქართული ეკლესია იყო სულიერების ის ნავსაყუდელი, რომელიც ომების, სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა შემოსევების შედეგად ზოგჯერ სრულ განადგურებამდე მისულ ქართველობას სიცოცხლის გაგრძელების სურვილს და უკეთესი მომავლის რწმენას უნერგავდა.

ქართული ეკლესია-მონასტრები უდიდესს საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ. იქაა სწორედ საძიებელი ქართული დამწერლობის ჰაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობის მატერიალური და სულიერი კულტურის სათავეები.

თანამედროვე ეტაპზე ქართული ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილ სერიოზულ სამეცნიერო გამოკვლევების შექმნას სრულიად განსაკუთრებული, მე ვიტყოდი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყანაა, რომელიც ცდილობს თავისი მომავალი სახელმწიფოებრიობის შენობა სამართლებრივ საფუძველზე ააგოს, ქართული ეკლესია საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა კონფესიებისა და მართლმადიდებლური ეკლესიისადმი საკმაოდ აგრესიულად განწყობილი სექტების მომრავლება, რამაც არ შეიძლება ზიანი არ მიაყენოს საქართველოს საზოგადოების სულიერ სამყაროს და საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციებსა და ღირებულებებს.

ამ ვითარებაში მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის ნაშრომის გამოჩენა, რომელიც საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევითაა შთაგონებული, სინათლის შუქს ჰგავს, რომელმაც ქვეყანაში არსებული სულიერი ბურუსი უნდა გაფანტოს.

სარეცენზიო ნაშრომს არაერთი ღირსება გააჩნია:

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ავტორი ფართოდ იყენებს ძველქართულ საისტორიო მწერლობას ("მოქცევაი ქართლისაი"-ს სხვადასხვა რედაქციების), ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრებს ("წამებაი წმინდისაი შუშანიკისი დედოფლისაი", "მარტვილობაი წმინდისა ევსტათი მცხეთელისაი", "წამებაი ჰაბოისი...", "წამებაი ყრმათაი რიცხვით ცხრათა", "ცხოვრებაი და მოქალაქეობაი იოვანე ზედაზნელისაი" და სხვა), კანონიკური ხასიათის ძეგლებს, მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს, მოციქულთა კანონებს, ეკლესიის მამების ეპისტოლეებს, საქართველოს საეკლესიო კრებების კანონებს, ძველ ლიტურგიკულ ძეგლებს, საეკლესიო იურიდიულ დოკუმენტებს, საეკლესიო კანონიკური კოდექსის ქართულ თარგმანებს ("დიდი სჯულისკანონი" და "მცირე სჯულისკანონი").

სადისერტაციო გამოკვლევაში სრულადაა მოხმობილი ბერძნულ-ლათინური, სომხურისპარსული და ოსმალური წერილობითი წყაროებიც. ამასთანავე გათვალისწინებულია ბოლო წლებში საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მონაპოვარი.

ყველა ჩამოთვლილი და სხვა ამ რიგის ათეულობით წერილობით წყაროებს დისერტანტი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით მოშველიებით იაზრებს.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე სრულად ფლობს არჩეული საკვლევი პრობლემის ირგვლივ დღეს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. ავტორი აქაც ფართო ერუდიციას და კრიტიკული ანალიზის მისაბაძ უნარს ამჟღავნებს.

ნაშრომში შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი ქართული ეკლესიის შესწავლის ისტორია შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, ეფრემ მცირედან დაწყებული XX ს-ის 80-90 წლებში ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციით დამთავრებული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო გამოკვლევა ქართული ეკლესიის შესწავლის ახალ სერიოზულ ეტაპს წარმოადგენს. იგი საკვლევი პრობლემის კომპლექსური შესწავლის სანიმუშო მაგალითია.

მიუხედავად იმის, რომ დისერტაციის ქვესათაურში საკვლევი პერიოდი შუა საუკუნეებითაა შემოფარგლული, თავად ნაშრომში ქართული ეკლესიის 20 საუკუნოვანი ისტორია თანმიმდევრულად და სისტემურადაა წარმოდგენილი.

ბუნებრივია, რომ "ქართული ეკლესიის ისტორია ("შუა საუკუნეები)" არაერთ საყურადღებო და ანგარიშგასაწევ სიახლეს შეიცავს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ქართული ეკლესიის 20 საუკუნოვანი ისტორია ფაქტობრივად პირველად დაიწერა. ახალია ავტორის მიერ პრობლემის კვლევის კომპლექსური მეთოდიც. ახალია ავტორისეული არგუმენტები I-II საუკუნეებში ქართული ეკლესიის არსებობის თაობაზე. ახალია დისერტანტის მსჯელობა ქართულში ქრისტიანობის გამოცხადების გარემოებათა, ახალი რელიგიისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ურთიერთმიმართებათა შესახებ. ძნელია არ დაეთანხმო ავტორისეულ იმ ახალ თეზასაც, რომლის თანახმადაც, ქართული საზოგადოება ზემოდან ზეწოლის მიუხედავად, "შემზადებული იყო" IV ს-ში ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებისათვის. ახალია ავტორის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი IV-V სს-ში ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების ლოკალიზაციის შესახებაც და ა. შ.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა სავსებით შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავალის, თორმეტი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ახლავს სრულიად უნიკალური დანართი – წმიდათა სახელები.

მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი და დებულებები დიდი ხანია, რაც ფართოდაა აპრობირებული ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში. დისერტანტის ავტორობით შექმნილი ორტომეული, 1996-1998 წლებში გამოქვეყნებული "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", იმთავითვე იქცა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო წრეების სამაგიდო წიგნად. იგივე შეიძლება ითქვას მთავარეპისკოპოსის ისეთ ნაშრომებზე, როგორიცაა "ქართველი ერის წარმოშობის შესახებ", თბ., 1997, "ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია", თბ., 1994, ნარკვევებზე "საინგილო", თბ., 1998, "მესხეთი", თბ., 1998 და სხვა ავტორისეულ გამოკვლევებზე.

ახლა თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, იმ ერთადერთ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ საპაექროდ წარმოდგენილი მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომი "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)", თბილისი, 1999, წარმოადგენს კონცეპტუალურად მწყობრ ახალ ფუნდამენტურ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც სცილდება საკანდიდატო

დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და უდავოდ უფრო მაღალ სამეცნიერო ხარისხს იმსახურებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიისა და ქართული
კულტურის ისტორიის კათედრის გამგე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ
თანამშრომელი, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის
კომპლექსური შესწავლის საპრობლემო
ჯგუფის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ხაზარაძე

თბილისი, 25 ივნისი 1999 წ.

გამოხმაურება მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატზე - "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)"

საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები დიდი ხანია სხვადასხვა თაობის როგორც ქართველთა, ისე არაქართველ მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს. ეკლესია ჩვენი სახელმწიფოსა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სისხლხორცეული ნაწილი, არასოდეს ყოფილა გულგრილი იმ საზოგადოებრივი პროცესების მიმართ, რასაც პერიოდულად ადგილი ჰქონდა ჩვენს ისტორიაში. ამდენად, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარმა გარდაქმნებმა თავისთავად მოითხოვეს ახლებური დამოკიდებულება რელიგიური და საეკლესიო ფასეულობების მიმართ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მნიშვნელოვანმა სიახლეებმა თავი იჩინა თვით ეკლესიის ცხოვრებაშიც, მაშინ ადვილი გასაგები იქნება საქართველოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დავალება სინოდის წევრებისადმი მოემზადებინათ მასალები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს ეკლესიის ადგილის შესახებ მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში, რაც არა მარტო დროული, არამედ იმის მანიშნებელიც იყო, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე მეცნიერული სიახლეების და ღირებულებათა გადაფასების გათვალისწინებით უნდა შექმნილიყო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენდა საქართველოს ეკლესიის დიდ ღვაწლს ქართველი ერის, მისი

სახელმწიფოებრიობისა და საერთოდ მსოფლიო ქრისტიანობის ისტორიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატივცემული დისერტანტი მოვალე იყო გაეთვალისწინებინა არა მარტო ის მემკვიდრეობა, რაც არსებობდა მეცნიერებაში საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, არამედ შეევსო კიდეც ისინი დღემდე უცნობი მასალებით და ასევე სრულიად ახლებურად წარმოეჩინა რიგი საკითხებისა. ამის შესახებ კარგად არის მითითებული ავტორეფერატში (იხ. გვ. 4. - "სამეცნიერო სიახლე")

პატივცემული დისერტანტის მიერ მუშაობის პროცესში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები მას წარმოაჩენს, როგორც ფუნდამენტალურ მკვლევარს, ხოლო მისთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, დამახასიათებელი ანალიტიკური აზროვნება საშუალებას აძლევს ავტორეფერატში მოკლედ მოგვაწოდოს პირველწყაროები, მოახდინოს მათი ურთიერთშეჯერება და მიუხედავად ზოგიერთი მათგანის მიმართ მეცნიერებაში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა თავისი კრიტიკული პოზიციაც წარმოაჩინოს.

ავტორეფერატიც კი ნათლად გვიჩვენებს მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მრავალწლიან და ნაყოფიერ შრომას, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა ის სქელტანიანი ორი ტომი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიისა, წინ რომ უსწრებდნენ წარმოდგენილ დისერტაციას. ორივე მათგანი არის სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც უკვე ქართველ მკვლევართა სამაგიდო წიგნებად გამხდარან.

ავტორეფერატში მითითებული საკვლევ საკითხთა თემატიკა ისეთ სპექტრს ქმნის, რომელთაგან ზოგიერთის გვერდის ავლა ავტორს, ცხადია, შეეძლო, მაგრამ დაირღვეოდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა სინქრონი, რითაც ესოდენ მდიდარია რეფერატი.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ იშვიათია არათუ საკანდიდატო, არამედ სადოქტორო დისერტაციაც, რომელიც შედგებოდეს XII თავისა და 62 პარაგრაფისაგან. მარტო სათაურებიც კი გვიჩვენებს თუ რაოდენ მრავალმხრივია საკვლევი პრობლემა. პატივცემული დისერტანტი თავისუფლად მოძრაობს როგორც ისტორიულ სივრცეებში, ისე – მრავალწახნაგოვან პრობლემატიკაში და ყველა დებულებას, დასკვნას შესაბამისი კრიტერიუმებით წარმოაჩენს. მიუკერძოებლად უნდა ითქვას, რომ ავტორეფერატი განხილულ საკითხთა სისრულით ბევრად სჭარბობს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო მისი ავტორი წარმოგვიდგება როგორც მრავალმხრივი მკვლევარი, რომლის პიროვნებაშიც შესანიშნავად შერწყმულა ღრმა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სულიერება, დიდი პატრიოტიზმი და მეცნიერისათვის დამახასიათებელი ობიექტურობა.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს მიერ მისმა სახელმძღვანელოდ გამოყენებამ უნივერსიტეტის თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებთან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პატივცემული დისერტანტი, მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ავტორეფერატში დასმულ საკითხთა სიახლეებითა და გადაწყვეტის ორიგინალურობით სავსებით იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ავტორეფერატის მიმართ გვაქვს ერთი შენიშვნა სადისერტაციო ნაშრომის სათაურთან დაკავშირებით, სადაც ფრჩხილებში მითითებულია შუა საუკუნეები, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა სათაური შუა საუკუნეების მითითების გარეშე დარჩენილიყო, რამეთუ წარმოდგენილი მასალა თავისი მასშტაბით აღნიშნულ ეპოქაში არ თავსდება და დღევანდლამდე მოდის; გვხვდება ორიოდ ტექნიკური შეცდომაც მაგალითად: აპექტები (უნდა იყოს ასპექტები), შემდგენილი (შემდგენელი) და სხვა.

აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი შეფასება უცვლელია სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომი და წარმოდგენილი დისერტაცია პირველი ცდაა იმ მრავალმხრივი კავშირების აღდგენისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ამთლიანებდა ჩვენს ქვეყანაში ცოდნასა და რწმენას, ერსა და ბერს, ეკლესიასა და სახელმწიფოს.

პატივცემულ დისერტანტს ვუსურვებთ წარმატებებს სასულიერო და სამეცნიერო მოღვაწეობის რთულ გზაზე.

თსუ რელიგიათმცოდნეობისა და
ეთიკის კათედრის დოცენტი რ. წიქვაძე

თსუ რელიგიათმცოდნეობისა და
ეთიკის კათედრის გამგე, პროფესორი თ. ფანჯიკიძე

რეცენზია

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)"

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის საისტორიო მეცნიერება შეუძლებელია შესწავლილ იქნეს იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი სარწმუნოების გარეშე, რომელსაც მისი ერი ძველთაგან ეზიარა. აღნიშნული, უდავოდ უდგება ქრისტიანული სჯულის მატარებელ ხალხთა ეროვნულ ისტორიოგრაფიასაც, რომლის ერთ-ერთი ნიმუშიც ქართული ისტორიული აზროვნებაცაა. სამწუხაროდ, ნებით, თუ უნებლიედ ქართული ისტორიოგრაფია ამ კუთხით სერიოზული ვაკუუმის სფეროში მოექცა, ამასთან, ის ვალში აღმოჩნდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის ისტორიასთან მიმართებაში. საამისო მრავალი მიზეზი არსებობს: ეპოქალური პოლიტიკური კატაკლიზმები, შიდა სახელმწიფოებრივი დაბნეულობანი, სასულიერო ლიტერატურის ფრიად სახასიათო თავისებურებანი და ა.შ.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მეცნიერული შესწავლა, მისი დახმარებით რიგ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ ვითარებებში გარკვევა; მისი ისტორიის ობიექტური გაშუქება ქართველ სწავლულთა აუცილებელ ფაქტორად მიიჩნეოდა და ეჭვგარეშეა, ქართული საზოგადოებრიობის ისტორიის შესწავლაც მის გარეშეც ოდითგან შეუძლებელი იყო, რადგან ეკლესია, როგორც მძლავრი სახელმწიფო ორგანიზაცია, ისტორიულად უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკაში, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვნად მამოძრავებელი ძალა იყო.

მრავალი საუკუნის მანძილზე, ქართული ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, სახელმწიფოს იდეოლოგიის მესაჭედ, ის იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას და ა.შ. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ ქართველი ერის ინტელექტუალური ნაწილი ეკლესიასთან იყო დაკავშირებული; ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ოდითგან მოაზროვნე, ერისა და ქვეყნის მოჭირნახულე, ინტელექტუალური ფენის სამჭედლო იყო. სწორედ აქ და მის ფონზე ყალიბდება ქართული მენტალიტეტიც. წლების მანძილზე, - მხედველობაში გვაქვს საბჭოთა პერიოდი – ამ მიმართულებით შეძლებისდაგვარად მაინც კეთდებოდა სასიკეთო საქმე. თუმცა, ისტორიული მატერიალიზმისა და უხეში ათეიზმის განუყოფელი ბატონობის ვითარებაში ეკლესიის ისტორია ერთ-ერთ ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა.

ასეთ ვითარებაში, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და მისი სასულიერო კრებული აგრძელებს თავის ისტორიულ მისიას, უზრდის ერს სასულიერო ინტელიგენციის ისეთ ნაწილს, რომელიც ეროვნულ ისტორიოგრაფიას მოემსახურება, რომელსაც ზედმიწევნით აქვს გააზრებული ის ფაქტი, რომ შეუძლებელია საქართველოს ისტორიის ნებისმიერი პერიოდი სობიექტური შესწავლა ეკლესიის ისტორიის მეტად რთულ ლაბირინთებში გარკვევის გარეშე. ასეთის შესანიშნავი დასტური გახლავთ საჯარო პაექრობაზე წარმოდგენილი მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის საკვალიფიკაციო მონოგრაფია "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)". საგულისხმოა, რომ ნაშრომის მთელი მსვლელობა ქართული ეკლესიისა და მისი სამწყოს მჭიდრო ურთიერთობათა დახასიათების ფონზე იშლება.

საკვალიფიკაციო ნაშრომის უდიდეს ღირსებდ მიგვაჩნია ის, რომ ორივე წარმოდგენილი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიც ურთიერთშევსების შესანიშნავ ნიმუშადაა წარმოდგენილი.

ავტორი ნაშრომში არა ერთ სიახლეს იძლევა: მოჰყავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის დაარსების პერიოდიზაცია; მისი იურისდიქციის საზღვრები და ა.შ.

საკვლევი თემის ქრონოლოგიური ჩარჩო და მისი სირთულე, აგრეთვე, წყაროებისა და დამხმარე ლიტერატურის დიდი მოცულობა დისეტანტისაგან გულდასმით და ბეჯით შრომას ითხოვდა, როგორც ნაშრომის შინაარსიდან, სქოლიოებიდან და თანდართული ბიბლიოგრაფიიდან ჩანს, მას ამ მიმართულებით მუშაობისას მცდელობა არ დაუკლია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სადისერტაციო ნაშრომი ამ მხრივ სანიმუშოა. დისერტანტის მეცნიერულ ბრუნვაში შემოაქვს დიდძალი წყაროები და ლიტერატურა, რომელიც დღემდე ნაკლებ ცნობილი, შესწავლილი, ან სრულიად უცნობ-უკვლევი იყო.

რაც ყველაზე საგულისხმოა, დისერტანტმა კარგად გაართვა თავი ეკლესიის ისტორიის უამრავი მასალის დამორჩილებას და მის მეცნიერულ ანალიზს. მისი ყოველი დებულება სათანადო ფაქტებით დასაბუთებულია, ხოლო ყოველი მოვლენა განზოგადებული. მთელი პასუხისმგებლობით ითქმის, რომ სამეცნიერო გამოკვლევა ამ მხრივაც სანიმუშო და მისაბაძია.

ძირითადად დასაბუთებულად და გამართლებულად წარმოჩინდა გამოკვლევის არქიტექტონიკაც. დისერტანტს ის დაუყვია 12 თავად, ნაშრომს ერთვის შესავალი, დასკვნითი ნაწილი, ბიბლიოგრაფია და წმინდანთა სახელების ვრცელი ნუსხა.

სადისერტაციო ნაშრომი საერთოდ შესრულებულია სათანადო მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დონეზე, მოიცავს საინტერესო და ფასეულ დასკვნებსა და განზოგადოებებს. დისერტაცია დასრულებული გამოკვლევაა და ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონის შესაბამისად წყვეტს მის ამოცანებს ზემოთ დასახელებულ სფეროში. მისი ძირითადი ღირსება ისაა, რომ კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მონოგაფიურად აშუქებს შუა საუკუნეების ხანგრძლივ პერიოდს.

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომს სერიოზული წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაძლიოს საბჭოურ პერიოდში შექმნილი ვაკუუმი და შექმნას ქართული ეკლესიის ისტორია. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ის ჯერ-ჯერობით პირველი და ერთადერთი გამოკვლევაა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ახლად შემოღებული ქართული ეკლესიის ისტორიის დისციპლინის სახელმძღვანელოს როლს ასრულებს. სარეცენზიო თემის აქტუალობა, ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის სოლიდურობა, მსჯელობის არგუმენტულობა, საფუძვლიანი დასკვნები საშუალებას იძლევა წარმოდგენილი ნაშრომი დასრულებულ სამეცნიერო გამოკვლევად მივიჩნიოთ, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი კვლევის საქმეში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, კულტურის ისტორიისა და თეორიის
კათედრის პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან პავლიაშვილი

გამოხმაურება

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საკანდიდატო ნაშრომზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეებში)"

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო შრომის სათაურია "საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII-XVIII სს.)", თუმცა იგი ფაქტობრივად, მოიცავს მთლიანად საქართველოს ეკლესიის ისტორიას ახ. წ.ა. I საუკუნიდან – XX საუკუნის ჩათვლით. შრომის შინაარსი გადმოცემულია თორმეტ თავში. თვითოეული თავი კიდევ მოიცავს სამიდან რვა პარაგრაფამდე.

შრომას წინ უძღვის აგრეთვე შესავალი, რომელშიც მოცემულია ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია, წყაროების და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა. ბოლოს კი დართული აქვს წმინდანთა სახელები.

დისერტანტი თავის კვლევაში იყენებს ყველა ხელმისაწვდომ ქართულ და უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურას. ამავე დროს, ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბერძენი საეკლესიო მკვლევარის – მაქსიმე სარდელის მიერ გამოცემულ მასალებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (ათენი, 1966; რუსული თარგმანი – 1981 წ.).

საკვალიფიკაციო შრომის პუბლიკაციებიდან და ავტორეფერატიდანაც კარგად ჩანს, რომ დისერტანტმა გასწია უზარმაზარი შრომა, რათა უამრავ საკითხთა შორის შეერჩია ძირითადი, მთავარი და მწყობრ სისტემაში მოეყვანა საქართველოს ეკლესიის უმდიდრესი ისტორია. ამასთანავე, შრომის მიზანია აჩვენოს ქართველი ხალხის სულიერი გადარჩენისათვის საქართველოს ეკლესიის მიერ გაწეული ღვაწლი. ყურადღებას იქცევს ავტორის დებულება, რომ საქართველოს ეკლესია დაარსდა I-II საუკუნეებში და მისი იურისდიქცია იმ პერიოდში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა (ავტორეფერატი, გვ. 4).

დისერტანტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან შეძლო თანაბრად, საქმის ცოდნით, გადმოეცა ქართული ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან – დღემდე. ასეთი განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნა ძალზე დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს, რასაც დისერტანტმა კარგად გაართვა თავი.

მის შრომას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივია, ასეთ მრავლისმომცველ ნაშრომთან დაკავშირებით, სადავო დებულებები და საკითხებიც არაერთი წამოიჭრება.

ნაშრომი წარმოადგენს მრავალწლოვანი, ენერგიული გამოწვლილვითი კვლევის შედეგს. იგი მისაღებია როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი, ხოლო მისი ავტორი იმსახურებს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ძიებულ სამეცნიერო ხარისხს.

ქ. გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ინსტიტუტის, საქართველოს და მსოფლიო
ისტორიის კათედრის გამგე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელ. მამისთვალიშვილი

ისტორიულ მეცნ. კანდიდატი, დოცენტი ვ. კიკნაძე

წინასწარი დასკვნა მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სადისერტაციო ნაშრომზე "საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)"

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის "საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში" (XII-XVIII სს.) ავტორი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის წევრი, მანგლის-წალკის ეპარქიის მთავრეპისკოპოსია. მეუფე ანანია ჯაფარიძე უკვე მრავალი მონოგრაფიის ავტორია და მას, როგორც სასულიერო მოღვაწისა და მეცნიერ ისტორიკოსს, კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, სამეცნიერო საზოგადოება.

ანანია ჯაფარიძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ვრცელი ვარიანტი 1996, 1998 წლებში გამოქვეყნდა ორ ტომად. დღეს განსახილველი ნაშრომი ამ ორტომიანი შრომის მოკლე ვარიანტს წარმოადგენს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ასეთი ვრცელი და ყოვლისმომცველი გამოკვლევა პირველად შეიქმნა. ამ მეტად საინტერესო ნაშრომის ავტორი, როგორც ითქვა, სასულიერო პირია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საპატრიარქოში არის კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ აღადგინონ ის ძველი ტრადიცია, როცა ქართველი სასულიერო მოღვაწეები საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიების ავტორებად გვევლინებოდნენ.

საკვალიფიკაციო ნაშრომი 12 თავისაგან შედგება (თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად). ნაშრომს დართული აქვს დასკვნა. საერთოდ დისერტაცია მრავალრიცხოვან საისტორიო წყაროზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითაა შესრულებული.

სადისერტაციო ნაშრომში დასმული და განხილული საკითხები მეტად აქტუალურია. ინტერესი ქართული ეკლესიის წარსულისადმი ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. თავისთავად ცხადია, პროსაბჭოურ ხანაში აღარაა ის ვითარება, რომელიც აფერხებდა ეროვნული ეკლესიების ისტორიის კვლევას. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საჟურნალო გამოკვლევებს (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ბ. ლომინაძე და სხვანი), კომუნისტური პარტიის სამოცდაათწლიანი დიქტატის ხანაში ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ არცერთი მონოგრაფია არ გამოცემულა. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი კი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ საქართველოს სამოციქული ეკლესიის ისტორიას ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან დღემდე. მასში დასმული და განხილული ყოველი საკითხი მეტად

აქტუალურია და სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ყოვლივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საკვალიფიკაციო თემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომის წყაროთმცოდნეობის ბაზა. ავტორი ღრმად იცნობს დისერტაციაში განხილული საკითხების შესახებ არსებულ ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებს. მათ ცნობებს იყენებს კონკრეტული საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. კვლევისას მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მიერ მიღებული ზოგიერთი დასკვნა ორიგინალური და ყურადსაღებია. ყოველივე ეს დისერტანტის მეცნიერულ ალღოზე და კვლევის უნარზე მიგვითითებს.

სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც ძირითადად XII-XVIII სს. საქართველოს ისტორიას ეძღვნება, წინ უძღვის ვრცელი ისტორიული მიმოხილვა. ყურადღება გამახვილებულია IV ს-ში საქართველოს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხზე. ამ მცირე რეცენზიაში საშუალება არაა ვრცლად ვილაპარაკოთ დისერტაციაში წამოჭრილ ყველა საკითხზე, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ყველა საკითხი საქართველოს ისტორიის ფონზეა განხილული, რაც ნაშრომს საინტერესოს ხდის. დისერტაციაში კარგადაა წარმოჩენილი ქართული ეკლესიის როლი ქართველი ხალხის გადარჩენისა და თავისთავადობის შენარჩუნების საქმეში. როგორც ცნობილია, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ერს ყველაზე მძიმე ხანა ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფის შემდეგ დაუდგა. ასეთ ძნელბედობისას ქართული ეკლესია არ ივიწყებდა X ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მერჩულეს ანდერძისმაგვარ მოწოდებას: "ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეწირვის და ლოცვათ ყოველი აღესრულების". მართლაც, ამ ძნელბედობისას ქართული ეკლესია ყოველი კუთხის ქართველს პატრონობდა. სადისერტაციო ნაშრომში კვლევა ძირითადად იმ მხრივაა წარმართული, რომ ჯეროვნად წარმოაჩინოს საქართველოს ეკლესიის მიერ გაწეული ღვაწლი ქართველი ხალხის სულიერი გადარჩენისათვის. ნაჩვენებია, როგორ იბრძოდა ქართული ეკლესია ცალკეულ "საქართველოებად" დანაწევრებულ ქვეყანაში არ გამქრალიყო ერთიანობის გრძნობა.

როგორც ნაშრომშია მითითებული, ქართული ეკლესია მართალია V ს-დან არის ავტოკეფალური, მაგრამ მას შემდეგ რაც რუსეთის ცარიზმმა ქართული ეკლესია იერარქიულად რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა, ქართულმა ეკლესიამ კარგა ხნით დამოუკიდებლობა დაკარგა. მართალია, 1917 წელს აღდგენილი ავტოკეფალია ბოლოსდაბოლოს 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ ცნო, მაგრამ მსოფლიო ანუ

კონსტანტინოპოლისა და სხვა საპატრიარქოებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაუსაბუთებლად მიაჩნდათ. საკამათო იყო ქართული ეკლესიის ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში. ქართველ მეცნიერთა და სასულიერო მოღვაწეთა ერთობლივი მუშაობით, სათანადო გამოკვლევებში დადასტურებული იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა. ამ საქმეში თავის წვლილი შეიტანა მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ. მისი უწმინდესობის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის დიდი ძალისხმევით 1990 წელს მსოფლიო პატრიარქმა დაადასტურა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიათა რიგში მყარად განსაზღვრა საქართველოს ეკლესიის ადგილი. სადისერტაციო ნაშრომში ამ საკითხზე ვრცლადაა მსჯელობა. აღნიშნულის გარდა, საკვალიფიკაციო ნაშრომში უამრავი საკითხია ახლებურად დასმული და განხილული. მართალია, შესაძლოა დისერტანტის მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება სათანადო დონეზე არ იყოს დასაბუთებული, ზოგი დასკვნა არ გაიზიარო, მაგრამ მათ არსებობის უფლება აქვთ.

ყოველივე თქმული საფუძველს მაძლევს აღვნიშნო, რომ მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომი სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ავტორი უყოყმანოდ იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
საქართველოს შუასაუკუნეების განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ე. კაჭარავა